

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ქეთევან არძენაძე

ემოციური მარკერები ამერიკულ და ქართულ საარჩევნო დისკურსში

დისერტაცია

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი –
პროფესორი ირინე გომხეთელიანი

ბათუმი 2025

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“

თარიღი 12.07.24

ქეთევან არბენაძე

შინაარსი

შესავალი -----	4
თავი 1. საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის თეორიული საფუძვლები-----	11
1.1. საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები-----	11
1.2. რიტორიკა და საარჩევნო დისკურსი -----	17
1.3. საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების ფუნქცია-----	31
თავი 2. დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში-----	49
2.1. დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში -----	49
2.2. პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში-----	62
2.3. დისკურსულ მარკერებსა და პრაგმატიკულ მარკერებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება-----	74
თავი 3. ემოციური მარკერები ამერიკულ და ქართულ საარჩევნო დისკურსში დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერთა კორპუსლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობით-----	83
3.1. პოლიტიკური დისკურსი კორპუსლინგვისტიკის ჭრილში-----	83
3.2. ქართული და ამერიკული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი---	93
3.2.1. ქართული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი (ტექსტუალური და ინტერპერსონალური დისკურსული მარკერები)-----	94
3.2.2. ამერიკული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი (ტექსტუალური და ინტერპერსონალური დისკურსული მარკერები)-----	115
3.3. ემპირიული მასალის ანალიზის შედეგები-----	134
დასკვნა-----	146
გამოყენებული ლიტერატურა-----	156
დანართი-----	166

შესავალი

პოლიტიკური დისკურსი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს, რადგან პოლიტიკური რეალობა და პოლიტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნულ, სოციალურ თუ კულტურულ აქტივობებში. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკა და პოლიტიკური დისკურსი საზოგადოებაზე გარკვეულ გავლენას ახდენს. ამაზე კი მეტყველებს რიგი ენობრივი საშუალებების მიზნობრივი გამოყენება პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებში, დებატებსა და ინტერვიუებში.

პოლიტიკური დისკურსი არის ყველა სამეტყველო აქტის, ასევე საჯარო სამართლის, ტრადიციებისა და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც განისაზღვრება და გამოიხატება სიტყვიერად და რომლის ადრესატიც პოლიტიკის სფეროს ეკუთვნის. შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსი არ არის მხოლოდ კომუნიკაცია; ის აერთიანებს მკაფიო მიზნების მქონე კონკრეტულ მონაწილეებს, რომლებიც პოლიტიკურ პროცესებში არიან ჩართული. ამ პროცესების მიზანი და მონაწილეთა არჩევანი დამოკიდებულია დისკურსის კონკრეტულ ტიპზე. ამ შემთხვევაში, პოლიტიკური დისკურსის მიზანი არის ძალაუფლების მოპოვება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ საზოგადოებაც.

სანდო და ხარისხიანი ინფორმაცია საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანია, რათა ის საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. კერძოდ, წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის მიზანია ამომრჩეველთა დარწმუნება და ხმათა უმრავლესობის მოპოვება. შესაბამისად, წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ფუნქციური კვლევა გვამღებს საშუალებას განვიხილოთ არა მხოლოდ თეორიული ბაზისი, არამედ თეორიულ ნაწილთან ერთად ვიკვლიოთ წინასაარჩევნო დისკურსთან დაკავშირებული პროგნოზები და ვარაუდები მოსალოდნელი შედეგების შესახებ და მიმდინარე დისკურსის კვლევისას ყურადღება გავამახვილოთ, როგორც აქტუალურ თემებზე, ასევე მის ფუნქციებზეც.

ნაშრომის აქტუალობა. თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნებში გამარჯვება ძალაუფლების მოპოვების გარანტიაა, ხოლო წინასაარჩევნო გამოსვლებით ხალხის დარწმუნება და ხმების მიღება საარჩევნო პოლიტიკური

პროცესის განუყოფელი ნაწილია. საარჩევნო კამპანიები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში კარგად იკვეთება კომუნიკაციის მთავარი მიზანი- მიიღოს ხმა ამომრჩევლისგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური კამპანია ემსახურება ხალხის ინფორმირებასა და დარწმუნებას, რათა ხმა მისცეს კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოლიტიკური რეალობა, გარემო და პოლიტიკოსები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეროვნულ, სოციალურ თუ კულტურულ აქტივობებში, შესაბამისად პოლიტიკური დისკურსი ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. დისკურსი განისაზღვრება, როგორც ენის აქტიური გამოყენება, ხოლო მისი ანალიზი წარმოადგენს წინადადების შემდგომი დონის, ლინგვისტურ და არა ლინგვისტურ ნიშნებს შორის კავშირის შესწავლას. აღნიშნულიდან გამომდინარე, დისკურსის ანალიზი უკავშირდება პრაგმატიკას, ხოლო ისეთი ენობრივი ერთეულების კვლევა, როგორიცაა დისკურსული და პრაგმატიკული მარკერები, განსაკუთრებით საინტერესო შედეგებს იძლევა.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკა და პოლიტიკოსები საზოგადოებაზე გარკვეულწილად ზემოქმედებენ. ამაზე მეტყველებს სხვადასხვა ენობრივი საშუალებების მიზნობრივი გამოყენება პოლიტიკოსების საჯარო გამოსვლებში. პოლიტიკური გამოსვლები ენის აქტიურ გამოყენებასთან ასოცირდება. შესაბამისად, ენა წარმოადგენს რესურსსა და ინსტრუმენტს, რომლებსაც პოლიტიკოსი იყენებს ამომრჩეველთა ინფორმირების, მათი დარწმუნებისა და სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

პოლიტიკურ დისკურსში მსმენელზე ზემოქმედების მოხდენის თვალსაზრისით, საინტერესო კუთხით იკვეთება დისკურსული და პრაგმატიკული მარკერები. დისკურსული მარკერები წარმოადგენს მრავალკატეგორიულ ენობრივ ერთეულს, რომელთა გამოყენება წინადადებისთვის არ არის სავალდებულო, თუმცა მათი გამოყენება ხელს უწყობს მიმდინარე დისკურსის კარგად ორგანიზებას, ხოლო რაც შეეხება პრაგმატიკულ მარკერებს, ისინი წარმოადგენს მცირე მნიშვნელობის მქონე „მოკლე“ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც არ გამოირჩევიან მკაფიო გრამატიკული

ფუნქციით და არც მათი გამოყენებაა დისკურსისთვის სავალდებულო, თუმცა პრაგმატიკული თვალსაზრისით მათი არსებობა დისკურსის უკეთ წარმართვაში ეხმარება მოსაუბრეს.

დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების გამოყენებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოლიტიკოსთა გამოსვლებში, რადგან მათი მთავარი მიზანია მიმდინარე დისკურსში სემანტიკური და პრაგმატული თანამიმდევრულობის შენარჩუნება, საუბრისას ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის გამოხატვა და სამეტყველო მოქმედებების შესრულება. აქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკური კამპანია ემსახურება ხალხის ინფორმირებასა და დარწმუნებას. ენათმეცნიერებისთვის ყოველთვის საინტერესო და აქტუალურია თუ რა ენობრივი საშუალებებით ხორციელდება აღნიშნული და რა ენობრივ სტრატეგიებს იყენებენ პოლიტიკოსები.

ნაშრომის მიზანია საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის არსის განსაზღვრა, საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლების განზოგადება, რიტორიკისა და საარჩევნო დისკურსის ურთიერთმიმართების განხილვა და საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების ფუნქციის განსაზღვრა; დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი ფუნქციებისა და ენობრივი თავისებურებების გამოყოფა, რომლებიც პოლიტიკოსს წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის წარმართვის საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, ნაშრომში წარმოდგენილია ემოციური მარკერების (ტექსტუალური და ინტერპერსონალური დისკურსული მარკერები) თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა კორპუს ლინგვისტიკის მეთოდოლოგიის გამოყენებით.

ნაშრომის ამოცანებია:

- საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ზემოქმედებითი ფუნქციის განსაზღვრა;
- ძირითადი რიტორიკული საშუალებების გამოყოფა და განზოგადება;
- დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში;
- პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში;

- დისკურსული მარკერები თუ პრაგმატიკული მარკერები, მსგავსება-განსხვავების დასადგენად:

- პოლიტიკური დისკურსის არსის განსაზღვრა კორპუსლინგვისტიკის ჭრილში;
- ქართულენოვანი პოლიტიკური დისკურსის ემპირიული მასალის ანალიზი;
- ინგლისურენოვანი პოლიტიკური დისკურსის ემპირიული მასალის ანალიზი:

ნაშრომის სიახლე: ნაშრომში ჩატარებულია ემოციური მარკერების კორპუსის რაოდენობრივი და თვისობრივი თავისებურებების ანალიზი, რომელიც ხელს შეუწყობს საარჩევნო დისკურსის შემდგომ კვლევას. ასევე, შეპირისპირებულია ქართველი და ამერიკელი პოლიტიკოსების გამოსვლებში გამოყენებული პრაგმატიკული მარკერები, გამოვლენილია მათი თავისებურებები, მოცემულია მათი სტატისტიკური მონაცემები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება: ნაშრომში კრიტიკულად არის გაანალიზებული პოლიტიკურ დისკურსზე არსებული უახლესი ინგლისური, ქართული და სხვა უცხოური ლინგვისტური ლიტერატურა, სტატიები, სამეცნიერო ნაშრომთა კრებულები და სადისერტაციო ნაშრომები, პოლიტიკური ტექსტები და პოლიტიკოსთა გამოსვლები, პოლიტიკური დისკურსისათვის დამახასიათებელი პრაგმატიკული და დისკურსული მარკერების კორპუსის რაოდენობრივი და შემდეგ თვისობრივი ანალიზი საშუალებას მისცემს ფილოლოგს დეტალურად გაეცნოს მათ თავისებურებებს.

ნაშრომის შედეგებისა და ემპირიული მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება დისკურსის ანალიზის, ტექსტის ინტერპრეტაციისა და პრაგმატიკის სალექციო კურსების სწავლების დროს, რომელიც ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას წარმოადგენს.

კვლევის მეთოდოლოგია: ნაშრომი ეფუძნება პოლიტიკურ დისკურსზე არსებული ლიტერატურისა და ემპირიული მასალის მოძიების, შეგროვებისა და კრიტიკული ანალიზის მეთოდებს; ასევე, საარჩევნო პერიოდში პოლიტიკოსების გამოსვლების ტექსტების შესწავლასა და მათ ლინგვისტურ ანალიზს; ემოციური მარკერების კორპუსის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებს; ნაშრომში პოლიტიკურ ტექსტებში არსებული ემოციური მარკერები გაანალიზებულია კორპუსლინგვისტური კვლევის საშუალებით, რაც გულისხმობს

კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების რაოდენობრივ და თვისობრივ კვლევას კორპუსის დახმარებით, რათა გამოიკვლიოს ენობრივი სტრუქტურები, რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ პოლიტიკურად რელევანტური აზრების საკომუნიკაციოდ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციფიკური ფუნქციებისა და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად.

ნაშრომში ლექსიკური და სემანტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით გაანალიზებულია 132 მაგალითი, ამათგან 69 მაგალითი ქართული ემპირიული მასალიდან, ხოლო 63 მაგალითი განვიხილეთ ინგლისურენოვანი ემპირიული მასალიდან.

კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

- პოლიტიკური დისკურსის კრიტიკული ანალიზი;
- შეპირისპირებითი კვლევის მეთოდი;
- სემანტიკური ანალიზის მეთოდი;
- პრაგმატიკული ანალიზის მეთოდი;
- კორპუსის რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის ლინგვისტური მეთოდი.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შემდეგი სამეცნიერო ლიტერატურა: Dijk Van (1985, 1998, 2008), Fraser (1991), Brinton (1996), Muller (2005), Brown Gillian, Yule George (1983), Dijk Van (1985, 1998, 2008), Adrian Beard (2000), William Benoit (2002,2017), William M. Feith, Christian O. Lundberg (2008) და სხვა.

საკვლევ მასალად გამოყენებულია ამერიკელ პრეზიდენტის, საპრეზიდენტო კანდიდატების და სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკოსების გამოსვლები. ასევე, ქართველი პრემიერ მინისტრების, პრეზიდენტის და გავლენიანი პოლიტიკოსების გამოსვლები საარჩევნო პერიოდში. კერძოდ,

ქართველი პოლიტიკოსების გამოსვლები:

1. კახა კალაძე- ინტერვიუ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შესახებ
2. ირაკლი ღარიბაშვილი- სტუმრად გადაცემაში "არჩევნები 2021"
 - საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ევროკავშირის უსაფრთხოების შესახებ, 2023 წ

- გამოსვლა კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების ყოველწლიურ კონფერენციაზე, 2023 წ

3. **სალომე ზურაბიშვილი**- დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნების შესახებ, 2021 წ

- 2024 წლის არჩევნების შესახებ

4. **გიორგი ამილახვარი** - ქვეყნის მტრების შესახებ, 2023 წ

- ქართველი ჯარისკაცების თავდადების შესახებ, 2023 წელი

5. **ირაკლი კობახიძე**- წინა ხელისუფლების შესახებ, 2023 წ

6. **ბიძინა ივანიშვილი**- “ქართული ოცნების” წინასაარჩევნო კამპანია, 2024 წ.

ამერიკელი პოლიტიკოსების გამოსვლები

1. **ჯო ბაიდენი**- გამოსვლა ისტორიული არჩევნების შემდეგ 2020 წელი

-დემოკრატიულ ეროვნულ კონვენციაზე გამოსვლა. 2020 წ.

- ატლანტა, ჯორჯია 2020 წლის 27 ოქტომბერი

- ბაიდენი აკრიტიკებს პალატის საბიუჯეტო წინადადებებს, 2023 წ.

- პრეზიდენტის ჯო ბაიდენის შენიშვნები - სახელმწიფოს მიმართვა, 2023 წ.

2. **დონალდ ტრამპი**- ტრამპის მიმართვა რესპუბლიკელთა კონვენციაზე, 2020 წ.

-ტრამპის მიმართვა რესპუბლიკელთა კონვენციაზე, 2024 წ.

- საარჩევნო სეზონის პირველი დებატები CNN-ზე (დონალდ ტრამპი და ჯო ბაიდენი) 2024 წ.

3. **ჯეფრი როზენი**- კონსტიტუციის ეროვნული ცენტრის პრეზიდენტის და აღმასრულებელმა დირექტორის გამოსვლა კონსტიტუციის მნიშვნელობაზე, გავლენაზე და კონსტიტუციურ საკითხებზე სასაუბროდ, 2023 წელი;

4. **რობერტ კენედი უმცროსი**-2024 წლის გამოსვლა საპრეზიდენტო კანდიდატურასთან დაკავშირებით;

5. **მაიკ პენსი**- რესპუბლიკური საპრეზიდენტო კანდიდატები საუბრობენ აიოვას რწმენისა და თავისუფლების კოალიციის ღონისძიებაზე 2023 წ.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავლის, 3 თავისა და ქვეთავების, ზოგადი დასკვნების, გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან და ტექსტების დანართისგან.

შესავალში განხილულია თემის აქტუალობა, მიზნები და ამოცანები, კვლევის სიახლე, მეთოდოლოგია, ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება.

პირველ თავში „**საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის თეორიული საფუძვლები**“ განხილულია საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები, რიტორიკა და საარჩევნო დისკურსი, საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების ფუნქცია.

მეორე თავში „**დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში**“ ჩატარებულია დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების ანალიზი თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში. ასევე დავადგინეთ მათ შორის არსებული მსგავსება და განსხვავება.

მესამე თავში „**ემოციური მარკერების კორპუსის თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევა**“ განხილულია პოლიტიკური დისკურსი და მისი ძირითადი მახასიათებლები კორპუსლინგვისტიკის ჭრილში, გარდა ამისა, წარმოდგენილია ის ძირითადი უპირატესობები, რომლებიც ზრდის კორპუსული კვლევების (რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზები) მნიშვნელობას პოლიტიკური დისკურსის შესწავლის პროცესში. თეორიულ მასალაზე დაყრდნობით წარმოდგენილია ორივე ენის ემპირიული მასალის დისკურსული, ლექსიკური, სემანტიკური, პრაგმატიკული რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზი. შეპირისპირებითი კვლევის საფუძველზე მიღებულია შედეგები, რაც აისახა სტატისტიკურ მონაცემებში.

ზოგად დასკვნებში შეჯამებულია კვლევის შედეგები.

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა შედგება 76 სამეცნიერო ლიტერატურის და 40 ემპირიული მასალის დასახელებისგან.

დანართში მოცემულია ქართული და ინგლისური ტექსტების სრული ვერსიები.

თავი 1. საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის თეორიული საფუძვლები

1.1. საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ძირითადი მახასიათებლები

„ყოველდღიურ ცხოვრებაში ყველა პოლიტიკოსი ვართ“–

“We are all political beings in our everyday life”

(Bell, 1975:x)

ენა ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. ის მოიაზრება, როგორც წერილობითი თუ ზეპირი სახით წარმოდგენილი საკომუნიკაციო საშუალება. ენასა და პოლიტიკას შორის არსებული დამოკიდებულების კვლევა უძველესი დროიდან იღებს სათავეს, რადგან დისკურსი ენის აქტიურ გამოყენებასთან ასოცირდება.

თანამედროვე ლინგვისტიკის განმარტების მიხედვით, დისკურსი „ენის გამოყენების პროცესს“ გულისხმობს, რეალურ გარემოში ენის გამოყენება რეალური ადამიანების მიერ. შესაბამისად, ნიკოლა ვუდსის მიხედვით, დისკურსი წარმოადგენს ენისა და სიტუაციის ერთობას.(Woods, 2006:x)

ჯეიმს ჯიის ნაშრომშიც იგივე არის განხილული, კერძოდ, ენა მოიაზრებს მოქმედებას, ინტერაქციას, ფიქრს, შეფასებასა და ლაპარაკს, ხშირად წერა-კითხვასაც „შესაფერისი გზით“ შესაფერის დროსა და ადგილას. (Gee, 2001:17)

ჰასენი (Hassen, 2002:120) თვლის, რომ დისკურსი შედგება სხვადასხვა ელემენტისაგან. ამ ელემენტებს წარმოადგენს ზეპირი გამოსვლა, წერილობითი ტექსტი, დიალოგების ნაკრები და ამ ტექსტების შექმნით მიღებული ფორმა(კოდი), რომელიც იძლევა გარკვეული საკითხის შესახებ საუბრის გარკვეულ ფორმას.

ჰასენის (2002) მიხედვით დისკურსი განიხილება სამი მნიშვნელობით:

- 1) წინადადების შემდეგ არსებული დონე;
- 2) სოციალურ პრაქტიკასთან დაკავშირებული ენობრივი აქტივობა;
- 3) ენა, როგორც ფიქრების სისტემა.

კრისტალის (Crystal, 2006) მიხედვით, დისკურსი (განსაკუთრებით ზეპირი) წარმოადგენს გაბმულ სამეტყველო ფორმას, რომელიც აღემატება წინადადებას. ის სოციალურად განსაზღვრული სამეტყველო სისტემისა და სპეციფიკური პრინციპების ერთიანობაა, რომლის მიხედვითაც ხდება რეალობის კლასიფიკაცია და წარმოდგენა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება პოლიტიკური

დისკურსის ცნებას, ის შეიძლება განისაზღვროს, როგორც წინასწარ განზრახული ქმედება, რომელიც მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ, ეს მიზანი კი, როგორც წესი, მატერიალურია, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური დისკურსი ემსახურება კონკრეტული დისკურსის წარმოებას გარკვეული ინტერესების დაცვით, ხოლო დისკურსში გამოხატული იდეოლოგია მატერიალური ხასიათისაა. (ამაღლობელი, 18: 2017)

როგორც ვხედავთ, ჰასენისა და ამაღლობელის მიხედვით, პოლიტიკური დისკურსი გააზრებულია, როგორც წინადადების შემდეგ არსებული მნიშვნელობა, რომელსაც აუცილებლად აქვს საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირი, ხოლო მისი მთავარი მიზანი გარკვეული აზრისა და მნიშვნელობების კომუნიკაციაა.

წიგნში „The handbook of Discourse Analysis“ ჯორჯ ორუელის მიერ შემოთავაზებული შედარებაა განხილული „პოლიტიკური დისკურსი, როგორც დაუცველობის დაცვა“ და ის გაიგივებულია ენის გამოყენების პროცესთან, როგორც ფიქრებისა და აზრების მანიპულირების გზა. ავტორი, ჯონ უილსონი საუბრობს პოლიტიკოსების მიერ საზოგადოების მანიპულირებაზე, თუ როგორ ცდილობენ უარყოფითი მხარეების დამალვას გარკვეული ფორმულირებით თავიანთ გამოსვლებში და არ აჩვენონ საზოგადოებას არსებული სიმართლე. (Schiffrin, et al. 2001)

ზემოთ მოყვანილ განმარტებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიტიკური დისკურსისა და ლინგვისტური მახასიათებლების კავშირზე, თუ რა ლინგვისტური ნიშან-თვისებებით გამოირჩევა პოლიტიკოსების გამოსვლები. აღნიშნული თემა სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ აქტუალურია, რადგან პოლიტიკურ დისკურსსა და ლინგვისტურ კვლევას შორის არსებულ კავშირს არაერთი მეცნიერი განიხილავს თავის ნაშრომში. აქედან გამომდინარე, ენათმეცნიერებისათვის პოლიტიკური დისკურსისადმი ინტერესი დროთა განმავლობაში გაიზარდა, რამაც ხელი შეუწყო ახალი მიმართულების-პოლიტიკური ლინგვისტიკის წარმოშობას. (კირვალიძე, ელ. 18:2009) პოლიტიკურ ლინგვისტიკას რაც შეეხება, ის მულტიდისციპლინურობითა და ანთროპოცენტრიზმით ხასიათდება, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ისეთ დისციპლინებთან, როგორიცაა: პოლიტიკური მეცნიერება, სოციოლოგია, კულტუროლოგია, ფილოსოფია და სხვა.

პოლიტიკურ დისკურსი, როგორც ლინგვისტიკის ძირითადი კონცეფცია, პოლიტიკურ ლინგვისტიკასთან ერთად გახდა მეცნიერული შესწავლისა და გააზრების საგანი. პოლიტიკური ლინგვისტიკა განიხილება ისეთ ლინგვისტურ დისციპლინებთან მჭიდრო კავშირში, როგორიცაა მედიალინგვისტიკა, კომუნიკაციური და შემეცნებითი ლინგვისტიკა, პრაგმალინგვისტიკა და პარალინგვისტიკა. აღნიშნული ხაზს უსვამს პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინარულობას. პოლიტიკური დისკურსი არაერთი მეცნიერის კვლევის ობიექტი გამხდარა, სადაც დისკურსის ეს სახე სხვადასხვა მიმართულებით არის განხილული და წარმოდგენილი.

პოლიტიკური დისკურსი არის ყველა სამეტყველო აქტის, ასევე საჯარო სამართლის, ტრადიციებისა და გამოცდილების ერთობლიობა, რომელიც განისაზღვრება და გამოიხატება სიტყვიერი წარმონაქმნებით და რომლის ადრესატიც პოლიტიკის სფეროს ეკუთვნის. შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსი არ არის მხოლოდ კომუნიკაცია; ის აერთიანებს თავის მკაფიო მიზნებსა და კონკრეტულ მონაწილეებს. ამ პროცესში არსებული მიზანი და მონაწილეთა არჩევანი დამოკიდებულია დისკურსის კონკრეტულ ტიპზე, ასე რომ, ამ შემთხვევაში პოლიტიკური დისკურსის მიზანი არის ძალაუფლების მოპოვება, რომელშიც მონაწილეობას იღებენ არა მხოლოდ პოლიტიკოსები, არამედ საზოგადოებაც. (Kenzhekanova, 2015)

კენჟეკანოვას მსგავსად საინტერესო პარალელს ავლებს თამარ ლომაძე ძალაუფლებასა და პოლიტიკას შორის თავის სადისერტაციო ნაშრომში „საზოგადოებრივ აზრზე სამეტყველო ზემოქმედების კოგნიტური ასპექტები“, ის საუბრობს, რომ ძალაუფლება ასოცირდება პოლიტიკასთან, რაც აიხსნება თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ხერხებით, კერძოდ, იარაღითა და ეკონომიკური წნეხით. მოპოვებული ძალაუფლების განმტკიცება კი ლინგვისტური საშუალებების გამოყენებას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, ვერბალურ კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკაში. (ლომაძე, 2016:24)

მოცემული მოსაზრება ეხმიანება ვან დეიკის, კარასიკისა და სხვათა მოსაზრებებს პოლიტიკური დისკურსის შესახებ. კერძოდ, პოლიტიკა წარმოადგენს

პოლიტიკოსების დისკურსს (Dijk,1998:12), რომელიც რთულ ლინგვისტურ ერთეულს წარმოადგენს, ის პირდაპირ ან არაპირდაპირ მიმართულია პოლიტიკური ძალების გადანაწილებასა და მათ პრაქტიკაში გამოყენებისაკენ (Sheigal,2000) პოლიტიკური დისკურსის მოცემული მახასიათებლები (1-წინააღმდეგობის გაწევის უნარი/კონკურენტუნარიანობა, 2- აგრესიულობა, 3-იდეოლოგიური ხასიათი და 4-დრამატულობა) ეხმიანება თ. ლომადის მოსაზრებას პოლიტიკა- ძალაუფლების კავშირსა და მათ გამოვლინებას ვერბალური კომუნიკაციის საშუალებით, აქედან გამომდინარე, რომ პოლიტიკოსი ვერბალური საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით აღწევს მათ. (Tameryan,3016:2019)

ზემოთ განხილული მოსაზრებებიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა, კერძოდ, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს სოციალური დაჯგუფებების მიერ გატარებულ იდეოლოგიას, ამავე სოციალურ ჯგუფში მიღებული ღირებულებებისა და მოსაზრებების კომუნიკაციას და საზოგადოებაში მათ გავრცელებას. სოციალური ჯგუფის, იმავე პოლიტიკოსების მთავარ მიზანს კი წარმოადგენს, არსებული ღირებულებების გადაცემის პარალელურად, საზოგადოების დარწმუნება მათ სისწორეში და ამის საშუალებით საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა.

აღნიშნული ძირითადი მახასიათებლები მრავლად მოიპოვება წინასაარჩევნო დისკურსში, (Pre-election Discourse, PD) რომელიც პოლიტიკური დისკურსის ქვეჯგუფს წარმოადგენს და ნებისმიერი სხვა დისკურსის მსგავსად **ინსტიტუციონალური** დისკურსის ტიპია. მას აქვს უნივერსალური და სპეციფიკური მახასიათებლები. წინასაარჩევნო დისკურსი აგებულია გარკვეული ნიმუშებით, ამიტომ მას ახასიათებს სტერეოტიპების ხშირი გამოყენება. გამოიყოფა წინა საარჩევნო დისკურსის შემდეგი ძირითადი თავისებურებები: პოლემიკურობა, კოლექტიური ავტორის არსებობა და მანიპულირება. (Yapparova, Ageeva, 2017)

განვმარტოთ საარჩევნო დისკურსთან დაკავშირებული თავისებურებები:

ინსტიტუციონალური პოლიტიკა [ლათ. institucium – დადგენა] – სახელმწიფოს მიერ გატარებული ღონისძიებები არსებული ინსტიტუტების შეცვლის ან ახლის ჩამოსაყალიბებლად, უმეტესად, ეკონომიკისა და სამართლის სფეროებში; /უცხო-სიტყვათა-ლექსიკონი/

პოლემიკურობა- ის გამოხატავს სურვილს, დაადასტუროს საკუთარი აზრი, ამის საწინააღმდეგოდ კი მომხსენებელი ხშირად ოპონენტების მოსაზრებებს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ არ ეთანხმება და უარყოფს მათ.

კოლექტიური ნააზრევო- წინასაარჩევნო დისკურსს (ტექსტს) ავტორი არ ჰყავს, რადგან ის მოიცავს, პირველ რიგში, მთელ საარჩევნო პროცესსა და მის დროს წარმოქმნილ ტექსტებს. შედეგად წინა საარჩევნო ტექსტი რამდენიმე მონაწილის ნააზრევთა შეჯამების შედეგია, აქედან გამომდინარე, "დისკურსი მრავალი ავტორის პროდუქტია"

მანიპულირება- ნებისმიერი წინასაარჩევნო ტექსტი ხასიათდება მანიპულირებით, აქედან გამომდინარე, მომხსენებელი ფარულად ახდენს გავლენას პოტენციურ ამომრჩევლებზე. (Yapparova, et.al. 2017)

თამარ ლომაძე ნაშრომში „თანამედროვე პოლიტიკური ზეპირი ტექსტების ენობრივი თავისებურებებში“ საუბრობს საარჩევნო დისკურსის, როგორც წარმატებული საარჩევნო კამპანიის მთავარ წინაპირობაზე. არჩევნებს ის „ლინგვისტურ ომს“ უწოდებს და გამარჯვების აუცილებელ პირობად კარგად მომზადებულ წინასაარჩევნო დისკურსს ასახელებს. პოლიტიკოსები ძალისხმევას არ იშურებენ „ლინგვისტური ომის“ მოსაგებად, მათ შორის აღსანიშნავია ვერბალური საშუალებები, რაც მათ წარმატებული კომუნიკაციის შემთხვევაში საზოგადოების აზროვნების მართვის საშუალებასაც აძლევს. (ლომაძე, 2016: 24)

შესაბამისად, თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყანაში არჩევნებში გამარჯვება ძალაუფლების მოპოვების გარანტიაა, ხოლო წინასაარჩევნო გამოსვლებით ხალხის დარწმუნება და ხმების მიღება საარჩევნო პოლიტიკური პროცესის განუყოფელი ნაწილია. საარჩევნო კამპანიები საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო გამოსვლებში კარგად იკვეთება კომუნიკაციის მთავარი მიზანი- მიიღოს ხმა ამომრჩევლისაგან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური კამპანია ემსახურება ხალხის ინფორმირებასა და დარწმუნებას მისცეს ხმა კონკრეტულ პოლიტიკოსს.

წინასაარჩევნო დისკურსის მთავარი მიზანი ძალაუფლებისთვის ბრძოლაა, რომელიც პოლიტიკოსმა შეიძლება მოიპოვოს და შეინარჩუნოს ამომრჩეველთა დიდი რაოდენობის მხარდაჭერით, (Beard A, 2000:57) იმავე მოსაზრებას ვკითხულობთ

სტატიაში „Political Media Communication: Bilingual Strategies in the Pre-Election Campaign Speeches”, კერძოდ, პოლიტიკური მედიის დისკურსის მთავარი სისტემური მიზანი ძალაუფლებისათვის ბრძოლაა, რომელიც განმსაზღვრელ ფაქტორს ემსახურება კომუნიკაციის სტრატეგიული არსენალის არჩევისას, რომელიც ემყარება ადრესატზე, ამ შემთხვევაში ამომრჩეველზე, გავლენის მოხდენას ინტელექტუალური, ნებაყოფლობითი და ემოციური სფეროს აქტიური გამოყენებით. კონკრეტული მიზნის რეალიზება კი შესაძლებელია გარკვეული მეტყველების სტრატეგიისა და ტაქტიკის არჩევით.¹

წინასაარჩევნო პერიოდი, მათ შორის, საარჩევნო მზადება და პოლიტიკური გარემო უნდა იყოს არჩევნების დემოკრატიული ხასიათის შესაბამისი. ნებისმიერი არჩევნების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტს. ესენია: 1) არჩევნების საკანონმდებლო ბაზის მიერ დადგენილი პირობები; 2) წინასაარჩევნო პერიოდი კამპანიის დაწყებამდე და მისი მსვლელობისას; 3) ხმის მიცემის პროცესი; 4) ბიულეტენების დათვლა; 5) შედეგების ცხრილი; 6) საჩივრების გამოძიება და გადაწყვეტილების მიღება; და 7) ახალი მთავრობის ფორმირების პირობები. (National Democratic Institute, 2008)

შესაბამისად, წინასაარჩევნო დისკურსი არის კომუნიკაციის გარკვეული სფერო, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს არჩევნებსა და წინასაარჩევნო კამპანიებთან. გარდა ამისა, საარჩევნო დისკურსი ემსახურება კონკრეტულ სოციალურ სფეროს, კერძოდ პოლიტიკურ არჩევნებს. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო დისკურსი მოიაზრება, როგორც ჟურნალისტური სტილი, რომელიც უზრუნველყოფს ღრმა ეფექტურ ემოციურ და ფსიქოლოგიურ გავლენას საზოგადოებაზე და შეიცავს მოწოდებებსა და მოტივაციას გარკვეული მიზნისაკენ. (Abdurakhmanova, et.al. 2021)

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა, კერძოდ, კი წინასაარჩევნო კამპანია, ემყარება პოლიტიკოსთა გზავნილებს. წინასაარჩევნო კამპანია მუშაობს იმისათვის, რომ დაარწმუნოს მოქალაქეები, მისცეს ხმა კანდიდატს. გარდა დარწმუნებისა, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მისაღებია ლეგიტიმური კრიტიკის გამოყენება, (მაგ: საზოგადოებასთან წარმატებული კომუნიკაციისთვის

¹ https://www.researchgate.net/profile/Marina-Zheltukhina/publication/334961988_Political_Media_Communication_Bilingual_Strategies_in_the_Pre-Election_Campaign_Speeches/links/5e204942458515ba208aeff3/Political-Media-Communication-Bilingual-Strategies-in-the-Pre-Election-Campaign-Speeches.pdf

კანდიდატმა შეიძლება ტყუილი და არასწორი ინფორმაციაც გამოიყენოს,...) მიუხედავად ამისა, საარჩევნო კამპანია დემოკრატიის განუყოფელი ნაწილია. (Benoit, 2017:2)

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური დისკურსი საინტერესოა ლინგვისტური თვალსაზრისით, კერძოდ კი წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსი, რადგან განსაზღვრულ დროში პოლიტიკოსების მთავარი ამოცანაა მეტი დამაჯერებლობა შესძინონ თავიანთ წინასაარჩევნო განცხადებებს, გაამყარონ ისინი სხვადასხვა ლინგვისტური საშუალებით, ამის შედეგად კი მოიპოვონ საზოგადოების დიდი ნაწილის ნდობა და მიიღონ ხმათა უმრავლესობა არჩევნებში. ამაზე მოწმობს პოლიტიკური დისკურსის ინსტიტუციონალური ხასიათი, რომელიც გამოირჩევა შემდეგი მთავარი მახასიათებლებით (პოლემიკურობა, კოლექტიური ნააზრევი, მანიპულირება), ასევე თ. ლომადე (ლომადე,24:2016) საინტერესო თეორიას გვთავაზობს პარალელის გავლებით წინასაარჩევნო კამპანიასა და „ლინგვისტურ ომს“ შორის, რაც გულისხმობს „ომის მოსაგებად“ ენობრივი საშუალებების, როგორც წინასაარჩევნო კამპანიისათვის ერთ-ერთ მთავარ იარაღად გამოყენებას. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში შევეცდებით განვიხილოთ თუ რა ენობრივ საშუალებებს იყენებენ პოლიტიკოსები, რათა „ლინგვისტურ ომში“ წარმატებას მიაღწიონ.

1.2. რიტორიკა და წინასაარჩევნო დისკურსი

დისკურსი გამოირჩევა ინტერდისციპლინარული ხასიათით, რაც გულისხმობს დისკურსის სხვა დისციპლინებთან მჭიდრო კავშირსა და კვლევისას საკვლევი საკითხის სხვადასხვა კუთხით წარმოჩენის შესაძლებლობას. აღნიშნული, საკმაოდ საინტერესოს ხდის კვლევის პროცესს. ენა პოლიტიკოსთა ნების გამოხატულებისა და საზოგადოებისათვის მათი გადაცემის პროცესში მთავარ როლს ასრულებს, შესაბამისად, პოლიტიკოსთან ნებისმიერი ქმედება, გამოსვლა თუ შეფასება ენის მიზანმიმართულ გამოყენებასთან ასოცირდება. რაც შეეხება, პოლიტიკური დისკურსის ინტერდისციპლინარულობას, საინტერესოა მისი ისეთ დისციპლინებთან კავშირი, რომლებიც კარგად გადმოსცემს პოლიტიკოსთა გამოსვლებით საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზანს და დარწმუნების შედეგად

მისაღებ მოსალოდნელ შედეგებს. ამ თვალსაზრისით საინტერესია პოლიტიკური დისკურსისა და რიტორიკის ურთიერთმიმართება.

რიტორიკის სხვადასხვა განმარტება არსებობს, განვიხილოთ რამდენიმე. რიტორიკა არის ა) ენის ეფექტურად გამოყენებისა და დარწმუნების ხელოვნება; ბ) ენის ეფექტურად და დამაჯერებლად გამოყენების უნარი; გ) საუბრის ან წერის სტილი, განსაკუთრებით კონკრეტული საგნის ენის შემთხვევაში; დ) ენა, რომელიც არის დახვეწილი, პრეტენზიული, ინტელექტუალურად ბუნდოვანი, ვერბალური და ხშირად ნაკლებად გულწრფელი; და ე) საკომუნიკაციო დისკურსი.²

მოცემულ განმარტებებზე დაყრდნობით შეგვიძლია რიტორიკის მთავარი მახასიათებელი გამოვყოთ, კერძოდ, ის წარმოადგენს ენასა და დამაჯერებლობას შორის არსებულ კავშირს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ენა გამოიყენება რიგი ნიშნებით (დახვეწილი, პრეტენზიული, ინტელექტუალურად ბუნდოვანი, ნაკლებად გულწრფელი;), რაც თავისთვად დამაჯერებლობას მატებს მიმდინარე დისკურსს და არწმუნებს მსმენელს.

თუმცა აუცილებელია რიტორიკა და დისკურსი გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან, დისკურსი შეიძლება იყოს ნებისმიერი მეტყველება, წერილობითი ან სალაპარაკო, ასევე გულისხმობს სიმბოლოების ან მნიშვნელობების გაცვლას ნებისმიერ კონტექსტში, წიგნები, გაზეთები, სურათები ფილმები და ა.შ. რაც შეეხება რიტორიკას, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც დისკურსის ერთ-ერთი სახე და ინტერპრეტაცია, თუ როგორ, როდის და რატომ არის დისკურსი დამაჯერებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიტორიკა არის იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებს დისკურსი საქმეს ჩვენს სოციალურ სამყაროში. დარწმუნება ხდება მაშინ, როცა ვინმე რაღაცას გაჯერებს; რიტორიკა ამ ორ ცნებას (დისკურსსა და დარწმუნებას) ერთმანეთთან აკავშირებს. (Keith,Lundberg,2008:4)

როგორც ვხედავთ, პოლიტიკური დისკურსის, კერძოდ, კი საარჩევნო დისკურსის ზემოქმედების კვლევისას რიტორიკა მნიშვნელოვან როლს ასრულებს, აქედან გამომდინარე, საარჩევნო პოლიტიკური დისკურსი წარმოგვიდგენს მიმდინარე სოციალურ მოვლენას ვერბალურად, ენის გამოყენებით, ხოლო რიტორიკა არის (ა)

² <https://ahdictionary.com/>

ენის ეფექტურად გამოყენებისა და დარწმუნების ხელოვნება; ბ) ენის ეფექტურად და დამაჯერებლად გამოყენების უნარი.³

რიტორიკული კომუნიკაციისთვის აუდიტორია მნიშვნელოვან როლს ასრულებს, მაგრამ როგორ? ამის საჩვენებლად განვიხილოთ კომუნიკაციის ოთხელემენტური პროცესი: (Keith, Lundberg,2008:4)

- **შეტყობინება**- რომელსაც გზავნის ადრესატი
- **ადრესატი**- რომელიც ახდენს აზრის კომუნიკაციას
- **ადრესანტი**- იღებს შეტყობინებას
- **მედია**- ინფორმაციის გადაცემისა და კომუნიკაციის საშუალება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კომუნიკაციის საშუალება ადრესატსა და ადრესანტს შორის.

თუმცა წიგნში „დისკურსის ანალიზი“ (Brown,Yule,1983) სამეტყველო აქტში მონაწილე ელემენტები უფრო ფართოდ არის განხილული, (Hymes,1964) კერძოდ, გვაქვს შემდეგი ძირითადი ელემენტები: (Brown, Yule,1983:38)

- **ადრესატი** - გზავნის შეტყობინებას
- **ადრესანტი** - იღებს შეტყობინებას
- **აუდიტორია**- მსმენელი, რომელიც დისკურსის მიმდინარეობის თანამონაწილეა.
- **თემა** - რასაც ეხება დისკურსი
- **გარემოცვა** - სად და როდის მიმდინარეობს კომუნიკაცია
- **მედია** -ინფორმაციის გადაცემა-კომუნიკაციის საშუალება (ზეპირი, წერილობითი)
- **კოდი** - რა ენაზე ან დიალექტზე მიმდინარეობს კომუნიკაცია
- **შეტყობინების ფორმა** - რა ფორმით ხორციელდება შეტყობინების გაგზავნა (დებატი, წერილი, ...)
- **მოვლენა** - მიმდინარე დისკურსი წარმოადგენს გარკვეული მოვლენის ნაწილს, მაგ. წინასაარჩევნო გამოსვლა - საარჩევნო დისკურსის ნაწილი)
- **საკვანძო პოზიცია** - მოიცავს მიმდინარე დისკურსის შეფასებას.
- **მიზანი** - რა მიზანს ემსახურება მიმდინარე აზრის კომუნიკაცია.

(Brown,Yule,1983:38)

³ <https://ahdictionary.com>

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციის პროცესში ყოველი ელემენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს, თუმცა განხილულ მოდელებს შორის უფრო დეტალურია ჰაიმსის (1964) მიერ შემოთავაზებული მოდელი. მოცემულ მოდელებს თუ შევადარებთ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტისათვის აუცილებელ ელემენტებზე, ესენია: **ადრესატი, ადრესანტი, შეტყობინება და შეტყობინების გაგზავნის საშუალება.**

ლუნდბერგი(Lundberg, 2008:7) აღნიშნავს, რომ რიტორიკას, როგორც კომუნიკაციას ან დარწმუნებას, არ შეიძლება ჰქონდეს კარგი ეფექტი ცუდი ეფექტის მოხდენის გარეშე. რიტორიკის გამოყენების ძალა გულისხმობს რიტორიკის ბოროტად გამოყენებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბოროტად გამოიყენება ის ძალა, რომელსაც ადამიანი ფლობს, რათა დაარწმუნოს სხვა ადამიანი. დარწმუნების პროცესში იკვეთება რამდენიმე საკითხი, რომლებსაც ადრესატმა უნდა მიაქციოს ყურადღება ენობრივი ერთეულების არჩევის პროცესში.

- **მოტყუება.** განზრახ მოტყუება არაეთიკურია. ზოგჯერ მომხსენებლები თავს იმართლებენ, რომ აუდიტორიას ატყუებენ მათ სასიკეთოდ, მაგრამ ეს იშვიათად არის გამართლებული.

-**საპირისპირო მტკიცებულება.** მიუხედავად იმისა, რომ არასწორია აუდიტორიის შეცდომაში შეყვანა, მომხსენებლებს არ შეუძლიათ ილაპარაკონ "სიმართლე", რადგან თვლიან, რომ ეს არ არის ეთიკური. დარწმუნების პროცესში აუდიტორია წყვეტს რა არის სიმართლე და რა არა.

-**პასუხისმგებლობა.** პოლიტიკოსს აქვს ეთიკური პასუხისმგებლობა მსმენელთა წინაშე იყოს სამართლიანი. გარდა ამისა, პასუხისმგებლობა ეკისრებათ საკუთარი სტანდარტებისა და იდეების გამო.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტებისა, როგორიცაა: მოტყუება, საპირისპიროს მტკიცება და პასუხისმგებლობა, არის სხვა რიგი ფაქტორებიც, რომლებიც ეფექტურია და სანდო წინასაარჩევნო გამოსვლისათვის. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, დამაჯერებელი გამოსვლისთვის მოსაუბრემ უნდა გაითვალისწინოს აუდიტორია და მიმართოს მათ ისე, რომ დაარწმუნოს ისინი.

ბერძენი ფილოსოფოს **არისტოტელე** (ძვ. წ. 384–ძვ.წ. 322 წ.) საუბრობს სამ ძირითად საშუალებაზე, რომელიც მოსაუბრეს ეხმარება აუდიტორიის დარწმუნებაში, ესენია: ეთოსი, პათოსი და ლოგოსი⁴.

ლოგოსი: მომხსენებელი მიმართავს აუდიტორიის გონიერებას, ლოგიკის, ფაქტებისა და სტატისტიკის გამოყენებით.


ეთოსი: მომხსენებელი ცდილობს აჩვენოს აუდიტორიას, რომ ის არის სანდო, და ამით დამაჯერებლობა შემატოს მიმდინარე დისკურსს. მომხსენებელი ხშირად იყენებს პირველი პირის მრავლობით ნაცვალსახელს (ჩვენ).

პათოსი: მომხსენებელი მიმართავს აუდიტორიის ემოციებს, რასაც ახერხებს ემოციური ენის გამოყენებით.³

არისტოტელეს თანახმად, რიტორიკა წარმოადგენს ეფექტური კომუნიკაციის ხელოვნებას. არისტოტელე გვთავაზობს რიტორიკულ სამკუთხედს, რომლის მიხედვითაც ნებისმიერი ტექსტი მოიცავს ურთიერთობას მწერალს, მსმენელსა და საკითხს/საგანს შორის, რასაც ეხება ტექსტი. შესაბამისად, ნებისმიერი ტექსტის ანალიზი მოიცავს რიტორიკული სამკუთხედის ყოველი კუთხე/წერტილის ანალიზს.

2

ცხრილი. 1. რიტორიკული სამკუთხედი




რიტორიკული სამკუთხედის მიხედვით სამ კომპონენტს შორის მუდმივი კავშირია დამყარებული, თუმცა აღსანიშნავია, მეოთხე ელემენტი- **მწერლის მიზანი**, რომელიც აერთიანებს ორ კომპონენტს საგანსა და მწერალს და მიმართულია

⁴ <https://library.centre.edu/POL120Fall2019/basics>

მსმენელისაკენ, შესაბამისად, მწერლის მთავარი მიზანი არის გარკვეული აზრის კომუნიკაცია და აღნიშნულით მსმენელზე გარკვეული გავლენის მოხდენა.

რიტორიკული სამკუთხედის მოქმედების მექანიზმსა და პოლიტიკურ დისკურსს შორის არსებული კავშირის ახსნა შესაძლებელია სამკუთხედში მეოთხე ელემენტის შემოსვლით-ავტორის მიზანი, რომელიც პოლიტიკურ დისკურსში შეგვიძლია გადმოვიტანოთ, როგორც პოლიტიკოსთა გამოსვლის მიზანი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორის მიზანი ეს არის პოლიტიკოსის საკომუნიკაციო მიზანი აღნიშნული „პოლიტიკურ-ლინგვისტური ომის მოსაგებად.“ რიტორიკულ სამკუთხედზე დაყრდნობით შეგვიძლია წარმოვადგინოთ საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის „სამკუთხედი“ შესაბამისი ელემენტებით.

ცხრილი. 2.



როგორც ვხედავთ, საარჩევნო რეალობაზე მორგებული რიტორიკული სამკუთხედი აკონკრეტებს, როგორც კომუნიკაციის მიზანს, კომუნიკაციის თემასა და საზოგადოებას. კერძოდ, საკომუნიკაციო აქტის მიზანია ამომრჩეველზე გავლენის მოხდენა, ხოლო თემა ეხება არჩევნებს, არჩევნების შემდგომ მოსალოდნელ მოვლენებს.

ნაშრომში „მედია დისკურსის კონტრასტული ანალიზი“ განხილულია რიტორიკის ხუთი ძირითადი ნაწილი, რომელიც კარგად გადმოსცემს შინაგანი მეტყველებიდან, ნააზრევიდან სიტყვის წარმოთქმამდე არსებულ ხუთ ეტაპს.

ნაშრომის ავტორი განიხილავს ხუთივე ეტაპს, რომლებსაც წარმოვადგენთ ცხრილის სახით. (სვანი, თბილისი, 2017: 83)

ცხრილი. 3.

ძირითადი ეტაპი	მოკლე აღწერა
ინვენცია	გულისხმოს სასაუბროდ აზრის ჩამოყალიბებას, მასალის სისტემატიზაციასა და არგუმენტების ძიება.
დისპოზიცია	ტექსტის გაშლა, ორგანიზება და „არგუმენტების განლაგება“
ელოკუცია	სიტყვების შერჩევა რიტორიკის ძირითად ტროპებთან მიმართებით. მოქმედებს შემდეგი პრინციპი „ მართო სიტყვების საშუალებით.“
მემორიო	საჯარო გამოსვლის ტექსტის დამახსოვრება
აქცია	სიტყვით გამოსვლის პროცესი

როგორც ავტორი (სვანი; 2017) საუბრობს, მოცემული ეტაპები მნიშვნელოვანია დამარწმუნებელი სიტყვის წარმოთქვის პროცესში, აღნიშნული აქტიურად გამოიყენება პოლიტიკურ დისკურსში, აქედან გამომდინარე, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკოსთა წინასაარჩევნო კამპანიისთვის მომზადებულ სიტყვას. რიტორიკული ეტაპების ზუსტი დაცვით კი წინასაარჩევნო გამოსვლა არის ეფექტური, რადგან ამ შემთხვევაში ტექსტი იძენს გარკვეულ მნიშვნელობას ლინგვისტური თვალსაზრისითაც. მოცემულ ცხრილზე (ცხრილი 3) დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ წინასაარჩევნო ტექსტების შემუშავების პროცესში წამყვანი როლი აკისრია პირველ სამ ეტაპს, ესენია: ინვენცია, დისპოზიცია და ელოკუცია, რათა წარმატებული კომუნიკაციის წყალობით პოლიტიკოსმა მოახდინოს გარკვეული ზემოქმედება ადამიანებზე. ამას ადასტურებს ბეარდი (Beard, 2000:58) ნაშრომში „the language of Politics“, სადაც საუბარია წინასაარჩევნო კამპანიისათვის შედგენილ წერილობითი თუ ზეპირი სახის ტექსტებზე, რომელთა მთავარი მიზანია დაარწმუნოს საზოგადოება არჩევნებში ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს

მომხსენებელმა, განსაკუთრებით პოლიტიკურ კონტექსტში, ხშირად უნდა მიმართოს დამოკიდებულებებისა და ემოციების გამოყენებას სიტყვით გამოსვლისას,

ეს კი ეხმარება მომხსენებელს კავშირები დაამყაროს მსმენელსა და პოლიტიკას შორის. დამაჯერებელი გამოსვლისთვის პოლიტიკოსები ხშირად იყენებენ სხვადასხვა რიტორიკულ სტრატეგიას. განვიხილოთ ხშირად გამოყენებული რიტორიკული საშუალებები, რომლებსაც ვხვდებით პოლიტიკოსთა გამოსვლებში. ⁵

1) მეტაფორა

მეტაფორები არის ენობრივი სიმბოლოები, რომლებიც აბსტრაქტულ იდეებს კონკრეტულ ნიშან-თვისებებს ანიჭებს. ეს შესაძლებელია ობიექტებსა და ცნებებს შორის აღქმული მსგავსების გამო, კონკრეტულ მახასიათებლებთან დაკავშირებით, რომელთა გადმოცემაც ადამიანს სურს.

Joe Biden: „We all know life can knock us down. But in America, we never, ever, ever stay down. Americans always get up. Today, that’s what we’re doing: America is rising anew.“ ⁶

(ჩვენ, ყველამ ვიცით, რომ ცხოვრებას შეუძლია გაგვანადგუროს. მაგრამ ამერიკაში ჩვენ არასდროს, არასდროს, არასდროს ვრჩებით ძირს დაცემულები. დღეს ჩვენ სწორედ ამას ვაკეთებთ: ამერიკა ახლიდან აღდგება.)

Joe Biden: „One hundred days ago, America’s house **was on fire**. We had to act. And thanks to the extraordinary leadership of Speaker Pelosi; Malor- — Majority Leader Schumer; and the overwhelming support of the American people — Democrats, independents, and Republicans — we did act.“ ⁷(ასი დღის წინ ამერიკის სახლს ცეცხლი გაუჩნდა. უნდა გვემოქმედა. და მადლობა სპიკერ პელოსის არაჩვეულებრივი ხელმძღვანელობისათვის; მალორ- - უმრავლესობის ლიდერი შუმერი; და ამერიკელი ხალხის - დემოკრატების, დამოუკიდებელებისა და რესპუბლიკელების აბსოლუტური მხარდაჭერა - ჩვენ ვიმოქმედეთ.)

Donald Trump: „When you look at last night. **They’re all running around like chickens with their heads cut off with boxes**. Nobody knows what the **hell is going on**. There’s never been anything like this.“ ⁸(იდიომი) (როცა წუხანდელ ღამეს ვიხსენებთ. ყველა

⁵ <https://library.centre.edu/POL120Fall2019/devices>

⁶ <https://imedinews.ge/ge/politika/76850/qartuli-otsneba-saprezidento-archevnebshi-mkhars-salome-zurabishvils-uchers>

⁷ <https://imedinews.ge/ge/politika/76850/qartuli-otsneba-saprezidento-archevnebshi-mkhars-salome-zurabishvils-uchers>

⁸ <https://apnews.com/article/election-2020-joe-biden-donald-trump-capitol-siege-media-e79eb5164613d6718e9f4502eb471f27>

თავმოჭრილი ქათამივით დარბის. არავინ იცის რა ჯანდაბა ხდება. არასოდეს ყოფილა მსგავსი შემთხვევა.)

სალომე ზურაბიშვილი: „აქ, თელავში, დაიმსხვრა მეფე ერეკლეს გეგმები, რომლებიც უკავშირდებოდა თანამედროვე სახელმწიფოს შექმნას, ახალი სტანდარტების დამკვიდრებას, ქვეყნის ევროპულ გზაზე დაყენებას. აქ შეჩერდა ჩვენი ქვეყნის განვითარება, – საქართველოს ჩაუკეტეს გზა დამოუკიდებელი, ერთიანი, ძლიერი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ. ეს ბევრმა მიზეზმა განაპირობა, მათ შორის, მტრის განზრახვამ. თუმცა, დამოუკიდებლობის აღდგენით დავუბრუნდით ევროპული სახელმწიფოს მშენებლობას, დღეს ჩვენ წინ ისევ გადამწყვეტი ეტაპია.“⁹

2) ანალოგი

ანალოგია, როცა თანამედროვე სიტუაციებს ისტორიულ მოვლენებს ან მითებს ადარებენ, ანალოგიები დამახასიათებელია პოლიტიკური გამოსვლებისთვის.

სალომე ზურაბიშვილი- „უნდა აღინიშნოს, რომ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აღმშენებლობის გზაზე, ყველა პრეზიდენტმა თავისი აგური დადო. ერთი საუკუნის წინ, პირველი რესპუბლიკის მეთაურებმა იმ დროისთვის თანამედროვე და პროგრესული კონსტიტუცია მიიღეს. უდიდესი როლი ითამაშა **ზვიად გამსახურდიამ**, როდესაც დანიშნა რეფერენდუმი და მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. **ედუარდ შევარდნაძემ** პირველმა გაჭრა გზა ევროპული და ევროატლანტიკური სივრცისკენ. **მიხეილ სააკაშვილმა** თავისი მმართველობის საწყის ეტაპზე, საფუძველი ჩაუყარა არაერთ მნიშვნელოვან რეფორმას. **გიორგი მარგველაშვილის** პრეზიდენტობის პერიოდში გადაიდგა ნაბიჯები დემოკრატიული პროცესის გაძლიერებისკენ, გამყარდა სტაბილურობა.“¹⁰

Donald Trump: „ They’ll knock out Lincoln too, by the way. **They’ve been taking** his statue down. But then we **signed a little law**. You hurt our monuments, you hurt our heroes, you go to jail for 10 years, and everything stopped. You notice that? It stopped. It all stopped.

And they **could use Rudy back in New York City**. Rudy. They could use you. Your city’s going to hell. They want Rudy Giuliani back in New York. We’ll get a little younger version

⁹ <https://civil.ge/ka/archives/271166>

¹⁰ <https://civil.ge/ka/archives/271166>

of Rudy. Is that OK, Rudy?” ¹¹(სხვათა შორის, ლინკოლნსაც დაამარცხებენ. მათ ჩამოაგდეს მისი ქანდაკება. მაგრამ შემდეგ მოვაწერეთ ხელი კანონს. ჩვენ თქვენ დააზარალეთ ჩვენი ძეგლები, თქვენ დააზარალეთ ჩვენი გმირები, თქვენ 10 წლით ციხეში მიდიხართ და ყველაფერი გაჩერდა. ამას ამჩნევთ? გაჩერდა. ეს ყველაფერი შეჩერდა. და მათ შეეძლოთ რუდის გამოყენება ნიუ-იორკში. რუდი. მათ შეეძლოთ თქვენი გამოყენება. შენი ქალაქი ჯოჯოხეთში გადადის. მათ სურთ, რომ რუდი ჯულიანი ნიუ-იორკში დაბრუნდეს. ჩვენ მივიღებთ რუდის პატარა ვერსიას. კარგია, რუდი?”)

Joe Biden : „ Throughout our history, if you think about it, public investment and infrastructure has literally transformed America — our attitudes, as well as our opportunities.” ¹²(ჩვენი ისტორიის განმავლობაში, თუ ამაზე დაფიქრდებით, სახელმწიფო ინვესტიციებმა და ინფრასტრუქტურამ ფაქტიურად შეცვალა ამერიკა - ჩვენი დამოკიდებულება, ისევე როგორც ჩვენი შესაძლებლობები.)

3) ნაცვალსახელები

ნაცვალსახელები არის არსებითი სახელის შემცვლელი სიტყვები, კერძოდ, მე ან ჩვენ. ისინი ნათლად წარმოადგენენ პასუხისმგებელ პირებს და ხშირად გარკვეულ გავლენას.

Donald Trump- „We’ve created the greatest economy in history. We rebuilt our military. We get you the biggest tax cuts in history. Right? We got you the biggest regulation cuts.”¹³(ჩვენ შევქმენით უდიდესი ეკონომიკა ისტორიაში. ჩვენ აღვადგინეთ ჩვენი ჯარი. ჩვენ გთავაზობთ გადასახადების ყველაზე მნიშვნელოვან შემცირებას ისტორიაში, არა?)

სალომე ზურაბიშვილი- „ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა. ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ და უნდა შევიდეთ ჩვენი

¹¹ <https://apnews.com/article/election-2020-joe-biden-donald-trump-capitol-siege-media-e79eb5164613d6718e9f4502eb471f27>

¹² <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/04/29/remarks-by-president-biden-in-address-to-a-joint-session-of-congress/>

¹³ <https://apnews.com/article/election-2020-joe-biden-donald-trump-capitol-siege-media-e79eb5164613d6718e9f4502eb471f27>

ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით. ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში.“¹⁴

4) გამეორება

გარკვეული ფრაზების გამეორება ხელს უწყობს მათში შემავალი იდეების „სადი აზრის“ მსმენელზე გადაცემას. ხანგრძლივ გამოსვლებში სიტყვების გამეორება შეიძლება გამოყენებულ იქნას მორალური ფასეულობების ხაზგასასმელად.

Donald Trump- „And by the way, **does anybody believe that** Joe had 80 million votes? **Does anybody believe that?** He had 80 million computer votes. **It's a disgrace.** There's never been anything like that. You could take third-world countries. Just take a look. Take third-world countries. Their elections are more honest than what we've been going through in this country. **It's a disgrace. It's a disgrace.**“¹⁵(და სხვათა შორის, ვინმეს სჯერა, რომ ჯოს 80 მილიონი ხმა მიიღო? ვინმეს სჯერა? მას 80 მილიონი კომპიუტერის ხმა ჰქონდა. ეს სირცხვილია. არასოდეს ყოფილა მსგავსი შემთხვევა. თქვენ შეგიძლიათ აიღოთ მესამე სამყაროს ქვეყნები მაგალითისთვის. უბრალოდ შეხედეთ. ავიღოთ მესამე სამყაროს ქვეყნები. მათი არჩევნები უფრო პატიოსანია, ვიდრე ის, რაც ჩვენ გამოვიარეთ ამ ქვეყანაში. ეს სირცხვილია. ეს სირცხვილია.)

Joe Biden: „**The worst** pandemic in a century. **The worst** economic crisis since ` the Great Depression. **The worst** attack on our democracy since the Civil War.“¹⁶(ყველაზე საშინელი პანდემია იყო მიმდინარე საუკუნეში. ყველაზე უარესი ეკონომიკური კრიზისი დიდი დეპრესიის შემდეგ. ყველაზე საშინელი თავდასხმა ჩვენს დემოკრატიაზე სამოქალაქო ომის შემდეგ.)

Joe Biden: „After 100 days of rescue and renewal, America is ready for takeoff, in my view. We're working **again**, dreaming **again**, discovering **again**, and leading the world **again**.“¹⁷(

¹⁴ <https://civil.ge/ka/archives/271166>

¹⁵ <https://apnews.com/article/election-2020-joe-biden-donald-trump-capitol-siege-media-e79eb5164613d6718e9f4502eb471f27>

¹⁶ <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/04/29/remarks-by-president-biden-in-address-to-a-joint-session-of-congress/>

¹⁷ <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/04/29/remarks-by-president-biden-in-address-to-a-joint-session-of-congress/>

100 დღის გადარჩენისა და განახლების შემდეგ, ჩემი აზრით, ამერიკა მზად არის ასაფრენად. ჩვენ ისევ ვმუშაობთ, ისევ ვოცნებობთ, ხელახლა აღმოვაჩენთ და კვლავ ვმართავთ სამყაროს.)

სალომე ზურაბიშვილი- "ეს არის ჩემი გადაწყვეტილება, გადაწყვეტილება, რომელზეც ბევრი ვიფიქრე. ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობა.“¹⁸

სალომე ზურაბიშვილი: „მადლიერი ვარ მათი, ვინც ხმა მომცა არჩევნებში. მადლიერი ვარ „ქართული ოცნების“, რომელმაც, როგორც პრეზიდენტობის დამოუკიდებელ კანდიდატს, მხარი დამიჭირა და ამით დემოკრატიული ნაბიჯი გადადგა.“¹⁹

5) კონტრასტული წყვილი

კონტრასტული წყვილები გამოიყენება ორ იდეას შორის განსხვავების აღსანიშნავად, ამ განსხვავების შედეგად მსმენელის დაჯერება კონკრეტულის მართებულობაში.

Joe Biden- „With regard to Russia, I know it concerns some of you, but I made very clear to Putin that we’re not going to seek esca- — ecala- — exc- — excuse me — escalation, but their actions will have consequences if they turn out to be true.“²⁰(რაც შეეხება რუსეთს, ვიცი, რომ ეს ეხება ზოგიერთ თქვენგანს, მაგრამ პუტინს ნათლად ვუთხარი, რომ ჩვენ არ ვაპირებთ - ეკალა - - ბოდში - - მაპატიეთ - ესკალაციას, მაგრამ მათ ქმედებებს ექნება შედეგები, თუ ეს ყოველი სიმართლე აღმოჩნდება.)

ირაკლი კობახიძე- „ჩვენ ვფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილს შეუძლია დაამკვიდროს ახალი ტრადიცია ჩვენს კონსტიტუციურ სისტემაში - მას შეუძლია პრეზიდენტის უფლებამოსილებები განახორციელოს არა რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან პოლიტიკური ჯგუფის, არამედ ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებზე დაყრდნობით.“²¹

6) დაწყება-დაბოლოების აღმნიშვნა/Bookending

¹⁸ <https://imedinews.ge/ge/politika/71192/salome-zurabishvili-prezidentad-kenchs-ikris>

¹⁹ <https://civil.ge/ka/archives/271166>

²⁰ <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/04/29/remarks-by-president-biden-in-address-to-a-joint-session-of-congress/>

²¹ <https://imedinews.ge/ge/politika/76850/qartuli-otsneba-saprezidento-archevnebshi-mkhars-salome-zurabishvils-uchers>

როდესაც მომხსენებელი მიმართავს კონკრეტულ ხერხს, ის იწყებს და ამთავრებს საუბარს იმავე იდეით/თემით, რათა ხაზი გაუსვას ამ იდეის/თემის მნიშვნელობას. (ინტერნეტი 4)

სალომე ზურაბიშვილი- „ჩვენ თანამიმდევრულად გავაგრძელებთ მიზნისკენ სვლას, ღირსეულად გავუმკლავდებით შიდა თუ გარე გამოწვევებს, ბოლომდე მივიყვანთ ქვეყნისთვის მნიშვნელოვან რეფორმებს, კიდევ უფრო გავაძლიერებთ დემოკრატიულ ინსტიტუტებს. დემოკრატიული ცნობიერების ამაღლება ჩვენი ამოცანაა. ჩვენ ევროპაში უთუოდ შევალთ და უნდა შევიდეთ ჩვენი ღირებულებებით, იდენტობით, კულტურით. ქართველებს შეგვიძლია, მსოფლიოს გამოვადგეთ უძველესი, მდიდარი, თვითმყოფადი კულტურით, რომელიც ქრისტიანობაზე დგას. ქართულ ცივილიზაციას თამამად შეუძლია, დაიმკვიდროს თავისი ადგილი მსოფლიოში.“ ²²

Joe Biden: „The War in Afghanistan, as we remember the debates here, was never meant to be multi-generational undertakings of nation-building. We went to Afghanistan to get terrorists — the terrorists who attacked us on 9/11 — and we said we would follow Osama bin Laden to the gates of hell to do it. If you’ve been to the upper Kunar Valley, you’ve kind of seen the gates of hell. And after 20 years of value — valor and sacrifice, it’s time to bring those troops home.“ ²³ (ავღანეთის ომი, როგორც გვახსოვს აქ არსებული დებატებით, არასოდეს ყოფილა ერის თაობათა მატებისკენ გამიზნული. ჩვენ წავედით ავღანეთში ტერორისტების დასაჭერად - ტერორისტების, რომლებიც თავს დაგვესხნენ 11 სექტემბერს - და ჩვენ ვთქვით, რომ ოსამა ბინ ლადენს გავყვებოდით ჯოჯოხეთის კარიბჭემდე. თუ თქვენ ყოფილხართ კუნარის ზემო ველზე, ჯოჯოხეთის კარიბჭე გინახავთ. თუ თქვენ ყოფილხართ კუნარის ზემო ველზე, ჯოჯოხეთის კარიბჭე გინახავთ. და 20 წლიანი ღირებულების - ვაჟკაცობისა და მსხვერპლის შემდეგ, დროა მოვიყვანოთ ეს ჯარი სახლში.)

განხილული რიტორიკული საშუალებები და მაგალითები ცხადყოფს საარჩევნო დისკურსის დამაჯერებლობას და ექსრესიულობას, შესაბამისად კი, ზემოქმედებით ფუნქციას იძენს სხვადასხვა ენობრივი საშუალებების გამოყენებით, მათ შორის,

²² <https://civil.ge/ka/archives/271166>

²³ <https://www.whitehouse.gov/briefing-room/speeches-remarks/2021/04/29/remarks-by-president-biden-in-address-to-a-joint-session-of-congress/>

ჩამოთვლილი ენობრივი საშუალებებით. მაგალითად, გამეორების მაგალითებში მოსაუბრე სიტყვებს იმეორებს მორალური ფასეულობების ხაზგასასმელად და მსმენელზე გარკვეული ზეგავლენის მოსახდენად, გარდა ამისა, ხშირად ვხვდებით იდიომების მიზანმიმართულ გამოყენებასაც, როგორც მაგალითში **like chickens with their heads cut off**-(თავმოჭრილი ქათმებივით), რომელიც გულისხმობს უწყესრიგობას და დაბნეულობას.

როგორც უკვე ვახსენეთ, პოლიტიკოსთა გამოსვლებში ხშირია რიტორიკული ხერხების მიზნობრივი გამოყენება, ამ და სხვა მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით გამოიყოფა რიტორიკის შემდეგი ძირითადი ფუნქციები, ესენია :

1. რიტორიკა, როგორც ტექნიკა, რომელიც დარწმუნების, მოქმედების წარმართვის დისკურსშია გამოხატული.
2. რიტორიკა, როგორც არსებული და ჭარბი ფორმების ხატი, რომლითაც ადრესატის მსჯელობის განმტკიცება ხდება გრძნობებზე აპელირებით. (სვანი,თბილისი, 2017:89)

მოცემულ ფუნქციებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს სოციალურ პროცესს, სადაც პოლიტიკოსები ენობრივი საშუალებების გამოყენებით დამაჯერებლობას სძენენ თავიანთ გამოსვლებს და წარმატებულ კომუნიკაციას ამყარებენ საზოგადოებასთან. რაც შეეხება პოლიტიკური / საარჩევნო დისკურსის რიტორიკასთან მიმართებას, განიხილება მიმდინარე დისკურსის ინტერპრეტაციის და საზოგადოების მიერ მისი აღქმის პროცესი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიტორიკა აერთიანებს დისკურსსა და დარწმუნების საშუალებებს, აქედან გამომდინარე, ნებისმიერი პოლიტიკური გამოსვლა, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას გაკეთებული განცხადება, ემსახურება საზოგადოების დარწმუნებას მიმდინარე დისკურსის სისწორეში და მიზანმიმართულია არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოსაპოვებლად.

1.3. საარჩევნო დისკურსის ზემოქმედებითი ფუნქცია

პოლიტიკის მეშვეობით პოლიტიკოსს ეძლევა საშუალება შეიძინოს ან/და შეინარჩუნოს ძალაუფლება იმ ინსტრუმენტების გამოყენებით, რომლებსაც სალაპარაკო ენა უზრუნველყოფს. ენის საშუალებით პოლიტიკოსები გამოხატავენ თავიანთ ძალაუფლებას, აღწერენ თავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებსა და არწმუნებენ მსმენელს გარკვეული პოლიტიკური ქმედებების აუცილებლობაში. (ინტერნეტი 7)

დისკურს ანალიზი პრაგმატიკასთან ახლოს მდგომი დისციპლინაა, თუმცა მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა. კერძოდ, განსხვავება დისკურსის ანალიზსა და პრაგმატიკას შორის შემდეგია, დისკურსის ანალიტიკოსი განიხილავს, თუ რას აკეთებს მოსაუბრე და მსმენელი და ის არ განიხილავს წინადადებებს შორის კავშირს. (Brown, Yule, "Discourse Analysis", 1983), პრაგმატიკა კი შეისწავლის ადამიანის მოქმედებებისა და ფიქრების პრაქტიკულ ასპექტებს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის შეისწავლის ლინგვისტურ ნიშნებს, სიტყვებსა და წინადადებებს აქტიურ სიტუაციაში. მოცემული განმარტებები ცხადყოფს დისკურსის ანალიზსა და პრაგმატიკას შორის არსებულ კავშირს. შესაბამისად, დისკურსის ანალიტიკოსი კვლევისას ითვალისწინებს შემდეგ პრაგმატიკულ ასპექტებს: მინიშნება (reference), ვარაუდი/პრესუპოზიცია (presupposition), ნაგულისხმები/იმპლიკაცია (implicature) და დასკვნა (inference). (Brown, Yule, 1983)

ვან დეიკი გვთავაზობს (2007) ჰიბრიდულ ტერმინს დისკურს-პრაგმატიკას, რომელიც აერთიანებს ორ დისციპლინას: დისკურსსა და პრაგმატიკას და მათი ერთობლივი გამოყენების შედეგს. პრაგმატიკა იკვლევს სამეტყველო აქტს, როგორიცაა: მტკიცებულება, დაპირება, კითხვა, მილოცვა და სხვ. რომელთა წარმოთქმაში უშუალოდ მოსაუბრე მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, დისკურს პრაგმატიკის კვლევის ობიექტია ენის გამოყენების პროცესი და არა სინტაქსი. (Van Dijk, 2007)

ქემერონი (2001) თვლის, რომ პრაგმატიკასა და დისკურსის ანალიზის საერთო ნიშნებით განხილვა შესაძლებელია, გამომდინარე აქედან, რომ პრაგმატიკის კვლევის ობიექტი არის ლინგვისტურ ფორმასა და კომუნიკაციურ ფუნქციას შორის არსებული

კავშირის კვლევა. ამიტომ აუცილებელია განვსაზღვროთ თუ რა კომუნიკაციური ფუნქციის მატარებელია მოცემული წინადადება და რა მნიშვნელობას სძენს ის მიმდინარე დისკურსს.(Cameron,2001)

განხილული მოსაზრებებიდან, ცხადია, რომ პოლიტიკური დისკურსი და პრაგმატიკა ახლოს მდგომი დისციპლინებია, აქიდან გამომდინარე, რომ პრაგმატიკა იკვლევს იმ ლინგვისტური ერთეულების კომუნიკაციურ ფუნქციას და დანიშნულებებს, რასაც პოლიტიკური დისკურსის, კერძოდ კი, წინასაარჩევნო დისკურსის ეფექტურად წარმართვისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, როგორიცაა: საზოგადოების დაინტერესება, დარწმუნება და შედეგად ამომრჩეველთა რიცხვის გაზრდა.

რაც შეეხება ზემოქმედებით ფუნქციას, ვან დაიკის (Van Dijk,1998:124) თანახმად, პოლიტიკური დისკურსი წარმოადგენს, პოლიტიკური სფეროთი შემოფარგლულ ჟანრს, რომელიც **ხასიათდება სპეციფიკური ენობრივი თეზაურუსით და განსაზღვრული ფუნქციით და დანიშნულებით**, მას ზემოქმედებითი ფუნქცია გააჩნია. აღნიშნული ფუნქცია ძლიერდება საარჩევნო დისკურსის შემთხვევაში, იქიდან გამომდინარე, რომ ხალხის დარწმუნება კონკრეტული კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერად ნებისმიერი პოლიტიკური კამპანიისათვის აუცილებელი ამოცანაა. (Van Dijk,1998:124)

პოლიტიკური დისკურსის, კერძოდ კი, საარჩევნო დისკურსის ზემოქმედებით ფუნქციას მოწმობს შემდეგი მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი პოლიტიკური კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს გარკვეული ინტერესებისა და განზრახვების გატარება. შესაბამისად, ენა ემსახურება პოლიტიკას, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკური ბრძოლის, ანუ ზემოქმედების იარაღს. ენა, როგორც იარაღი, საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს ყველა საკომუნიკაციო რესურსისა და სიტყვების მანიპულირებით მოარგოს პოლიტიკური გამოსვლა თავის მიზნებსა და იდეოლოგიას.(Beard,2000:57)

ენის მიზანმიმართულ გამოყენებაზე საუბრობს ვან დაიკი და უილსონი, კერძოდ ვან დეიკის მიხედვით, პოლიტიკოსები ენას განსაკუთრებული მნიშვნელობით იყენებენ. მრავალი განსხვავებული მანიპულაციური სტრატეგიის გამოყენებით ისინი აღწევენ საკომუნიკაციო მიზნებს. ამ შემთხვევაში, აღსანიშნავია, მანიპულაციის

მეთოდი, რომელსაც პოლიტიკოსები ხალხის დასარწმუნებლად იყენებენ. (Van Dijk, 1997) რაც შეეხება უილსონს (Wilson, 1990), ის აფიქსირებს იმავე მოსაზრებას პოლიტიკური ენის მანიპულაციური ხასიათის შესახებ. კერძოდ, ის საუბრობს, რომ პოლიტიკოსები ენის საშუალებით ახერხებენ არა მხოლოდ გარკვეული ინფორმაციის კომუნიკაციას, არამედ პოლიტიკური ენის საშუალებით მანიპულირებენ საზოგადოებაზე და არწმუნებენ მათ მიმდინარე დისკურსის ჭეშმარიტებაში.

პოლიტიკური კომუნიკაციის პროცესში ადრესანტი მიზნად ისახავს გავლენა მოახდინოს ადრესატზე და შეცვალოს მისი შეხედულებები, შეფასებები და იდეები, რათა შეასრულოს თავისი კომუნიკაციური მიზანი. ასეთი ზემოქმედება შესაძლებელი ხდება მხოლოდ იმ ენობრივი ინსტრუმენტებისა და პრაგმატული პოტენციალის იდენტიფიცირებით, რომელსაც იყენებს მომხსენებელი. მაგალითად, გარკვეული საკომუნიკაციო სტრატეგიები და ტაქტიკა.

სტატიაში „**The category of evolution in political discourse**” პოლიტიკური დისკურსი წარმოდგენილია, როგორც კვლევის პოპულარული სფერო, რომელიც განპირობებულია საზოგადოებასთან მჭიდრო კავშირით, უფრო მეტიც, ის აღწევს საზოგადოებაში. პოლიტიკური დისკურსი რთული ლინგვისტური ფენომენია, რომელიც პირდაპირ ან ირიბად მიზნად ისახავს პოლიტიკის გავრცელებას, რომელიც გარკვეულწილად არჩევნების დროს ხმათა უმრავლესობის მოპოვების საშუალებაა. (Ananko, 2017)

მოცემულ განმარტებებს თუ დავეყრდნობით, შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიტიკური დისკურსის მჭიდრო კავშირზე საზოგადოებასთან, რომელიც პოლიტიკის გავრცელების პარალელურად ახერხებს საზოგადოებაზე არსებული იდეოლოგიის გადაცემას, გავლენის მოხდენასა და დარწმუნებას. მაგალითად, საარჩევნო კამპანიის მსვლელობისას პოლიტიკოსისათვის, როგორც კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლისთვის, რომელიც არჩევნებში მონაწილეობს, ერთგვარი გამოწვევაა საზოგადოებასთან, თავის ამომრჩეველთან დაამყაროს წარმატებული და დასამახსოვრებელი კომუნიკაცია, წარმატებული კომუნიკაცია კი თავისთავად გულისხმობს პოლიტიკოსის მიერ გატარებული იდეოლოგიის, ინტერესებისა და ღირებულებების გაზიარებას მსმენელებისათვის.

წინასაარჩევნო დისკურსი ემსახურება ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური სურათის შექმნას, რომელიც ავლენს საზოგადოებაში არსებულ მწვავე და აქტუალურ პრობლემებს. აღნიშნულს იყენებენ პოლიტიკოსები და ცდილობენ გარკვეული ზემოქმედების საშუალებით დაარწმუნონ მსმენელები, რათა მიაღწიონ საბოლოო მიზანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, წინასაარჩევნო გამოსვლა ეფექტურ ემოციურ და ფსიქოლოგიურ გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. ის შეიცავს მოწოდებებსა და მოტივაციას აღვივებს მსმენელში, რათა მიღწეულ იქნას გარკვეული მიზნები. (Abdurakhmanova, Redkozubova, 2021)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნებისმიერი წინასაარჩევნო ტექსტი თავის მხრივ მანიპულაციური ნიშნებით ხასიათდება, რადგან პოლიტიკოსის მიზანია ფარული გავლენა მოახდინოს პოტენციურ ამომრჩევლებზე. ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენება წინასაარჩევნო დისკურსში ვლინდება სხვადასხვა დონეზე: ფონოგრაფიული, ლექსიკური, გრამატიკული და ტექსტური; ფონოგრაფიული დონე მეტაგრაფიული საშუალებაა, რომელიც ხშირად გამოიყენება წინასაარჩევნო ტექსტებში (ხაზგასმა, შრიფტის შერჩევა, დიდი ასოები). ის გამოიყენება შემდეგი ძირითადი მიზნით, საარჩევნო პროგრამის ძირითადი პოზიციების მონიშვნა ან ინდივიდუალური სიტყვები, რომლებზეც ყურადღებაა გამახვილებული. ლექსიკურ-სემანტიკურ საშუალებებში შედის სიტყვის ან მისი ეკვივალენტის კონცეპტუალური შინაარსი. (Yapparova, et.al. 2017)

წინასაარჩევნო დისკურსის მთავარი თავისებურება ისაა, რომ ის ძირითადად იმ ტექსტურ ტიპებს შეიცავს, რომლებსაც აქვთ მანიპულაციური განზრახვა, როგორც გაბატონებული პოლიტიკური ტექსტის ტიპებს შორის, ასევე მანიპულაციურ სახეობაში შეიძლება ვიხილოთ პოლიტიკური ინტერვიუები, ლოზუნგები, განცხადებები, სტატიები სპეციალური პარტიული პლაკატები და გარკვეული შეტყობინებები ელექტრონულ მედიაში. მიუხედავად ამისა, მანიპულაციური შეტყობინების ყველაზე გამორჩეული სახეობა, რომელიც წინასაარჩევნოდ ფუნქციონირებს არის წინასაარჩევნო პროპაგანდისტული გამოსვლების ტექსტი. ყველა გამოსვლა შეიცავს სპეციალური ეტიკეტის ფრაზებს (მაგალითად, მისალმებებს). მათი მთავარი კომუნიკაციური განზრახვა ამომრჩევლისთვის პირობის მიცემაა. ამას გარდა, იკვეთება კიდევ ერთი საინტერესო თავისებურება:

წინასაარჩევნო გამოსვლის მიმღები სრულად ან ნაწილობრივ აცნობიერებს შეტყობინების მანიპულაციურ ხასიათს. (Ana B. Cabrejas-Peñuelas, 47:2015)

ვერბალური კომუნიკაცია გავლენის ყველაზე ეფექტური და მრავალმხრივი საშუალებაა. ვოდაკი (1997) თვლის რომ ენას არ აქვს ძალა, ის იღებს ძალას მხოლოდ მაშინ, როდესაც მას იყენებენ ძალაუფლების მქონე ადამიანები. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პოლიტიკური ენა მსმენელზე ზემოქმედებას ახდენს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას იყენებს პოლიტიკოსი. ეს მოსაზრება თავისთავად ეხმიანება ჯეიმს ჯიის (Gee, 2001:17) მიერ შემოთავაზებულ პოლიტიკური დისკურსის განმარტებას. კერძოდ, ის(პოლიტიკური დისკურსი) წარმოადგენს „შესაფერისი გზით“ შესაფერის ადამიანებთან შესაფერის დროსა და ადგილას წარმართულ საკომუნიკაციო აქტს. მეორეს მხრივ, გვერდს ვერ ავუვლით შეიგალისა და ჩერნიავსკაიას მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას ენის შესახებ, რომელიც აძლევს მოსაუბრეს ძალაუფლების გამოვლენის საშუალებებს (Sheygal, 2004; Chernyavskaya, 2006). შესაბამისად, ძალაუფლება, ძალაუფლების გამოვლენა და ენის აქტიური გამოყენება პოლიტიკოსის შემთხვევაში ურთიერთ თანხვედრია, უფრო მეტიც, ერთის გამოვლინება გულისხმობს მეორის აქტიურ გამოყენებას.

როგორც მოყვანილი მოსაზრებებიდან ირკვევა, წინასაარჩევნო კამპანია გამოირჩევა მანიპულაციური ფუნქციით, რომელიც ხასიათდება ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით, წინასაარჩევნო გამოსვლებში პოტენციურ ამომრჩეველზე ფარული გავლენის მოხდენის მიზნით. უფრო კონკრეტულად კი, წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას პოლიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ არსებულ აქტუალურ პრობლემებზე, რათა უზრუნველყონ ძლიერი ფსიქო-ემოციური ზეგავლენა საზოგადოებაზე და ამის საშუალებით არჩევნებში მიიღონ მათგან მხარდაჭერა.

მანიპულირება შესწავლილია სხვადასხვა კუთხით, როგორიცაა: კრიტიკული დისკურსის ანალიზი (CDA) (Danler 2005; van Dijk 2006) და არგუმენტაციის თეორია (Rocci 2005). მანიპულაციის მექანიზმის კვლევა კი, ბოლო ათწლეულის განმავლობაში გრძელდება ვან დეიკის (2001, 2006) თეორიის მიხედვით და მისი ანალიზი მეტწილად მულტიდისციპლინური მიდგომებით ხორციელდება. ის

აერთიანებს სოციალურ, კოგნიტურ და დისკურსულ სამკუთხედსა და მათ მიღწევებს.

აღსანიშნავია, რომ მანიპულირება არის **სოციალური ფენომენი, კოგნიტიური ფენომენი** (იგი მოიცავს მანიპულირებულთა გონებრივ კონტროლს) და **დისკურსული ფენომენი** (იგი მოიცავს ტექსტს, ლაპარაკს და ვიზუალურ სურათებს) (van Dijk 2006: 361). შესაბამისად, მანიპულირება გულისხმობს არა მხოლოდ ტექსტის და ცალკეული წინადადების მნიშვნელობათა კვლევას, არამედ ის, თუ როგორ გამოიყენება ძალაუფლება საჯარო დისკურსში იმ პირთა ინტერესების დაცვით, რომლებიც ძალაუფლებას ბოროტად იყენებენ. (van Dijk 2006: 361)

ბერდის თანახმად, პოლიტიკური დარწმუნების ხშირი გამოვლინება არის საკუთარი იდეების ეფექტურობისა და მოწინააღმდეგე პარტიების შეხედულებების კრიტიკის ურთიერთდაპირისპირება. (Beard 2000:57) ბერდის მოცემული მოსაზრება ეხმიანება ვან დეიკისეულ შეხედულებას, რომელიც პარტიებს შორის არსებულ დაპირისპირებას (binary opposition) ორმაგი ოპოზიციის მაგალითით ხსნის, კერძოდ, პარტიების საპირისპირო პოზიციებში ყოფნა წარმოდგენილია შემდეგი პოლიტიკური სტრატეგიებით, საკუთარი პარტიის დადებითი კუთხით, ხოლო ოპოზიციური პარტიის უარყოფითი კუთხით წარმოჩენით (van Dijk, 2015). თუმცა ამ დაპირისპირების დამაჯერებლად წარმოსადგენად აუცილებელია პოლიტიკოსმა შესაბამისი მყარი არგუმენტებით გაამდიდროს თავისი გამოსვლა. „დარწმუნების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება არის სწორად ჩამოყალიბებული არგუმენტი“ ვკითხულობთ ქებურიას (2019: 28) ნაშრომში „**დარწმუნების ლინგვოპრაგმატიკული მახასიათებლები და პრაქტიკული არგუმენტაცია პოლიტიკურ დისკურსში.**“ არგუმენტაციის მთავარ მახასიათებლად ავტორი განიხილავს წინამძღვრებასა და მსჯელობას, რათა დასკვნა და შესაბამისად არგუმენტაცია დამაჯერებელი იყოს.

გარდა ამისა, ქებურია (ibid:24) წარმოადგენს არგუმენტის ძირითად შემადგენელ ნაწილებს, ესენია:

1) არსებული გარემოება-არსებული გარემოების გათვალისწინებით ყალიბდება მიზანი, სწორედ მისი გათვალისწინებით იღებს სუბიექტი გარკვეულ გადაწყვეტილებებს;

2) მიზანი-სამომავლოდ სასურველი მდგომარეობა;

3) მიზან -შედეგობრივი კავშირი-ვარაუდი იმის შესახებ თუ რა მოხდება სუბიექტის მიერ არსებული ღონისძიების გატარების შემთხვევაში;

4)ღირებულება-მოწოდებისთვის აუცილებელი პირობა;

5)მტკიცება- მოწოდება გარკვეული ნაბიჯისკენ.

მაჭავარიანის (2019) სტატიაში „**პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-ენობრივი ასპექტები**“ ვკითხულობთ პოლიტიკოსთან წინასაარჩევნო გამოსვლებში არსებული ძირითადი ზემოქმედებითი გავლენის შესახებ, კერძოდ, პოლიტიკური ინტერაქციის პროცესში პოლიტიკოსი მიმართავს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს და შეუძლია მათში გამოიწვიოს განსხვავებული რეაქციები. ამ პროცესში ზემოქმედებითი ფუნქცია წამყვანია, თუმცა ზემოქმედების პარალელურად მაჭავარიანი გამოყოფს შემდეგ ფუნქციებს:

1)**იდენტიფიკაციის ფუნქცია** (ინტეგრაცია და გარჩევა-განსხვავება)- ენა წარმოდგენილია როგორც „**გამაერთიანებელი სიმბოლო**“, რომელიც უზრუნველყოფს ჯგუფის სიმტკიცეს სხვებთან მიმართებით.

2)**მართვის ფუნქცია-ენობრივი საშუალებების** (მორფო-სინტაქსური და ლექსიკური ერთეულები) მიზანმიმართული და სტრატეგიულად დაგეგმილი გამოყენება. აღსანიშნავია, რომ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას მართვის ფუნქცია გამოიყენება არა მხოლოდ აუდიტორიის ყურადღების, არამედ მათი აზრების, ქცევებისა და მოქმედებების სამართავადაც. „**შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ენა წარმოადგენს პოლიტიკური პროპაგანდის შემადგენელ ნაწილს, რომელიც აკონტროლებს და აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს.**“ (მაჭავარიანი,126-127:2019)

მოცემულ სტატიებში იკვეთება წინასაარჩევნო გამოსვლის მიზნის ფორმირებისა და მისი პრაქტიკული თვალსაზრისით საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის მექანიზმი, კერძოდ, ორივე სტატიის თანახმად ნებისმიერი პოლიტიკოსის სიტყვით გამოსვლის მთავარი მიზანი მსმენელზე ზემოქმედების მოხდენა და საზოგადოების აზრის კონტროლისა და ფორმირების საშუალებით გარკვეული ქმედებებისაკენ მოწოდებაა.

ნაშრომში „**Linguistic Features of Political Discourse**“ კენჟეკანოვა (Kenzhekanova,2015:193) საუბრობს პოლიტიკური დისკურსის ძირითად

მახასიათებლებზე, რომლებიც პოლიტიკური დისკურსის ნებისმიერ სახეზე ვრცელდება, მათ შორის წინასაარჩევნო დისკურსზე. ავტორი პოლიტიკური დისკურსის შინაარსის მიხედვით გვთავაზობს პოლიტიკის ყველა არსებითი მახასიათებლის ერთობლიობას დისკურსში, რომელიც საერთოა ამ დისკურსის ყველა ჟანრისთვის და შეუძლია განასხვავოს იგი დისკურსის სხვა ტიპებისაგან. არსებული განმასხვავებელი მახასიათებლები ყოვლისმომცველ და ზუსტ სისტემას ქმნის, რომლის თავისებურებებიც დამოკიდებულია კონკრეტული დისკურსის ტიპსა და სპეციფიკაზე.

კენჭეკანოვა (ibid:193-197) სხვადასხვა ავტორის კლასიფიკაციის გათვალისწინებით (ალექსეევა, 2001; კარასიკი, 2004; კონკოვი, 2011; ჰლეევა, 1999) გვთავაზობს პოლიტიკური დისკურსის ყველაზე გავრცელებულ სემანტიკურ-პრაგმატულ კატეგორიებს, რომლებიც პოლიტიკური დისკურსის ნებისმიერი სახის აუცილებელი მახასიათებელია, ესენია:

1. ავტორის სახე

- ა) ავტორის აბსტრაქცია, როდესაც მის პიროვნულ მახასიათებლებსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას არ აქვს კომუნიკაციური პრიორიტეტი;
- ბ) ავტორის პერსონიფიკაცია, როდესაც თანამოსაუბრის პიროვნული მახასიათებლები და მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კომუნიკაციის პროცესზე;
- გ) განცხადების სტილი;
- დ) პარატექსტუალური კომპონენტები (ავტორის ფოტო, მოკლე ინფორმაცია ავტორის შესახებ, ავტორის სურათი). მაგალითად, კანდიდატის ხედვა მომავლის შესახებ: ის მოიცავს შემდეგ ორ კატეგორიას:
 - ა) კომუნიკაციური ლიდერობა (კომუნიკაციის სიტუაციაში კომუნიკაბელური ლიდერი იქნება ის, ვინც არეგულირებს კომუნიკაციის პროცესს კომუნიკაციურ ობიექტებამდე მიღწევით)
 - ბ) კომუნიკაციური თანასწორობა (კომუნიკაციის სიტუაციაში შესაძლებელია საუბარი თანამოსაუბრეთა თანასწორობაზე)

2. ადრესატის უნარი ან ფაქტორი

ადრესატის უნარი, როგორც დისკურსის კატეგორია ერთ-ერთი პრიორიტეტულია. კონკრეტული ტექსტი ითვალისწინებს ადრესატის აბსტრაქტული მოდელის შექმნას, რომელსაც აქვს სხვადასხვა ფუნქციები და უზრუნველყოფს შეტყობინების გააზრებულ აღქმას.

3. ინფორმაციულობა

ეს კატეგორია მეტ-ნაკლებად ახასიათებს კომუნიკაციის ნებისმიერ აქტს, მაგრამ მაინც დამოკიდებულია დისკურსის კომუნიკაციურ მიზნებზე. პოლიტიკური დისკურსის მიზანი და მისი სოციალური მისია არის ადრესატებისთვის პოლიტიკურად კორექტული ქმედებების შეთავაზება.

4. მიზანმიმართულობა

ეს არის დისკურსის კატეგორია, რომელიც გულისხმობს მომხსენებლის კომუნიკაციურ განზრახვას. ნებისმიერი ზეპირი კომუნიკაცია (ზეპირი ტექსტი) ნათქვამია ავტორის მიერ ამა თუ იმ განზრახვით. ეს კატეგორია პოლიტიკურ დისკურსთან მიმართებაში პირდაპირ დამოკიდებულია დისკურს მიზანზე, რომელიც კარნახობს ადრესატს ვერბალური ქცევის წესებს.

5. შეფასება

ნებისმიერი პოლიტიკური გამოსვლის მიზანია არა რეალობის ობიექტურად აღწერა, არამედ არსებული თავისებურებების ხაზგასმით მსმენელის დარწმუნება. შესაბამისად, პოლიტიკოსი საჯარო გამოსვლით ახერხებს პოლიტიკური მოვლენის შეფასებას. ამ მიზნით, პოლიტიკურ დისკურსში მოსაუბრეს შეუძლია გამოიყენოს აქსიოლოგიური (სავარაუდო) ლექსიკა, რომელიც წარმოადგენს ერთგვარი მნიშვნელობის ცენტრს, რომელიც გავლენას ახდენს მკითხველის/მსმენელის ცნობიერებაზე.

6. პირობითობა

პირობითობას აქვს გამოვლინების სამი ფორმა:

ა) კლიშე (ანუ ინფორმაციის სიცხადე და სიზუსტე, განცხადების ლოგიკურობა და სიმარტივე; ინფორმაციის ლაკონურობა)

ბ) ტერმინოლოგიურობა (ანუ ტერმინოლოგიური აპარატის არსებობა, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას)

გ) რიტუალობა (ანუ ქცევის სტერეოტიპიზაცია).

7. ემოციურ-ექსპრესიულობა

პოლიტიკური დისკურსის ექსპრესიულობა დამოკიდებულია მათი გამოყენების მიზანზე, შესაბამისად, სემანტიკური მახასიათებლები შეიძლება განსხვავდებოდეს მეგობრულიდან ოდნავ სარკასტულ გამომხატველობამდე. ინსტიტუციური, ე.ი. ფორმულირებების ოფიციალური ეტიკეტი პოლიტიკურ დისკურსში საკმაოდ ხშირად ირღვევა.

8. მოდალობა

მოდალობის კატეგორია გაგებულია, როგორც მოსაუბრის დამოკიდებულება რეალობისადმი. გამონათქვამების შინაარსით მომხსენებელი გადმოსცემს თავის დამოკიდებულებას არსებული რეალობის მიმართ, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს არა მხოლოდ დისკურსის მონაწილეებზე, არამედ მთლიანად დისკურსზე.

9. ინტერტექსტუალობა

ინტერტექსტუალობის კატეგორიის გამოვლინება გულისხმობს საზოგადოებრივ და ენობრივ სტრუქტურებს შორის ურთიერთობების ჩვენებას;

10. სოციო-კულტურული კონტექსტი

ეს კატეგორია წარმოადგენს სოციალურ-კულტურული კონტექსტების(ცოდნის) კომპლექსის გააქტიურებისა და ჩართვის უნარს მიმღებების მიერ (Filonenko, 2005) აღქმის პროცესში. სწორედ ამაზეა დამოკიდებული საზოგადოების მიერ პოლიტიკური ზეპირი თუ წერილობითი ტექსტების გაგება.

პოლიტიკური დისკურსის სემანტიკურ-პრაგმატიკული მახასიათებლებით შეგვიძლია ვისაუბროთ პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთ ჯგუფზე - საარჩევნო პოლიტიკურ დისკურსზე. ზემოთ წარმოდგენილი მახასიათებლები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ წინასაარჩევნო დისკურსზე, იქიდან გამომდინარე, მთავარი მიზანი არის მსმენელზე ზეგავლენის მოხდენა და დარწმუნება, ყველა ეს ფაქტორი კი საზოგადოებისგან ხმების მოპოვებისთვის აუცილებელი პირობაა.

ხშირად წინასაარჩევნო გამოსვლებში პოლიტიკოსი ცდილობს მიიზიდოს ამომრჩეველი, რასაც ახერხებს უსაფრთხო და უპრობლემო მომავალი ცხოვრების მენტალური მოდელების მიწოდებითა და დარწმუნების საშუალებით, ზოგადი

შინაარსის მექანე დაპირებებით, როგორცაა, მაგალითად, *მთავრობა კარგად იზრუნებს თავის მოქალაქეებზე*. (Nardelli Debac, 2021)

ლინგვისტური თვალსაზრისით, პოლიტიკური კამპანიები საინტერესოა იმიტომ, რომ ისინი იყენებენ სხვადასხვა ენობრივ საშუალებებს საბოლოო მიზნის მისაღწევად, დაარწმუნოს ამომრჩეველი ხმა მისცეს მის კანდიდატს და პარტიას. პოლიტიკურ კამპანიებში მონაწილე პირები თავიანთი გამოსვლებით, წერილობითი ტექსტებითა და გადაცემებით ახერხებენ ამომრჩეველების ინფორმირებასა და ინსტრუქტაჟის მიცემას იმ საკითხების შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანია საარჩევნო კამპანიის წარმატებით განხორციელებისთვის, საბოლოო ჯამში, ყველა წინასაარჩევნო წერილობითი თუ სალაპარაკო ტექსტი შექმნილია იმისათვის, რომ დაარწმუნოს ხალხი, გააკეთოს ერთი რამ: ხმა მისცეს რომელიმე პოლიტიკურ წარმომადგენელს. ამ კონკრეტულ პროცესს ბერდი (Beard, 2000:57) უწოდებს **საკუთარი თავის პოზიტიურად გაყიდვას**, იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკოსები საკუთარი თავისა და პარტიის დადებითად წარმოჩენის სანაცვლოდ იღებენ ამომრჩეველთა ხმას, ხოლო ენა, როგორც ერთ-ერთი ინსტრუმენტი, ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

განხილულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთან წინასაარჩევნო გამოსვლებში კომუნიკაციის შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებები იკვეთება, ესენია: ვიწრო მნიშვნელობით ნებისმიერი საკომუნიკაციო აქტისთვის ნიშანდობლივია აზრის, ინფორმაციის გადაცემა, კომუნიკაცია სიმბოლოების გამოყენებით. კონკრეტულ შემთხვევაში სიმბოლოს წარმოადგენს ენობრივი ნიშნები, რომელთა დახმარებითაც ერთი ინდივიდი ან ჯგუფი ახორციელებს კონკრეტული საკითხზე არსებული დამოკიდებულების კომუნიკაციას, რაც შეეხება კომუნიკაციის ფართო გაგებას, ის გულისხმობს კომუნიკაციის პროცესში ყველა იმ მეთოდის გამოყენებას, რომელთა დახმარებითაც ინდივიდს ან სოციალურ ჯგუფს შეუძლია მსმენელზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა.

შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის წინასაარჩევნო გამოსვლის მთავარი მამოძრავებელი მიზანი არის არსებული რეალობის შესახებ დამოკიდებულების ჩვენება და ამის პარალელურად, მსმენელზე, როგორც მომავალ

ამომრჩეველზე, დარწმუნების საშუალებით ზემოქმედების მოხდენა. ზემოქმედების მექანიზმს ხშირად წარმოადგენს ძალაუფლების ჩვენება, (van Dijk 2006) სწორად ჩამოყალიბებული არგუმენტი (ქებურია, თბილისი, 2019), უსაფრთხო და უპრობლემო მომავალი ცხოვრების მენტალური მოდელების მიწოდებითა (Nardelli Debac,Zagreb,2021) და/ან საკუთარი თავის პოზიტიურად გაყიდვა-წარმოჩენა (Beard A,2000:57). თუმცა, საინტერესოა, როგორ ახერხებს არსებული ინფორმაციის კომუნიკაცია ამომრჩეველზე გარკვეულ ზემოქმედებას? ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის პოლიტიკისა და მართვის ძირითადი ფუნქცია ინფორმაციის მიღება და გადამუშავებაა, რათა მართებული გადაწყვეტილება მიიღონ, სწორედ ეს გადაწყვეტილება იწვევს გარკვეულ რეაქციას, ეს კი ზემოქმედებს მიზნების მიღწევაზე. შესაბამისად, პოლიტიკური ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებსა და მიღებული შედეგების შესახებ ზუსტ უკუკავშირს, რათა შემდგომში მიიღონ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც გარკვეულ შედეგზე გაიყვანს პარტიას.²⁴

დავუბრუნდეთ ბერდის მიერ წინასაარჩევნო კამპანიის შემოთავაზებულ განმარტებას, კერძოდ, მას უწოდებს საკუთარი თავის პოზიტიურად გაყიდვას, იმავე მოსაზრებას ვკითხულობთ ვან დეიკის ნაშრომშიც (2000), თუმცა იმ განსხვავებით, რომ ის უკავშირდება პოლიტიკური პარტიის მიერ გატარებულ გარკვეულ იდეოლოგიას. ვან დეიკი (2000) საუბრობს, რომ იდეოლოგია გადამწყვეტ როლს თამაშობს გარკვეული ჯგუფების დადებითად წარმოდგენის პროცესში. პოლიტიკოსი საკუთარ თავსა და პოლიტიკურ პარტიას, რომელსაც ეკუთვნის ის, წარმოაჩენს პოზიტიურად, ხოლო სხვა მოწინააღმდეგე პოლიტიკურ პარტიებს უარყოფითად (van Dijk 2000). ვან დეიკის მოსაზრებას სხვა სიტყვებით წარმოგვიდგენს კადიმი (Kadim, E. N) ნაშრომში „ **A critical discourse analysis of Trump's election campaign speeches**“, სადაც ის საუბრობს, რომ პოლიტიკოსი თავისი პოლიტიკური პარტიის წევრებს ყოველთვის დადებითად წარმოადგენს, ხოლო მოწინააღმდეგე პარტიის წევრებს ყოველთვის უარყოფითად. ის თავის ნაშრომში მოცემულ განმარტებას თან ურთავს განზოგადებულ ცხრილს ტრამპის წინასაარჩევნო გამოსვლის მიხედვით:

²⁴ https://old.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/kulturisa%20da%20mediis%20socilogia.pdf

ცხრილი 4.

პოლიტიკური პარტია რომელსაც კანდიდატი ეკუთვნის	მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიები
თქვით დადებითი რამ აშშ-ზე.	თქვით უარყოფითი რამ მათ შესახებ.
ნუ ამბობთ უარყოფით რამეებს აშშ-ზე.	ნუ ამბობთ მათზე დადებით რამეებს

მოსაუბრეს, როგორც წესი დასახული აქვს მიზანი, დაუახლოვდეს აუდიტორიას და ამ მიზანს ის აღწევს ენის ნორმების სათანადო გამოყენებით და თავისი მეტყველების შესაბამის აუდიტორიაზე მორგებით. ლუნდბერგის (Lundberg, 2008:18)მოსაზრებით, რიგი ფაქტორები განსაზღვრავენ იმას თუ როგორი კომუნიკაცია ახდენს აუდიტორიაზე გავლენას, მათგან აღსანიშნავია:

1. სიტუაცია- რა აძლევს მსმენელს მოსმენის მოტივაციას? რა მოლოდინი აქვს მსმენელს?
2. კონტექსტი- რა არის კომუნიკაციის ფართო კონტექსტი?
3. დემოგრაფია- მსმენელთა მახასიათებლები: ასაკი, სქესი, რასა, რელიგიური მრწამსი, ეთნიკური ჯგუფი, პოლიტიკური დამოკიდებულება და სოციოეკონომიკური სტატუსი.
4. იდეოლოგია - ღირებულებები, შეხედულებები

ზემოქმედების მოხდენის მიზნით ხშირად ვხვდებით ისეთ გამოთქმებსა და სიტყვებს, რომლებსაც იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ და რომელთა მნიშვნელობას მიმდინარე დისკურსი განსაზღვრავს. მათგან აღსანიშნავია **პერმისივებისა და პერფორმატივების** ხშირი მიზნობრივი გამოყენება წინასაარჩევნო ტექსტებში. (მაჭავარიანი,127:2019) მათგან პირველი გულისხმობს დისკურსის მსვლელობისას ისეთი ლექსიკური ერთეულოების გამოყენებას, რომლებიც აღნიშნავენ ნებართვას, პირობის მიცემას, შეთანხმებას ან მოლაპარაკებას (მაგ, ჩემი არჩევის შემხვევაში ...), ხოლო მეორე გულისხმობს, ისეთ ენობრივ ერთეულებს, რომლებიც მოქმედების ეკვივალენტურია (მაგ. სიმართლე გითხრათ).

ხარისხიანი წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსი დემოკრატიის არსებითი ნაწილია. მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენები შეშფოთებას იწვევს, იმის გამო, რომ დისკურსის ხარისხი ამჟამად ძალიან დაბალია. განსაკუთრებული ყურადღება

უნდა გავამახვილოთ დაბალანსებულ და სანდო ინფორმაციაზე და არა მაცდუნებელ დეზინფორმაციაზე, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომია²⁵.

მოხსენება, „**Doing Democracy Better: how can information and discourse in election and referendum campaigns in the UK be improved**” არის პასუხი პოლიტიკური დისკურსის ხარისხით გამოწვეულ უკმაყოფილებაზე და ამომრჩეველთათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის ნაკლებობაზე ბოლო საარჩევნო და რეფერენდუმის კამპანიების დროს. მათი ძირითადი რეკომენდაციაა, რომ შეიქმნას ახალი „საინფორმაციო კერა“, რომელიც ამომრჩევლებს არჩევნებისა და რეფერენდუმის პერიოდში ინფორმაციას ხელმისაწვდომს გახდის. სანდო უნდა იყოს მრავალი სახის ინფორმაცია, მათ შორის:

1. ძირითადი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად, როდის და როგორ უნდა მიეცეს ხმა;
2. ინფორმაცია იმის შესახებ, თუ ვინ არიან კანდიდატები მოცემულ სფეროში;
3. უნდა შეიქმნას ხმის მიცემისათვის აპლიკაციები რჩევებით, რომლებიც ამომრჩევლებს დაეხმარება შეადარონ თავიანთი პოლიტიკური პარტიების პოზიციები ან რეფერენდუმის ვარიანტები;
4. პოლიტიკური პარტიების მიერ გაკეთებული შემოთავაზებების ანალიზები, მაგალითად, როგორ იმოქმედებს პოლიტიკური წინადადებები ეკონომიკის მდგომარეობაზე ან საჯარო სერვისების კეთილდღეობაზე;
5. მტკიცებულებები იმის შესახებ, თუ რას ფიქრობენ რიგითი მოქალაქეები განსახილველ საკითხებზე, როდესაც მათ აქვთ შესაძლებლობა გაეცნონ, განსაჯონ და სიღრმისეულად განიხილონ ეს საკითხები.

ავტორები ამტკიცებენ, რომ ხარისხისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საინფორმაციო ცენტრი უნდა იყოს საჯაროდ დაფინანსებული და იმართებოდეს დამოუკიდებელი საჯარო ორგანოს მიერ. ეს ორგანო თავად არ ამუშავებს ყველა მასალას, მაგრამ აგროვებს მათ სხვადასხვა სანდო წყაროდან. შეძლებისდაგვარად, ამ ნაშრომში თავმოყრილი იქნება მოქალაქეთა თითოეული ნააზრევი.²⁶

²⁵ <https://www.ucl.ac.uk/constitution-unit/research-areas/elections-and-referendums/improving-discourse-during-election-and-referendum>

²⁶ <https://www.ucl.ac.uk/constitution-unit/news/2019/mar/new-report-doing-democracy-better>

როგორც ვხედავთ, სანდო და ხარისხიანი ინფორმაცია საარჩევნო კამპანიისათვის მნიშვნელოვანია, რადგან ის მიზანმიმართულია საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენაზე, მათ დარწმუნებასა და ამომრჩეველთაგან წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის შედეგად ხმათა უმრავლესობის მიღებაზე. აღნიშნულის ხელშეწყობის მიზნით კი სასურველია წინასაარჩევნო კამპანიები პარალელურად დაიგეგმოს და შეიქმნას „საინფორმაციო კერები“ განსაზღვრული სამოქმედო გეგმით.

წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტები ყოველთვის არ არის აშკარა. მაგრამ პოლიტიკოსების შეტყობინებებს აქვს მნიშვნელოვანი ეფექტი და შეიძლება იყოს ძალიან მნიშვნელოვანი მიმდინარე წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისათვის. ბენუა (Benoit, 2017:4) წინასაარჩევნო კამპანიის ეფექტურად წარმართვის პროცესსა და მოსალოდნელ ეფექტს ახასიათებს სხვადასხვა მეცნიერის მიერ შემოთავაზებული მეტაფორით. კერძოდ, საიდსმა (Sides) და ვავრეკმა (Vavrek) (2013) შემოგვთავაზეს წინასაარჩევნო კამპანიის დახასიათება საინტერესო მეტაფორით- „a game of tug-of-war“. აღნიშნული მეტაფორა შეგვიძლია გავიგოთ, როგორც არჩევნებში მონაწილე პარტიებისთვის წარმატებული წინასაარჩევნო კამპანიის „ბაგირით გადაწევა“, რომელიც მიიღწევა ყველა შესაძლო რესურსითა და ძალისხმევით.

წინასაარჩევნო კამპანია კანდიდატებს საშუალებას აძლევს შეხვდნენ მოქალაქეებს და უზრუნველყონ ამომრჩევლების მოთხოვნები, დააკმაყოფილონ მათი მოლოდინი და საჭიროებები. კანდიდატების საარჩევნო გზავნილები საინტერესოა ენობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შეგვიძლია ვისაუბროთ **წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ თეორიაზე**. ბენუა (Benoit, 2017:4) ფუნქციური თეორიის განვითარების რიგ მიზეზებს ასახელებს:

1. ძალიან ბევრი საარჩევნო კამპანიის გზავნილების კვლევა თეორიულია. ფუნქციური თეორია ასახავს საარჩევნო დისკურსთან დაკავშირებულ ვარაუდებს და პროგნოზირებს მოსალოდნელ შედეგებს.
2. პოლიტიკური სატელევიზიო რგოლების შინაარსის ანალიზი საკმაოდ გავრცელებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.
3. რეკლამებზე ჩატარებული კონტენტ ანალიზი საკმაოდ მწირია შედეგის თვალსაზრისით, ზოგიერთი კვლევა არ განიხილავს ფუნქციებს და თემებს (ფუნქციური თეორიის ანალიზები კი განიხილავს ორივეს)

როგორც ვხედავთ, წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ფუნქციური კვლევა გვამდებს საშუალებას განვიხილოთ მისი არა მხოლოდ თეორიული ბაზისი, არამედ თეორიულ ნაწილთან ერთად ვიკვლიოთ წინასაარჩევნო დისკურსთან დაკავშირებული პროგნოზები და ვარაუდები მოსალოდნელი შედეგების შესახებ და მიმდინარე დისკურსის კვლევისას ყურადღება გავამახვილოთ, როგორც აქტუალურ თემებზე, ასევე მის ფუნქციებზეც.

პოლიტიკური დისკურსის კვლევა ფუნქციური თეორიის მიხედვით ძირითადად წინასაარჩევნო პოლიტიკური მსვლელობისას პოლიტიკოსების გზავნილების დაკვირვებისთვის გამოიყენება. აღნიშნული თვალსაზრისით კი პოლიტიკური დისკურსი გაგებულია, როგორც საჯარო განცხადებების აქტიური პროცესი, რომელიც მიზანმიმართულია კონკრეტულ საგანზე- არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფუნქციური თეორია პოლიტიკურ დისკურსს ვიწრო მნიშვნელობით განიხილავს, კერძოდ, წინასაარჩევნო დისკურსს, როგორც შეზღუდული დროის განმავლობაში პოლიტიკოსების მიერ ექსკლუზიურად გაკეთებულ განცხადებების ნაკრებს.

ნაშრომში „Functional Theory and Political Discourse: Televised Debates in Israel and the United States “ ავტორები უილიამ ბენუა და შიფერი (Benoit, Sheaffer, 2006:284) განიხილავენ პოლიტიკურ დისკურსს ფუნქციური თეორიისათვის დამახასიათებელ კვლევის ოთხ ასპექტს, ესენია:

1. ხმის მიცემა არის შედარების პროცესი, რადგან ამომრჩევლები კანდიდატს უნდა განიხილავდნენ როგორც სასურველ პოლიტიკურ წარმომადგენელს სხვა კანდიდატებთან შედარებით.
2. კანდიდატები უნდა გამოირჩეოდნენ თავიანთი ოპონენტებისგან გარკვეული ნიშან-თვისებებით.
3. პოლიტიკური კამპანიის გზავნილები არის საშუალება მათ შორის არსებული განსხვავებების დასადგენად.
4. წინასაარჩევნო კამპანიის დისკურსი უპირატესობით გამოირჩევა შემდეგი სამი საშუალების გამოყენებით, ესენია:
 - ა) აღიარება (დადებითი განცხადებები საკუთარ თავზე);
 - ბ) თავდასხმა (მოწინააღმდეგის კრიტიკა)

გ) თავდაცვა (მოწინააღმდეგისგან წამოსული თავდასხმის მოგერიება)

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციები ვრცელდება ორ შესაძლო თემაზე, ესენია პოლიტიკასა და არჩევნებში მონაწილე კანდიდატების მახასიათებლებზე. აღიარება, თავდასხმა და თავდაცვა პოლიტიკურ რეალობაში კარგად გადმოსცემს მიმდინარე სამთავრობო ქმედებებსა და პრობლემების სიმწვავეს, ხოლო კანდიდატთა მახასიათებლების შემთხვევაში გულისხმობს იმ ძირითად ნიშან-თვისებებს რითიც კანდიდატი გამოირჩევა თავისი ოპონენტებისაგან.

რაც შეეხება უშუალოდ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას კანდიდატთა გამოსვლების შეფასებებს, ბენუა (ibid: 284) ფუნქციური თეორიის საფუძველზე ყოფს შემდეგ ძირითად ჯგუფებად, ესენია:

1. წარსული საქმეები - მიღწევები ან წარუმატებლობა;
2. სამომავლო გეგმები - კონკრეტული კამპანიის დაპირებები;
3. ზოგადი მიზნები - მიზნები სამომავლო პერსპექტივით;

ფუნქციური თეორია გულისხმობს არა მხოლოდ კანდიდატთა გამოსვლების შეფასებებს და მათ გადანაწილებას სამი ძირითადი მახასიათებლის მიხედვით, არამედ აღნიშნული თეორია გამოირჩევა არჩევნების პროცესში მონაწილე კანდიდატების პიროვნული მახასიათებლების კვლევიტაც. კერძოდ, კანდიდატების მიერ წარმოთქმული კომენტარების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ძირითადი ნიშან-თვისებები, ესენია:

1. კანდიდატის პიროვნული თვისებები;
2. ლიდერობის უნარი - კანდიდატის სამსახურეობრივი გამოცდილება;
3. იდეოლოგია- ღირებულებები ან/და პრინციპები.

სტატიაში „**Integrating CDA with Functional Theory of Political**” (Darweesh, Jebur, 2018:4) ვკითხულობთ შემდეგს, პოლიტიკის წარმოადგენლები დისკურსს იყენებენ თავიანთი იდეების გასამართლებლად, საზოგადოების დარწმუნებისა და შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით, პოლიტიკოსთა გამოსვლებში ხშირია დახვეწილი იდეოლოგია, რაც ენის საშუალებით მსმენელის დარწმუნებისა და მანიპულირების ინსტრუმენტს წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ პოლიტიკოსების მიერ შერჩეული ყველა ენობრივი საშუალება განსხვავდება სიტუაციის, იდეოლოგიისა და მიზნების შესაბამისად.

როგორც ვხედავთ, წინასაარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ფუნქციური ანალიზი საშუალებას აძლევს მკვლევარს განახორციელოს მრავალმხრივი კვლევა არა მხოლოდ მიმდინარე დისკურსში დაფიქსირებული წინასაარჩევნო დაპირებებით (სამომავლო გეგმები და ზოგადი მიზნები), არამედ წინასაარჩევნო დისკურსის ზემოქმედებით მექანიზმში ჩართოს კანდიდატის ძირითადი მახასიათებლებიც, როგორიცაა: კანდიდატის პიროვნული თვისებები, ლიდერობის უნარი და კანდიდატის იდეოლოგია. ფუნქციური კვლევიდან მიღებული შედეგები კი ცხადყოფს საარჩევნო დისკურსის, როგორც პოლიტიკური დისკურსის ერთ-ერთი სახის მთავარ მიზანს, ეს არის მსმენელზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა, შესაბამისად კი, არჩევნებში ხმათა უმრავლესობის მოპოვება.

თავი 2. დისკურსული და პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში

2.1. დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში

დისკურსი წარმოადგენს ისეთ ელემენტთა ერთიანობას, რომელიც უზრუნველყოფს მოსაუბრის მიერ ტექსტში სტრუქტურული კავშირების გამოყენებას. ეს ერთეულებია: დონე, წინადადების შინაარსი, რომლებიც მოსაუბრეს ინფორმაციის კომუნიკაციაში ეხმარება. (Verlag Tübingen, 1998)

ნაშრომში **“The Handbook of Pragmatics”** ბლეიქმორი (Blakemore 2006:221) დისკურს მარკერებს განმარტავს, როგორც სინტაქსურად არაერთგვაროვანი გამონათქვამების კატეგორიას/ჯგუფს, რომლებიც მოცემულ დისკურსში ერთმანეთისაგან მნიშვნელობითა და ფუნქციით განსხვავდებიან.

ფრეიზერი (Fraser, 1991) დისკურს მარკერებს ლექსიკურ გამონათქვამებად თვლის, რომლებიც მთავარი წინადადების სინტაქსურად დამოუკიდებელ ნაწილებს წარმოადგენენ. მათი ძირითადი დანიშნულება არსებულ დისკურსსა და მოცემულ გამონათქვამს შორის კავშირის აღნიშვნაა.

დისკურსული მარკერები მრავალფუნქციურობით ხასიათდებიან, კერძოდ, მათ გამოვარჩევთ რიგი ფუნქციებით, რათა ხელი შეუწყონ მსმენელს უკეთ გაიგოს მომხსენებლის გამონათქვამი. მიულერი (Muller, 2005:9) გვთავაზობს ცხრილს, სადაც დისკურს მარკერების ფუნქციები და გამოყენების თავისებურებებია თავმოყრილი.

ცხრილი 1.

1. დისკურსის წამოწყება
2. დისკურსში თემების გამიჯვნა, თემის ცვლილების აღნიშვნა-
3. პასუხის ან რეაქციისთვის შესავლის გაკეთება
4. ეხმარება მოსაუბრეს დისკურსის შენარჩუნებაში
5. დისკურსის დაყოფა კატაფორული ან ანაფორული ნიშნების მიხედვით-
6. მონიშნოს წინა ან ფონური ინფორმაცია
7. მოსაუბრესა და მსმენელს შორის მიმდინარე დისკურსის შედეგის აღნიშვნა

მეცნიერთა (Biber, Johansson, Leech, Conrad and Finegan (1999), Müller (2005), Buyse (2012), Sandal (2016)) ნაწილი თანხმდება, რომ დისკურსული მარკერები ზეპირი დისკურსისათვის არის დამახასიათებელი და მათი გამოყენება არაოფიციალურ ენასთან ასოცირდება. სიტყვებს დისკურსისაგან დამოუკიდებლად გააჩნიათ გაურკვეველი მნიშვნელობა (Müller 2005, 6; Sandal 2016, 9), მაგრამ დისკურსული მარკერების გამოყენება მიმდინარე დისკურსს მეტწილად მათებს გარკვეულ მნიშვნელობას. (Müller 2005,1)

ნაშრომში „**Discourse Markers in English**” (Zarei, 2013) წარმოდგენილია დისკურსულ მარკერთა მთავარი მახასიათებლები, კერძოდ, ეს ენობრივი ერთეულები ხშირად ხასიათდებიან საერთო ნიშნებით. მაგალითად, ისინი წინადადებაში შეიძლება გამოიყოს მახვილით, პაუზებით და/ან ინტონაციური შესვენებებით, ისევე როგორც ფრჩხილებით. დისკურსული მარკერები ჩვეულებრივ ლექსიკური კატეგორიებიდან მომდინარეობს (მაგ. ზმნები, ვერბალური კონსტრუქტები, წინდებული ფრაზები, ზმნები). ისინი, როგორც წესი, გვხვდება როგორც წინადადების დასაწყისში, ასევე წინადადების ბოლოს. მათი პოზიციის მიუხედავად, ყოველთვის გამოიყოფიან წინადადების დანარჩენი ნაწილისაგან. სემანტიკურად ისინი არ ცვლიან წინადადების შინაარსს, შესაბამისად, მათი გამოტოვება ჩვეულებრივ არ ცვლის მიმდინარე დისკურსის მნიშვნელობას. (Zahei F, 2013:108)

ზაჰეი (Zahei, 2013) დისკურს მარკერთა ძირითად მახასიათებლებს გამოყოფს, ესენია:

1. მაკავშირებელი

დისკურსული მარკერები გამოიყენება წინადადების წევრების დასაკავშირებლად (Schwenter, 1996). გარდა ამისა, მოცემული კავშირი სხვადასხვა საშუალებით არის გამყარებული. არსებობს, მოსაზრება, რომ შესაძლებელია ამ კავშირის ერთზე მეტი ტექსტური ერთეულით დამყარება. შიფრინისა და ფრეიზერის განმარტებებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა, კერძოდ დისკურსული მარკერები აკავშირებენ ორ ტექსტურ ერთეულს, რისი საშუალებითაც მყარდება გამოთქმებს შორის თანმიმდევრული კავშირი. მოცემული მოსაზრების მართებულობას მოწმობს შემდეგიც, კერძოდ „დისკურსული მარკერები ვერბალურ აქტივობებს შორის არსებულ საზღვრებს წარმოადგენენ“ (Maschler, 1994: 325) რაც თავისთავად გულისხმობს ურთიერთობას ორ ტექსტურ ერთეულს შორის.(Zahei F, 2013:108)

2. არჩევითობა

ხშირად მიიჩნევა, რომ დისკურსული მარკერების გამოყენება არ არის სავალდებულო მიმდინარე დისკურსის გადმოსაცემად. დისკურსული მარკერების გამოყენება სინტაქსურად ნებაყოფლობითია, იმ გაგებით, რომ მათი გამოტოვება არ არღვევს წინადადების გრამატიკულ მნიშვნელობას (Fraser, 1988: 22). თუმცა, ასევე მიიჩნევა, რომ დისკურსული მარკერები არ აფართოებენ მათ მიერ დაკავშირებულ ელემენტებს შორის სემანტიკურ მნიშვნელობას. შესაბამისად, თუ დისკურსული მარკერები გამოტოვებულია ტექსტში, კავშირი, რომელსაც ისინი აღნიშნავენ, მსმენელისათვის ხელმისაწვდომი ან მარტივად აღსაქმელია. (Zahei F, 2013:109)

3. არამართებულობა-პირობითობა

ზოგადად მიჩნეულია, რომ დისკურსული მარკერები არ ცვლიან წინადადებით გამოხატულ ჭეშმარიტებას (Blakemore, 1988). შესაბამისად, დისკურსული მარკერები არ ახდენენ წინადადებების ჭეშმარიტებაზე გავლენას. (Fraser, 1996: 167)

4. წინადადების ერთეულებს შორის სუსტი კავშირის აღნიშვნა

მიიჩნევა, რომ დისკურსული მარკერები დამოუკიდებელ ერთეულებს წარმოადგენენ, (Hansen, 1997: 156) ან წინადადებაში გამოიყოფიან მძიმით. მიუხედავად იმისა, რომ დისკურსული მარკერები სუსტად არიან ტექსტის მთავარ წინადადებასთან დაკავშირებულები, ზოგიერთს ახასიათებს შიდა სინტაქსური სტრუქტურა (მაგ. მეორეს მხრივ).

5. სიტყვიერება

დისკურსული მარკერები პროტოტიპურად წარმოადგენენ დისკურსის სეგმენტებს, რომლებსაც ისინი აღნიშნავენ. (Hansen, 1997: 156; Schiffrin, 1987: 31-32, 328)

დისკურსულ მარკერებს ნაკლებად ვხვდებით წინადადების დასაწყისში, თუმცა მათი პოზიცია შეიძლება იყოს ცვალებადი, შეიძლება შევხვდეთ, როგორც დისკურსის ცენტრალურ ნაწილში, ასევე წინადადების ბოლოს.

6. მორალი

მიიჩნევა, რომ დისკურსული მარკერები ძირითადად გვხვდება ზეპირ მეტყველებაში (მაგ. სხვათა შორის, ბოლოს და ბოლოს) მაგრამ არ არსებობს პრინციპული საფუძველი იმისა, რომ უარვყოთ მათი გამოყენება წერილობით დისკურსშიც (მაგ. მეტიც, შესაბამისად, პირიქით).

7. მრავალკატეგორიულობა

ენობრივი ერთეულები, რომლებიც გამოირჩევიან დისკურსული მარკერების ფუნქციით მოიცავს ზმნიზედებს (მაგ. ახლა, რეალურად, ყოველ შემთხვევაში), მაკავშირებელ და მაქვემდებარებელ კავშირებს (მაგ. and, but, because), შორისდებულებს (მაგ. oh, gosh, boy), ზმნებს (მაგ. Say, see, look) და clauses/ფრაზებს (მაგ. you see, I mean, you know).

დისკურსული მარკერები შეიძლება განვიხილოთ, როგორც დისკურსის დონის განმსაზღვრელი მარკერები, ასევე გავაერთიანოთ იმ გამონათქვამთა კლასში, რომლებსაც გარკვეული თავისებურება გამოარჩევს სხვა დანარჩენი დისკურსის ინდიკატორებისგან. ამ შემთხვევაში, ეს არის კავშირი დისკურსის ერთეულებს შორის. (Blakemore, 2002)

დისკურსულ მარკერთა მოცემულ მახასიათებლებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი წარმოადგენენ მრავალკატეგორიულ ენობრივ ერთეულებს, რომელთა გამოყენება წინადადებისთვის არ არის სავალდებულო, თუმცა მათი გამოყენება ხელს უწყობს მიმდინარე დისკურსის კარგად ორგანიზებას. გარდა ამისა, დისკურსული მარკერების მნიშვნელობა არ ცვლის მიმდინარე წინადადებით გადმოცემულ აზრს, არც აძლიერებს და არც ასუსტებს, არამედ ის ეხმარება მოსაუბრეს მსმენელისათვის გასაგებად გადმოსცეს ინფორმაცია.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსული მარკერები ტექსტის უფრო გარკვევით ან გრამატიკულად სწორად გადმოცემის მიზნით მოსაუბრისათვის აუცილებელ ელემენტებს წარმოადგენენ, მათ არ აქვთ მკაფიოდ გამოხატული გრამატიკული მნიშვნელობა, თუმცა განსაკუთრებულ ადგილს იჭერენ ნებისმიერ დისკურსში. მიულერის (Muller, 2005:8) თანახმად, დისკურსული მარკერები ეხმარება მსმენელს გაიგოს მოსაუბრის საუბარი, გაიგოს თუ რისი თქმა სურს მას.

ზაჰეის ზემოთ მოცემულ მოსაზრებას (Zahe F, 2013) ეხმიანება ბოლდენი (Bolden, 2015) თავის სტატიაში „Discourse Markers“, სადაც ვკითხულობთ, რომ დისკურსული მარკერები მეტადისკურსულ ფუნქციებს ემსახურებიან; წარმოადგენენ მცირე მნიშვნელობის ან საერთოდ წინადადების კონტექსტიდან დამოუკიდებელ მნიშვნელობას; ისინი შეიძლება არ ეკუთვნოდნენ ტრადიციული სიტყვების კლასებს ან არ წარმოადგენენ წინადადების სინტაქსურ ერთეულებს.

დისკურსული მარკერების განმარტებათა სხვადასხვაობას ეხმიანება იუკერისა და ზივის (Jucker and Ziv 1998:2) მიერ შემოთავაზებული შედარება დისკურსული მარკერი არის ბუნდოვანი კონცეფცია (Discourse marker is a fuzzy concept). მიუხედავად ამისა, შეგვიძლია წარმოვადგინოთ დისკურსული მარკერების რამდენიმე ძირითადი მახასიათებელი ცხრილის სახით, რომლებიც პირველად შეაგროვა ბრინტონმა (Brinton 1996: 33-35) და მოგვიანებით განახლებული სახით შემოგვთავაზა იუკერმა და ზივმა ენობრივი დონეების მიხედვით. (Jucker and Ziv 1998: 3)

ცხრილი 2.

დისკურსული მარკერების ძირითადი მახასიათებლები

(Jucker and Ziv 1998: 3; -Brinton 1996: 33-35 -ის ნაშრომზე დაყრდნობით)

ფონოლოგიური და ლექსიკური მახასიათებლები	• მოკლე და ფონოლოგიურად შემცირებულია. • ქმნიან ცალკე ბგერათა ჯგუფს. • ისინი შეზღუდული ფორმებია და, შესაბამისად, რთულია მათი ტრადიციული სიტყვის ფარგლებში მოთავსება.
სინტაქსური მახასიათებლები	• წინადადებისთვის საწყის პოზიციას წარმოადგენენ; • ისინი გვხვდება სინტაქსური სტრუქტურის გარეთ ან წინადადებისთვის თავისუფალ ელემენტს წარმოადგენენ; • მათი გამოყენება ნებაყოფლობითია:
სემანტიკური მახასიათებლები	• ისინი მცირე მნიშვნელობის მქონე ან უმნიშვნელო ელემენტებს წარმოადგენენ;
ფუნქციური მახასიათებლები	• ისინი მრავალფუნქციური ელემენტებია, მოქმედებენ რამდენიმე ლინგვისტურ დონეზე ერთდროულად;
სოციოლინგვისტური და სტილისტური მახასიათებლები	• ისინი ზეპირი და არა წერილობითი დისკურსისთვის არიან მახასიათებელი • დისკურსში ვხვდებით მაღალი სიხშირით. • ისინი გენდერულად სპეციფიკური ნიშნებით ხასიათდებიან და ქალის მეტყველებისთვის არის მათი ხშირი გამოყენება დამახასიათებელი.

ცხრილი 2.- ის თანახმად, დისკურსული მარკერები გამოირჩევიან სხვადასხვა მახასიათებლებით, რომელთა კატეგორიზაცია შეიძლება შემდეგი ჯგუფების მიხედვით: ფონოლოგიური და ლექსიკური, სინტაქსური, სემანტიკური, ფუნქციური და

სოციოლინგვისტურ-სტილისტური მახასიათებლები. თუმცა, ზაჰეის (Zahei F, 2013:108) მიხედვით დისკურსული მარკერები მიჩნეულია ძირითადად ზეპირი დისკურსის ერთ-ერთ მახასიათებლად, თუმცა ეს არ გამორიცხავს მათ არსებობას წერილობით დისკურსში, მაშინ როცა, ცხრილი 2-ის მიხედვით დისკურსული მარკერები თანაბრადაა დამახასიათებელი როგორც ზეპირი, ისე წერილობითი დისკურსისათვის. ორივე მახასიათებლის მიხედვით, დისკურსული მარკერების გამოყენება ნებაყოფლობითია და მათი პოზიცია ცვალებადია წინადადებაში. მეორე მხრივ, ცხრილი 2-ის მიხედვით იკვეთება დისკურსულ მარკერთა გენდერული ნიშნით განპირობებული გამოყენება მიმდინარე დისკურსში, რომელიც არ ფიქსირდება ზაჰეის ჩამონათვალში.

სამეცნიერო ლიტერატურაში დისკურსულ მარკერთა არამხოლოდ ძირითად მახასიათებლებს განიხილავენ, არამედ ამ მახასიათებლებზე დაყრდნობით მათ სხვადასხვა ძირითად ჯგუფებში ანაწილებენ, მათ შორის არის ბრიუს ფრეიზერი, (Frazer, 1988: 19-33) რომელიც დისკურსულ მარკერებს ყოფს სამ მთავარ ჯგუფად: 1) მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ თემის ცვლილებას, 2) მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ მიმდინარე დისკურს აქტივობას და 3) მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ მიმდინარე აზრსა და დისკურსში უკვე დაფიქსირებულ აზრს შორის კავშირს, კერძოდ, პარალელურია აზრი, თუ ეწინააღმდეგება მას. ფრეიზერის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია შეგვიძლია წარმოვადგინოთ ცხრილის სახით.

ცხრილი 3. (არძენაძე, 2019:27)

დისკურსულ მარკერთა ჯგუფი	დისკურსულ მარკერთა ქვეჯგუფი	მაგალითი
Topic markers/ თემის აღმნიშვნელი მარკერები	მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ თემის ცვლილებას	back to my original point, before I forget, by the way,
	მარკერები, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ მიმდინარე საკითხზე	again, but, hey, indeed, in fact,
Discourse activity markers/ დისკურსული აქტივობის აღმნიშვნელი მარკერები	განმარტებითი მარკერები	by way of clarification, to fy
	თანხმობის აღმნიშვნელი მარკერები	admittedly, all in all,
	საუბარში ჩაჭრის აღმნიშვნელი მარკერები	if I may interrupt, to interrupt, not to interrupt

	გამეორების აღმნიშვნელი მარკერები	at the risk of repeating, once again,
	თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები	finally, first, in the first place, lastly,
	შეჯამების აღმნიშვნელი მარკერები	in summary, so far,
Message relationship markers/ინფორმაციებს შორის არსებული კავშირის აღმნიშვნელი მარკერები	პარალელური დისკურსის აღმნიშვნელი მარკერები	also, alternatively, analogously, and,
	მაპირისპირებელი დისკურს მარკერები	all the same, but, contrariwise,
	აზრის გავრცობის აღმნიშვნელი მარკერები	above all, also, besides, better, for example,

Willie Wilson - {The Race for Chicago Mayor: The candidates' Debate}- „ *Well, really the first thing I would do, you have to take them to make sure you put armed security on the CTA bus, I hold on yeah you gotta hire more police officers and get them on board. You got to stop playing politics so much, you look you this particular administration now. ..*” ²⁷(**კარგი, პირველი, რასაც გავაკეთებდი, თქვენ უნდა წაიყვანოთ, რათა დარწმუნდეთ, რომ შეიარაღებული დაცვა (CTA) დააყენეთ. დიახ, თქვენ უნდა დაიქირაოთ მეტი პოლიციელი და შეუთანხმოთ მათ თავიანთი მოვალეობა. თქვენ უნდა შეწყვიტოთ პოლიტიკით თამაში, ახლა თქვენ შეხედეთ ამ კონკრეტულ ადმინისტრაციას....**)

მოცემულ მონაკვეთში ადრესატი დისკურსულ მარკერს ორი სხვადასხვა ემოციური დატვირთვით იყენებს, ესენია Well - საუბრის დასაწყებად, რათა ადრესანტის ყურადღება მიმართოს დისკურსის კონკრეტული მონაკვეთისკენ და really the first thing I would do - დისკურსში პოზიციებს მიჯნავს ერთმანეთისგან, ამ შემთხვევაში აღნიშნავს მთავარს თუ რას მოიმოქმედებს პირველად არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში.

ირაკლი კობახიძე {„ქართული ოცნების“ აღმასრულებელი მდივანი „იმედის კვირაში“ } „*ქვეყნისთვისა და გუნდისთვის პრინციპულ მომენტში მაშინდელმა პრემიერმა სამწუხაროდ უღალატა არა მარტო გუნდს, არამედ ქვეყანას და გადადგა ძალიან მძიმე ნაბიჯი. მან დატოვა პოსტი გაუგებარი მიზეზით და ასეთ დროს, რა თქმა უნდა, ძალიან*

²⁷ <https://www.youtube.com/watch?v=ck8GPV5Rtpo>

რთული იყო პროცესების წარმართვა. საბოლოო ჯამში, ამ ბრძოლიდან გუნდი პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერებული გამოვიდა“ ²⁸

ადრესატი იყენებს დისკურს აქტივობის მარკერთა ერთ-ერთი ქვეჯგუფის შეჯამების აღმნიშვნელ მარკერს, „საბოლოო ჯამში“, რაც ეხმარება მოსაუბრეს მიმდინარე დისკურსში შეინარჩუნოს ლოგიკურობა და შეაჯამოს უკვე გამოთქმული მოსაზრება.

ნაშრომში „Discourse Markers: Their Functions and Distribution across Registers“ ვკითხულობთ, ჰალიდეი და ჰასანი (1992) ამტკიცებენ, რომ ენობრივი ერთეულები, რომლებსაც შიფრინი (1987) და ბლეიკმორი (1987) განიხილავენ, მიეკუთვნებიან მაკავშირებელთა ჯგუფს, რომლებიც წინადადებებს შორის არსებულ ურთიერთკავშირს გამოხატავენ. მათგან აღსანიშნავია შინიაევას (Šiniajeva, 2005:19-37) მიერ გამოყოფილი შემდეგი დისკურს მარკერები:

ცხრილი 4.

დისკურსულ მარკერთა ჯგუფი	მაგალითი
ამატებენ ინფორმაცია	and, furthermore, add to that
აკონკრეტებენ არსებულ ინფორმაციას	for instance, thus, in other words
გამოხატავენ უკვე გამოთქმული მოსაზრების კონტრარგუმენტს	or, on the other hand, however, conversely
ახალ წინადადებას უკავშირებს უკვე გამოთქმულ აზრს ან აღნიშნავს დროის სხვაობას	so, consequently, because, for this reason;before, then
აღნიშნავენ გამოთქმულ მოსაზრებათა შეჯამებას ან თემის ცვლილებას	by the way, well, to sum up, anyway

მახასიათებელთა მოცემული ორი ცხრილის შედარების საფუძველზე დავინახავთ, რომ ფრეიზერი უფრო სრულად წარმოადგენს დისკურსულ მარკერთა ჯგუფებს (ცხრილი 3.) ვიდრე ჰალიდეი და ჰასანი (1992) (ცხრილი 4.), თუმცა გვხვდება ისეთი ჯგუფებიც, რომლებიც ორივე მათგანში მეორდება. მათგან აღსანიშნავია: მარკერები მსჯელობის შესაჯამებლად, თემის ცვლილების აღმნიშვნელი მარკერები და აზრის გავრცობა, ინფორმაციის დასამატებლად საჭირო მარკერები.

დისკურსული მარკერების ფუნქციურ თავისებურებას რაც შეეხება, აიმერის (2002) თანახმად დისკურსული მარკერები ორ მთავარ ჯგუფად იყოფიან, ესენია: ტექსტუალური და ინტერპერსონალური. თუმცა, ანდერსენის თანახმად (2001:64)

²⁸ <https://imedinews.ge/ge/politika/277111/irakli-kobakhidze-miukhedavad-dzalian-bevri-sirtulisa-movakherkhet-vela-problemis-dadzleva-saboloo-jamshi-davamshvidet-qvekana-da-davamshvidet-politikuri-protseji>

დისკურსული მარკერების განსხვავება ტექსტუალური და ინტერპერსონალური ფუნქციებით არ არის ეფექტური, რადგან დისკურსული მარკერები ტექსტუალური და ინტერპერსონალური ფუნქციებით ერთდროულად შეიძლება იყოს ნაჩვენები.

მეცნიერები გვთავაზობენ დისკურსული მარკერების კონცეპტუალიზაციას, რომელიც პრაგმატული მნიშვნელობის სამ ძირითად ასპექტს აერთიანებს, ესენია: **სუბიექტური, ინტერაქციული და ტექსტური.** (Šiniajeva,2005:28)

ავტორი ნაშრომში განიხილავს თითოეულ მათგანს, აღსანიშნავია დისკურსულ მარკერთა კონცეპტუალიზაციის შედეგად გამოყოფილი რამდენიმე ქვეჯგუფი, რომელთაც ცხრილის სახით წარმოვადგენთ.

ცხრილი 5.

სუბიექტური	მოსაუბრის აზროვნება
	მოსაუბრის დამოკიდებულება
	მოსაუბრის მიერ გაკეთებული შეფასება
ინტერპერსონალური ფუნქცია	ყურადღების მოთხოვნის მარკერები
	ყველასათვის ცნობილი ფაქტის / ინფორმაციის აღმნიშვნელი მარკერები
	დადასტურების მოთხოვნის მარკერები
	ახსნა-განმარტების აღმნიშვნელი მარკერები
ტექსტუალური ფუნქცია	წინადადებებს შორის არსებული კავშირის აღმნიშვნელი მარკერები
	სხვადასხვა თემებს შორის არსებული კავშირის აღმნიშვნელი მარკერები
	თემის ცვლილების აღმნიშვნელი მარკერები
	მოსაუბრეთა ცვალებადობის აღმნიშვნელი მარკერები - speakers' turns

ცხრილში (5) კარგად იკვეთება თითოეული ასპექტის მთავარი მახასიათებელი, კერძოდ პრაგმატიკული მნიშვნელობის სუბიექტური ასპექტი გულისხმობს

მოსაუბრესა და გამოთქმულ აზრს შორის დამოკიდებულების ჩვენებას, ანდერსონის (2001, 65) თანახმად „მოსაუბრის ნებისმიერი გამონათქვამი გამოხატავს მის ინდივიდუალურ მახასიათებელს“. ინტერპერსონალურ ფუნქციას რაც შეეხება, მათ ახასიათებთ დამოკიდებულებების, გრძნობებისა და შეფასებების გამოხატვა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ისინი მსმენელზე ორიენტირებული ენობრივი ერთეულებია. ხოლო, ტექსტუალური ფუნქცია მიზნად ისახავს მიმდინარე დისკურსთან შესაბამისობასა და ბმულობის შენარჩუნებას. (იხ. Šiniajeva, 2005:28)

Kam Buckner {The Race for Chicago Mayor: The Candidates' Debate}- „***Listen!** We have to find a way to coordinate with different organizations within our community for our street vendors **but also** we changed our automatic and congressional and state representative maps every 10 years.* ²⁹(*მისმინეთ! ჩვენ უნდა ვიპოვოთ გზა ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციებთან კოორდინაციისათვის ჩვენი ქუჩის მოვაჭრეთა სასიკეთოდ, მაგრამ ასევე, ჩვენ ვცვლიდით ჩვენს ავტომატურ, კონგრესის და სახელმწიფო წარმომადგენლობით რუკებს ყოველ 10 წელიწადში.*)


-**The interpersonal Function** - ინტერპერსონალური ფუნქცია /ყურადღების მოთხოვნის მარკერი / მოცემულ მონაკვეთში ადრესატები იყენებენ დისკურს მარკერებს: listen და Well, რათა შეინარჩუნონ ემოციური დატვირთვა, იმის შესახებ რომ მოცემული მოსაზრება მნიშვნელოვანია მიმდინარე დისკურსში და მსმენელისთვის თვალსაჩინო გახადონ აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გზები.

დისკურსული მარკერების ფუნქციათა კლასიფიკაციას გვთავაზობს ბრინტონი, (Brinton, 2008:1) რომელიც დისკურს მარკერს განმარტავს, როგორც ფონოლოგიურად მოკლე ერთეულებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მიმართებითი მნიშვნელობა, მაგრამ ემსახურებიან პრაგმატულ ან პროცედურულ მიზანს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დისკურსული მარკერები ძირითადად უმნიშვნელო ან მცირე მნიშვნელობის მატარებელ ენობრივ ერთეულებს წარმოადგენენ, რომლებიც მნიშვნელოვნად ვერ ცვლიან მიმდინარე დისკურსის მნიშვნელობას.

²⁹ <https://www.youtube.com/watch?v=ck8GPV5Rtpo>

ბრინტონის მიერ შემოთავაზებულ ცხრილში გამოიყოფა ორი მთავარი ჯგუფი, ესენია: ინტერპერსონალური და ტექსტუალური ფუნქციები, რომლებიც იყოფა ქვეჯგუფებად.

ცხრილი 6. (ამოღებულია Alami, 2013:6)



ბრინტონის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ცხრილ 5-ში წარმოდგენილი კლასიფიკაციისგან განსხვავებით განიხილავს მხოლოდ ორ მთავარ ფუნქციას, რაც შეეხება სუბიექტურობას, ბრინტონი მას ინტერპერსონალური ფუნქციის ჯგუფში აერთიანებს, ხოლო ცხრილი 5-ის მიხედვით სუბიექტურობა დისკურს მარკერების ფუნქციათა ცალკე ჯგუფს წარმოადგენს. გარდა პირველი ფუნქციის ჯგუფებს შორის არსებული სხვაობისა, განსხვავებული ქვეჯგუფებით არის წარმოდგენილი ტექსტუალური ფუნქცია.

დისკურსულ მარკერთა კლასიფიკაციას გვთავაზობს კენ ჰაილენდი და პოლი ცი, (Hyland, Tse, 2004: 156 - 177) რომლებიც უფრო დეტალურად განიხილავენ ინტერპერსონალურ და ტექსტუალურ დისკურს მარკერებს. ისინი აღნიშნავენ, რომ დისკურსული მარკერის კატეგორიები არსებითად ინტერპერსონალურობით ხასიათდებიან და მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი მსმენელის დარწმუნებაა.

კენ ჰაილენდი და პოლი ცი (ibid: 2004:156-177) დისკურსულ მარკერთა პირველ მთავარ ჯგუფს- ტექსტუალურ დისკურსულ მარკერებს ყოფენ შვიდ ქვეჯგუფად, ესენია:

1. **ლოგიკური მარკერები** -მარკერები, რომლებიც გამოხატავენ სემანტიკურ და სტრუქტურულ ურთიერთობებს და ეხმარებიან მკითხველს დისკურსის ინტერპრეტაციაში. ლოგიკური მარკერებია:

1.1. **დამატებითი მარკერები** – მაგ: and, furthermore ...

1.2. **მაპირისპირებელი მარკერები** -მაგ: but, however...

1.3. **დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები** –მაგ: finally, to sum up ...

1.4. **მიზეზ-შედეგობრივი**- მაგ: so, because ...

2. **თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები** - მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ არგუმენტების ლოგიკურ თანმიმდევრობას. მაგ: In the first place, secondly ...

3. **უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები**-მარკერები, რომლებიც მიმართავენ წინარე არგუმენტს ან მოსაზრებას, ან სხვა სიტყვებით აჯამებენ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას. მაგ: As ... said

4. **აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები** -მარკერები, რომლებიც მიუთითებენ თემის განვითარებას დისკურსის გარკვეულ ეტაპზე. მაგ: now

5. **დაშიფრულის განმარტების აღმნიშვნელი მარკერები**- მარკერები, რომლებიც ხსნიან, აკონკრეტებენ ან მაგალითებით ამყარებენ მიმდინარე დისკურსს. მაგ: that is, in other words, for instance ...

6. **ილოკუციური მარკერები**- მარკერები, რომლებიც ცალსახად ასახელებენ ავტორის მიზანს მიმდინარე დისკურსში. მაგ: I hope to persuade, I back up this idea ...

7. **განცხადებები** -მარკერი, რომელიც ეხება ტექსტის მომდევნო ნაწილს, რათა შეამზადონ მკითხველი დისკურსის განვითარების მოსალოდნელი შედეგისათვის.

რაც შეეხება დისკურს მარკერების ინტერპერსონალურ ჯგუფს, ის იყოფა ხუთ ქვეჯგუფად, ესენია:

1. **შემზღუდველი** - მარკერები, რომლებიც ლინგვისტური თვალსაზრისით წარმოდგენილია როგორც ეპისტემიკური ზმნებით (may, might, would),

შესაძლებლობის აღმნიშვნელი ზმნიზედები (probability adverbs) (Perhaps, maybe) და ეპისტემიკური გამონათქვამები (epistemic expressions) (it is likely, it is probable).

2. **დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები**- მარკერები, რომლებიც აღნიშნავენ მიმდინარე დისკურსის დამაჯერებლობას. (undoubtedly, of course, in fact, you know)

3. **განმსაზღვრელები** - მარკერები, რომლებიც ორმაგი ფუნქციით არიან წარმოდგენილები ტექსტში. ისინი უკავშირდებიან ინფორმაციის წყაროს (as the Prime Minister Indicated) ან დარწმუნების მიზნით იმოწმებენ ავტორიტეტული პირების შეხედულებებს.

4. **დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები**- მარკერები, რომლებიც გამოხატავენ მწერლის ემოციურ დამოკიდებულებას. განვასხვავებთ შემდეგ ჯგუფებს:

4.1. **დეონტური ზმნები: (მოდალური ზმნებით გამოხატული)** ზმნები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმდინარე სიტუაციაზე (must, have to ...)

4.2. **პოზიციური ზმნიზედები:** რომლებიც გადმოსცემენ მოსაუბრის/მწერლის დამოკიდებულებას (surprisingly ...)

4.3. **ზედსართაული კონსტრუქციები:** (it is difficult, ...)

4.4. **კოგნიტური ზმნები:** (I think, I believe...)

5. **კომენტარები** - მარკერები, რომლებიც საზოგადოებასთან კარგ ურთიერთობას ინარჩუნებენ შემდეგი საშუალებებით:

5.1. **რიტორიკული შეკითხვები**- (is this the right attitude?)

5.2. **პირდაპირი მიმართვები**- (dear reader, you)

5.3. **პერსონიფიკაციები**- (I, We, my feelings)

ორივე კლასიფიკაციის მიხედვით დისკურსული მარკერების ფუნქციები იყოფა ორ მთავარ ჯგუფად, ესენია დისკურსულ მარკერთა ტექსტუალური და ინტერპერსონალური ფუნქციები, ამათგან ტექსტუალური ან დისკურსული ფუნქცია გულისხმობს წინა და მიმდინარე დისკურსებს შორის არსებული კავშირის აღნიშვნას, ხოლო ინტერპერსონალური ფუნქცია გულისხმობს მოსაუბრის ან მწერლის პოზიციის ჩვენებას.(Ismail M. 2012:1264) კენ ჰაილენდისა და პოლი ცის (2004) მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია ბრინტონის (2008) მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციისგან განსხვავებით ტექსტუალური მარკერების შვიდ ქვეჯგუფს

განიხილავს, ხოლო ინტერპერსონალური მარკერები ბრინტონის კლასიფიკაციით ორი ქვეჯგუფით, ხოლო ჰაილენდისა და ცის მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციაში ხუთი ქვეჯგუფით არის წარმოდგენილი.

დისკურსული მარკერების მოცემული განმარტებებიდან დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ერთეულები მოსაუბრეს საშუალებას აძლევს გადასცენ ინფორმაცია მსმენელს გარკვევით და შესაბამისად წარმატებით წარმართონ კომუნიკაციური პროცესი, აზრთა გაცვლა. მიუხედავად იმისა, რომ მათი ლექსიკური მნიშვნელობის განსაზღვრა რთულია და მათი ფუნქცია სხვადასხვაა, ეს ელემენტები ემსახურებიან მთავარს, დაუკავშირონ დისკურსის ელემენტები ერთმანეთს.

შემოთავაზებულ კლასიფიკაციათაგან უპირატესობას ვანიჭებთ კენ ჰაილენდისა და პოლი ცის (2004:156-177) მიერ შემოთავაზებულ კლასიფიკაციას, სადაც უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი დისკურს მარკერთა ჯგუფები. გარდა ამისა, მოცემული ჯგუფები დაყოფილია ტექსტუალურ და ინტერპერსონალურ ჯგუფებად, ეს კი კვლევის უფრო ზუსტი ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

2.2. პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების მიმოხილვა თანამედროვე ლინგვისტურ ლიტერატურაში

პრაგმატიკულ მარკერებს ხშირად სხვადასხვა ტერმინებით ანაცვლებენ, მათ შორის არის მერყეობის გამომხატველი მარკერები და შემავსებელი სიტყვები, უფრო ხშირად კი პრაგმატიკული მარკერების(pragmatic markers-გამოიყენა ბრინტონმა 1996) ნაცვლად ვხვდებით დისკურსულ მარკერებს(discourse markers(შიფრინი 1987, ჯაკერი და ზივი 1998), დისკურს ნაწილაკებს(discourse particle(Hansen1998 & Aijmer 2002) და პრაგმატიკულ ნაწილაკებს (Pragmatic particle (Ostman 1995).

ერმანის (Erman, 2001:1339) მიხედვით პრაგმატიკული მარკერები თითქმის უმნიშვნელო ერთეულებია, რომლებიც მნიშვნელობას იძენენ მოცემულ კონტექსტში ან სიტუაციაში, ანუ პრაგმატიკული მარკერების ფუნქცია არის დისკურსისა და მიმდინარე საუბრის კონტროლი, ისინი აშკარად ფუნქციური ელემენტებია, რადგან ცხადად არ იკვეთება მათი როლი მიმდინარე დისკურსში.(არძენაძე,2019:29)

ფიშერისა (2006) და ფურკოს (2007) თანახმად პრაგმატული მარკერები წარმოადგენენ ლინგვისტური ერთეულების ფუნქციურ კლასს, რომლებიც, როგორც წესი, არ ცვლიან წინადადების მნიშვნელობას, მაგრამ მათი გამოყენება აუცილებელია დისკურსის ორგანიზებისა და სტრუქტურირებისთვის, რათა მომხსენებელმა ნათლად გადმოსცეს თავისი დამოკიდებულება. (Fischer, 2006; Furkó, 2007; Furko, 2017)

ფრეიზერი (1996) გვთავაზობს პრაგმატიკული მარკერების შემდეგ კლასიფიკაციას. (არმენაძე, 2019: 31-32)

ცხრილი 7. პრაგმატიკული მარკერების კლასიფიკაცია ფრეიზერის მიხედვით
(Fraser, 1996)

ძირითადი პრაგმატიკული მარკერები	სტრუქტურული	თხრობითი
		კითხვითი
		ბრძანებითი
	ლექსიკური	პერფორმატიული გამონათქვამები
		პრაგმატიკული იდიომები
	ჰიბრიდული	თხრობითზე დაფუძნებული
		კითხვითზე დაფუძნებული
		ბრძანებითზე დაფუძნებული
კომენტარის პრაგმატიკული მარკერები	შეფასების მარკერები	
	საუბრის მანერის მარკერები	
	სიცხადის მარკერები	
	გაგონილის გადმოცემის მარკერები	
	სათქმელის შერბილების მარკერები	
	ემფატიკური მარკერები	
პარალელური პრაგმატიკული მარკერები	ვოკატივები	
	უკმაყოფილების გამომხატველი მარკერები	
	სოლიდარობის მარკერები	
	ფოკუსირების მარკერები	
დისკურსის პრაგმატიკული მარკერები	თემის შეცვლის მარკერები	
	კონტრასტული მარკერები	
	აზრის განვითარების მარკერები	
	დასკვნითი მარკერები	

როგორც ცხრილიდან ირკვევა ფრეიზერი პრაგმატიკულ მარკერებს ოთხ მთავარ ჯგუფად ყოფს, ესენია: ძირითადი პრაგმატიკული მარკერები, კომენტარის პრაგმატიკული მარკერები, პარალელური პრაგმატიკული მარკერები და დისკურსის პრაგმატიკული მარკერები. მოცემულ ოთხ მთავარ ჯგუფს კი ყოფს სხვადასხვა ქვეჯგუფად.

ბრინტონი კი ნაშრომში „**Pragmatic markers in English – Grammaticalization and discourse functions**“ (1996) გვთავაზობს პრაგმატიკული მარკერების ცხრა ფუნქციას:

- 1) დისკურსის დაწყების, მათ შორის მსმენელისათვის ყურადღებისაკენ მოწოდებისა და დისკურსის დასრულების აღმნიშვნელი მარკერები.
- 2) მარკერები, რომლებიც ეხმარება მოსაუბრეს საკითხის უკეთ გაგებაში.
- 3) მარკერების შემავსებელი ფუნქცია, კერძოდ ცვლიან ან ინარჩუნებენ დისკურსის ტაქტიკას.
- 4) აღნიშნავენ ახალ თემას, ან თემის ნაწილობრივ შეცვლას (შესწორება, correction; გაუმჯობესება, elaboration; დაზუსტება, specification; გაფართოვება/გავრცობა, expansion;) ან უკვე ნახსენები საკითხის განახლებას (შეწყვეტის შემდეგ).
- 5) ამოიცნობენ ახალ (Erman 1987: 201; Schiffrin 1987) ან ძველ ინფორმაციას (Schiffrin 1987a);
- 6) ინარჩუნებენ მოცემულ წინადადებებს/ინფორმაციებს შორის კავშირს, ან მიუთითებენ იმპლიციტურად, როგორც შეესაბამება წარმოთქმული თანამშრომლობით პრინციპს; (Levinson 1983: 128–129, 162–163, what he calls a “maxim hedge”)
- 7) ასწორებენ უკვე გამოთქმული აზრს.
- 8) გამოხატავენ რეაქციას ან პასუხობენ მიმდინარე დისკურსს, მათ შორის აღნიშნავენ, თუ რამდენად გაიგო მსმენელმა ინფორმაცია და რამდენად არის მსმენელი ყურადღებით.

9) აღნიშნავენ მსმენელსა და მოსაუბრეს შორის არსებულ თანამშრომლობას, ინფორმაციის გაგება-გაზიარებას ან მიღებული ინფორმაციის დადასტურებას, მათ შორის ზრდილობიანი ფორმების გამოყენებას. (Brinton, 1996)

როგორც ვხედავთ ფრეიზერი პრაგმატიკულ მარკერებს განიხილავს სინტაქსური მნიშვნელობით, კერძოდ გამოყოფს პრაგმატიკული მარკერების სხვადასხვა პოზიციას წინადადებაში: განცალკევებული, პროცედურული და მოცემული აზრების მაკავშირებელი ერთეულები, ხოლო ბრინტონთან პრაგმატიკული მარკერები დაყოფილია სემანტიკური ფუნქციით, მოცემულ დისკურსში მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. (არძენაძე, 2019:33)

Paul Vallas {The Race for Chicago Mayor: The candidates' Debate}-, **I think** the Darlington deal is too profitable and we had an opportunity to negotiate with them.” ³⁰(**ვფიქრობ**, დარლინგტონის გარიგება ძალიან მომგებიანია და ჩვენ გვქონდა მათთან მოლაპარაკების შესაძლებლობა.)

-საუბრის მანერის აღმნიშვნელი მარკერი ადრესატი პრობლემის გადაჭრის გზებზე საუბრისას იყენებს პრაგმატიკულ მარკერს **I think**, რაც საშუალებას აძლევს მას, უშუალო კონტაქტი დაამყაროს ადრესანტთან და ხაზი გაუსვას საკუთარ პოზიციას.

ირაკლი კობახიძე - „მე ვიტყვდი, რომ გუნდი მოწოდების სიმაღლეზე დადგა. **ვფიქრობ**, რომ ჩვენი მხრიდან გადადგმული აბსოლუტურად ყველა ნაბიჯი იყო არამარტო სწორი, არამედ უალტერნატივოც. „ ³¹

რაც შეეხება ქართულ მაგალითს, ადრესატი იყენებს **კომენტარის პრაგმატიკული მარკერს**, კერძოდ **საუბრის მანერის აღმნიშვნელ მარკერს** - „ **ვფიქრობ**“, რაც ხაზს უსვამს მოსაუბრის შეხედულებას და პოზიციას გამოთქმული აზრის შესახებ.

პრაგმატიკული მარკერები გამოირჩევიან მრავალფუნქციურობით, როგორც აიმერი და საიმონ-ვანდენბერგენი აღნიშნავენ, პრაგმატულ მარკერებს კონტექსტიდან გამომდინარე აქვთ ფუნქციების თითქმის უსასრულო რაოდენობა. უფრო მეტიც, მათ

³⁰ <https://www.youtube.com/watch?v=ck8GPV5Rtpo>

³¹ <https://imedinews.ge/ge/politika/277109/irakli-kobakhidze-chveni-mkhridan-gadadgmuli-absoluturad-kvela-nabiji-iko-aramarto-stsori-aramed-ualternativots-da-aman-mogvtsa-qvekanashi-mshvidobis-simshvidis-shenarchunebis-sashualeba>

შეუძლიათ სხვა მარკერების მნიშვნელობის გადაფარვა. შესაბამისად, მათი მრავალფუნქციურობის აღწერა საკმაოდ რთულია. (Aijmer, 2011: 229)

ფრეიზერი (1996) გამოყოფს პრაგმატიკული მარკერების შემდეგ მთავარ მახასიათებლებს: (Frazer; 1996)

1) პრაგმატიკული მარკერები წინადადების ნაწილს არ წარმოადგენენ, არამედ ისინი განცალკევებული, გამოყოფილი ერთეულებია. (არძენაძე, 2019:30)

2) პრაგმატიკული მარკერები მნიშვნელობის მქონე ერთეულებია, თუმცა მათ გააჩნიათ პროცედურული მნიშვნელობა, რაც გულისხმობს, რომ ისინი აღნიშნავენ თუ როგორ არის მოცემული წინადადება მიმდინარე დისკურსთან დაკავშირებული. (არძენაძე, 2019:30)

3) პრაგმატიკული მარკერები აღნიშნავენ მთავარ ინფორმაციას, რომელიც პირდაპირ არის გადმოცემული ტექსტში. ისინი არ აღნიშნავენ ნაგულისხმევ ან გადატანითი მნიშვნელობით მოცემულ ინფორმაციას. (არძენაძე, 2019:30)

4) თითქმის ყველა პრაგმატიკული მარკერი გვხვდება წინადადების დასაწყისში, თუმცა არის შემთხვევა, როცა მათ ვიყენებთ წინადადების შუა ნაწილში, ამ შემთხვევაში ის გამოიყოფა მძიმეებით. (არძენაძე, 2019:30)

5) გრამატიკის ყველა ერთეული გვხვდება პრაგმატიკული მარკერების ფუნქციით, მაგალითად ზმნა, არსებითი სახელი და ზმნიზება მათ შორის იდიომებიც. თუმცა უმეტეს შემთხვევაში მათი მნიშვნელობა იცვლება, რადგან გამოხატავენ სხვადასხვა დამოკიდებულებას გამოთქმული აზრის მიმართ. (არძენაძე, 2019:30)

ბრინტონი წიგნში „**The Evolution of Pragmatic Markers in English**” (2017) განიხილავს პრაგმატიკული მარკერების ძირითადი მახასიათებლების შემდეგ ძირითად ჯგუფებს, ესენია: ფონოლოგიური და ლექსიკური, სინტაქსური, სემანტიკური, ფუნქციური, სოციოლინგვისტური და სტილისტური მახასიათებლები.

1. ფონოლოგიური და ლექსიკური მახასიათებლები:

ა) პრაგმატიკული მარკერები შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც „პატარა“, ასევე ფრაზული ენობრივი ერთეულების სახით; დღევანდელ ინგლისურში პრაგმატიკული მარკერები, როგორც წესი, „მოკლე“ სიტყვებია (მაგ., ახლა, შემდეგ,

მარჯვენა, კარგად, ასე რომ, შეხედე, ნახე, გარდა ამისა, ფაქტობრივად, მართლაც, კარგი) და ნაკლებად „გრძელი“ ფორმები (მაგ. რეალურად, ნებისმიერ შემთხვევაში, რა თქმა უნდა). მათ შეუძლიათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველთვის არ განიცდიან ფონოლოგიურ ცვლილებას: მაგ., you know > y'know , In fact > [nfækt] ან [fæk] (Traugott 1995a: 14)

ბ) პრაგმატული მარკერები არ ეკუთვნის ტრადიციულ სიტყვათა კლასს, მაგრამ ყველაზე მჭიდროდ ზმნიზებდებთან შეიძლება მათი დაკავშირება.

2. სინტაქსური მახასიათებლები:

ა) პრაგმატულ მარკერებს არ გააჩნიათ მკაფიო გრამატიკული ფუნქცია, რადგან მათ ვხვდებით სინტაქსური სტრუქტურის გარეთ. სინტაქსური დამოუკიდებლობა შეიძლება იყოს პრაგმატული მარკერების „ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო თვისება“. (Heine 2013: 1210)

ბ) პრაგმატული მარკერები შემოიფარგლებიან წინადადებაში საწყისი პოზიციით. პრაგმატული მარკერები შეიძლება აღმოჩნდნენ წინადადების დასაწყისში, შუაში ან ბოლოს. თუმცა მათი უპირატესი პოზიცია შეიძლება იყოს წინადადების დასაწყისში. (Schourup 1999: 233)

გ) პრაგმატული მარკერების გამოყენება გრამატიკული თვალსაზრისით არ არის სავალდებულო, მაგრამ ამავე დროს დისკურსის მნიშვნელოვან ელემენტებს წარმოადგენენ;

3. სემანტიკური მნიშვნელობა

ა) პრაგმატულ მარკერებს აქვთ მცირე ლექსიკური მნიშვნელობა ან საერთოდ არ გააჩნიათ მნიშვნელობა. პრაგმატული მარკერები აღარ ითვლება სემანტიკურად ცარიელ შემავსებელ სიტყვებად (Fillers) მაგრამ მეცნიერები თანხმდებიან, რომ მათ აქვთ მცირე ან შემცირებული წინადადებით მნიშვნელობა და არ ცვლიან გამოთქმის ინფორმაციულ შინაარსს.

4. ფუნქციური მახასიათებელი

ა) პრაგმატიკული მარკერები ხშირად მრავალფუნქციურობით ხასიათდებიან და შეიძლება გამოვიყენოთ რამდენიმე პრაგმატიკული დანიშნულებით. მათ ერთდროულად ახასიათებთ ტექსტუალური და ინტერპერსონალური ფუნქციები.

5. სოციოლინგვისტური და სტილისტური მახასიათებლები

ა) პრაგმატული მარკერები ძირითადად ზეპირი და ნაკლებად წერილობითი დისკურსისთვისაა დამახასიათებელი. როგორც ჩანს, ეს განპირობებულია ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა ზეპირი დისკურსის სპონტანურობა და მის დასაგეგმად დროის ნაკლებობა, თუმცა, პრაგმატული მარკერები წერილობით დისკურსშიც გვხვდება.

ბ) პრაგმატული მარკერები ქალთა მეტყველებისთვის უფრო დამახასიათებელია, ვიდრე მამაკაცების. (Brinton, 2017:3-7)

ზემოთ მოცემულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, პრაგმატიკული მარკერი წარმოდგენილია როგორც მცირე მნიშვნელობის მქონდე „მოკლე“ ენობრივი ერთეული, რომელიც არ გამოირჩევა მკაფიო გრამატიკული ფუნქციით და არც მისი გამოყენება არის დისკურსისთვის სავალდებულო, თუმცა პრაგმატიკული თვალსაზრისით მათი არსებობა დისკურსის უკეთ წარმართვაში ეხმარება მოსაუბრეს. მოცემულ მახასიათებლებს თუ შევადარებთ დავინახავთ, რომ ფრეიზერის თანახმად პრაგმატიკული მარკერები მნიშვნელობის მქონე ერთეულებია, რომლებიც გვხვდებიან წინადადების დასაწყისში და აღნიშნავენ წინადადების მთავარ ინფორმაციას, ხოლო ბრინტონის მიხედვით პრაგმატიკული მარკერები „მოკლე“ ენობრივი ერთეულებია, რომლებიც მეტწილად წინადადების საწყის პოზიციას იჭერენ და აქვთ მცირე ლექსიკური მნიშვნელობა ან საერთოდ არ გააჩნიათ მნიშვნელობა. ფრეიზერისგან განსხვავებით, პრაგმატიკულ მარკერებს ბრინტონი გამოყოფს გენდერული ნიშნითაც და აღნიშნავს, რომ მათი ხშირი გამოყენება ქალთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი.

ბრინტონი(Brinton, 2017:9) აქვე განმარტავს პრაგმატიკულ მარკერთა ზეპირ დისკურსში მაღალ სიხშირეს, კერძოდ, პრაგმატული მარკერები ზეპირ დისკურსში მაღალი სიხშირით გვხვდებიან, ეს აიხსნება დისკურსის სპონტანურობით, (ონლაინ დებატები, მყისიერი პასუხების გაცემა) და საუბრებში პრაგმატული მარკერები (Fox Tree-ის მიხედვით (2015) ბევრად უფრო ხშირად გამოიყენება ზეპირ მეტყველებაში, ვიდრე წერილობითში .(ibid)

გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სამეცნიერო ლიტერატურაში პრაგმატიკული მარკერების ფუნქციების ფართო სპექტრი და მრავალი განსხვავებული ტიპოლოგიაა

შემოთავაზებული. მაგალითად, ერმანი (2001: 1341) განსაზღვრავს ფუნქციების სამ კლასს: „ტექსტის მონიტორები“ (editing signs, repairs, hesitation markers- ნიშნების რედაქტირება, შესწორება, ყოყმანის მარკერები) და „სოციალური მონიტორები“ (interactive markers, comprehension markers- ინტერაქტიური მარკერები, გაგების აღნიშვნის მარკერები) და მესამე ფუნქციონირებს როგორც „მეტალინგვისტური მონიტორები“ (approximators, hedges, emphasizeers-, გამოყოფა-აღნიშვნა).

ცხრილი 8. (პრაგმატიკული მარკერების ფუნქციას Erman, 2001- ის მიხედვით ცხრილის სახით) (Erman,2001:1339)

ფუნქცია		განმარტება
1	ტექსტუალური მარკერები	პრაგმატიკული მარკერები ძირითადად ტექსტზეა ორიენტირებული, მომხსენებელი მათი გამოყენებით დისკურსის ფრაგმენტულ ნაწილებს აქცევს თანმიმდევრულ ტექსტად.
2	სოციალური მარკერები	ძირითადი ფუნქციაა მოლაპარაკება დისკურსის მნიშვნელობასა და თანამოსაუბრეების მიერ აღქმულ ინფორმაციას შორის.
3	მეტალინგვისტური მარკერები	ძირითადად მოდალურია; ანუ მათი გამოყენებით მომხსენებელი აცნობებს ადრესატს რამდენად არის წინადადებით გამოთქმული მნიშვნელობა ჭეშმარიტი ან ღირებული.

მოცემულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისკურსის მონიტორები, მკაფიოდ არის ტექსტთან დაკავშირებული, რადგან ისინი ემსახურებიან ტექსტის ორგანიზებას, კოდირებასა და რედაქტირებას. სოციალურს რაც შეეხება, უშუალოდ გულისხმობს ადრესატს და მოიცავს მის მიერ აღქმულ ინფორმაციას, ხოლო, მეტალინგვისტური მარკერი მკაფიოდ არის მოსაუბრეზე ორიენტირებული და გადმოსცემს მის დამოკიდებულებას შეტყობინების შინაარსისა და ღირებულების მიმართ.

რაც შეეხება ჰალიდის(1970, 1979) მოსაზრებას, პრაგმატიკული მარკერების ფუნქციებთან დაკავშირებით, ის გამოყოფს სამ ფუნქციონალურ-სემანტიკურ „ენობრივ მოდელს“ (“modes” of language). “ideational- იდეური” (language as representation- ენა როგორც წარმოდგენა), “textual- ტექსტუალური” (language as relevance- ენა როგორც შესაბამისობა“) და “interpersonal- ინტერპერსონალური” (language as interaction -ენა, როგორც ურთიერთქმედება) რომელიც ადაპტირებულია თრაგოტის (Traugott, 1982) მიერ.(Brinton, 2017:11)

"ინტერპერსონალური" ფუნქცია გულისხმობს როგორც მომხსენებლის დამოკიდებულების, შეფასებების, მოლოდინებისა და მოთხოვნების გამოხატვას, ასევე სოციალური დამოკიდებულების, მოსაუბრის როლისა და მსმენელის პოზიციის ჩვენება.

როგორც ვხედავთ, ერმანი (Erman,2001) და ბრინტონი (Brinton,2017) იზიარებენ მოსაზრებას პრაგმატიკული მარკერების ფუნქციების შესახებ, თუმცა აღსანიშნავია მათ მიერ შემოთავაზებულ ტერმინოლოგიათა სხვადასხვაობა. კერძოდ, ერმანი გვთავაზობს ტექსტუალურ, სოციალურ და მეტალინგვისტურ ფუნქციებს, ხოლო ბრინტონი კი ტექსტუალურ, ინტერპერსონალურ და იდეურ მარკერებს.

ჰალიდის ინტერპერსონალურ ფუნქციას განიხილავს როგორც "ინტონაციურს- prosodically", დისკურსისგან ცალკე მდგომ ერთეულად, ის ხასიათდება განწყობით, მოდალობით, ტონითა და ინტენსივობით. რაც შეეხება "ტექსტუალურ ფუნქციას", ის ვლინდება მოსაუბრის მიერ მნიშვნელობის ტექსტად ჩამოყალიბების პროცესში, ეს არის „ენა, როგორც შესაბამისობა“. (Brinton, 1996: 39)

*Brandon Johnson {The Race for Chicago Mayor: The Candidates Debate}- „What’s disappointing about this conversation is that you have politicians and insiders that continue to use the same talking points year after. Year after we spend more on policing per capita than anywhere else in the country and yet we’re not safe and so here’s how we protect workers because I’m supported by workers. I am a worker. You **actually** have to invest in people. It’s pretty straightforward. There’s a direct correlation between youth employment and violence reduction. Here’s ... “* ³²(ამ საუბარში გულდასაწყვეტია ის, რომ გყავთ

³² <https://www.youtube.com/watch?v=ck8GPV5Rtpo>

პოლიტიკოსები და ინსაიდერები, რომლებიც აგრძელებენ იმავე პოზიციით საუბარს ერთი წლის შემდეგ. ერთი წლის შემდეგ ჩვენ უფრო მეტს ვხარჯავთ პოლიციაზე ერთ სულ მოსახლეზე, ვიდრე სხვა ქვეყნებში, მაგრამ ჩვენ არ ვართ დაცულები და აი, როგორ ვიცავთ მუშებს, რადგან მე მხარს მუშები მიჭერენ. მე მუშა ვარ. თქვენ რეალურად უნდა ჩადოთ ინვესტიცია ადამიანებში. ეს საკმაოდ მარტივია. არსებობს პირდაპირი კორელაცია ახალგაზრდების დასაქმებასა და ძალადობის შემცირებას შორის. აი...)

კომენტარის პრაგმატიკული მარკერი/შეფასების მარკერი- ადრესატი მიმდინარე დისკურსის მიმართ პოზიციის გამოხატვას ცდილობს შეფასების მარკერებით, როგორიცაა *What's disappointing* და *It's pretty straightforward* და სიცხადის აღმნიშვნელი მარკერით (*Actually*). აღნიშნული მარკერებით ადრესატი არა მხოლოდ საკუთარ პოზიციას გამოხატავს, არამედ მსმენელს არწმუნებს გამოთქმული აზრის ჭეშმარიტებაში.

ლაშა ხუციშვილი {ფინანსთა მინისტრი} - „ცხადია, მიმდინარეობს სხვა გამშვები პუნქტების სრული რეაბილიტაცია-განახლება“³³

ვახტანგ მაზირაძე: „როგორ შეიძლება კრიმინალების გამოყენება არჩევნებთან დაკავშირებით, მით უმეტეს, თუ ხდება მოსახლეობის დაშინება, ფაქტობრივად, ამომრჩეველზე ტერორია“³⁴

ადრესატი ემოციური დატვირთვით იყენებს შეფასების პრაგმატიკულ მარკერებს „სამწუხაროდ“, რისი საშუალებითაც გამოხატავს საკუთარ პოზიციას აღნიშნული საკითხის მიმართ. და „ფაქტობრივად“ რაც აღნიშნავს მიმდინარე მსჯელობის ერთგვარ შეჯამებას. კერძოდ მოსაუბრე განიხილავს არჩევნებში კრიმინალების არსებობას და მოცემული მარკერის გამოყენებით უკვე განხილულ პრობლემას წარმოადგენს სხვა სიტყვებით (ფაქტობრივად, ამომრჩეველზე ტერორია).

ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების გარდა სხვადასხვა მეცნიერი პრაგმატიკულ მარკერთა სხვადასხვა ფუნქციაზე ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის აღსანიშნავია

³³ <https://imedinews.ge/ge/ekonomika/278132/lasha-khutsishvili-satransporto-nakadi-saqartvelos-sabajo-teritoriaze-mnishvnelovnad-gazrdilia>

³⁴ <https://imedinews.ge/ge/politika/277111/irakli-kobakhidze-miukhedavad-dzalian-bevri-sirtulisa-movakherkhet-vela-problemis-dadzleva-saboloo-jamshi-davamshvidet-qvekana-da-davamshvidet-politikuri-protsesi>

ოსტმანი,(Östman, 1995:100) რომელიც პრაგმატიკულ მარკერთა კლასობრივი იდენტიფიკაციის ფუნქციას განიხილავს და მას უწოდებს **იმპლიციტურს**. ამ თვალსაზრისით პრაგმატიკული მარკერები წარმოადგენენ „**ფანჯრებს**“, რომლებიც საშუალებას აძლევენ მსმენელს მომხსენებლის დამოკიდებულებისა და მოსაზრებების შესახებ გამოიტანოს დასკვნა.

იგივე მოსაზრებას აფიქსირებენ უაითი (White (2003)) და აიმერი (Aijmer et al. (2006) , რომლებიც ამტკიცებენ, რომ პრაგმატიკულ მარკერებს აქვთ ურთიერთქმედებითი და არგუმენტირებული ფუნქციები, კერძოდ ისინი წარმოადგენენ დისკურსში მოსაუბრის პოზიციის აღმნიშვნელ სიგნალებს. (Ostman, 2011: 224) ხოლო, რას წარმოადგენს ეს სიგნალი და როგორ აიხსნება ის? აიმერის თანახმად, პრაგმატული მარკერების კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება არის რეფლექსურობა, იმ გაგებით, რომ ისინი კომენტარს აკეთებენ მოსაუბრის მიერ გამოთქმულ აზრზე და ამით მსმენელს ეხმარებიან ამ აზრის ინტერპრეტაციაში. მარკერს ამ თვალსაზრისით აქვს "მეტა" სტატუსი და მისი ფუნქციონირების გაგება მოიცავს მისი მეტალინგვისტური ან მეტაპრაგმატული როლის განსაზღვრას. (Aijmer et al. 2006)

ჰოლკერი ((Holker, 1991) მოცემულია ნაშრომში Aijmer and Simon-Vandenberg 2009) განიხილავს პრაგმატიკული მარკერების შემდეგ ძირითად მახასიათებლებს: (Huddleston, Fairhurst, Stellenbosch Papers in Linguistics Plus, Vol. 42) (არძენაძე,2019:34)

1. პრაგმატიკული მარკერები არ ცვლიან არსებულ რეალობას, სადაც მიმდინარეობს დისკურსი;
2. პრაგმატიკული მარკერები არ ცვლიან მოცემულ დისკურსს, არ ამატებენ ან არ აკლებენ ინფორმაციას;
3. პრაგმატიკული მარკერების გამოყენება განისაზღვრება მოცემული ინფორმაციით და არა არსებული სიტუაციით;
4. პრაგმატიკული მარკერების ფუნქცია არის უფრო ექსპრესიულობა-ემოციურობის გამოხატვა ვიდრე დენოტატური, კოგნიტიური და მიმართების ფუნქცია.(არძენაძე,2019:34)

ირაკლი კობახიძე {„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე „იმედის კვირასთან“ ინტერვიუში} „*რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რომ რადიკალიზმის ხარისხი შემცირდეს*

ქართულ პოლიტიკაში და ამ კუთხით შეიძლება სერიოზული წინსვლის მიღწევა მომავალი წლების განმავლობაში.“³⁵

მოცემულ მაგალითში ადრესატი იყენებს დისკურს და პრაგმატიკულ მარკერებს ერთდროულად, „**რა თქმა უნდა**“ დისკურს აქტივობის აღმნიშვნელი მარკერების ერთ-ერთი ქვეჯგუფია, კერძოდ, თანხმობის აღმნიშვნელი მარკერი, რის საშუალებითაც მოსაუბრე ხაზს უსვამს თავის პოზიციას და ემხრობა გამოთქმულ აზრს, ხოლო „**მნიშვნელოვანია**“ - კომენტარის პრაგმატიკული მარკერის ერთ-ერთი სახეა- შეფასების აღმნიშვნელი მარკერი, რაც აძლიერებს ადრესატის პოზიციას.

Roderick Sawyer-[*The Race for Chicago Mayor: The candidates' Debate*]- *"We have lots where we can build affordably, **really affordably**, and use that same density bonus money to invest in our neighborhoods that are **really** seeing no investment whatsoever."*³⁶ (ჩვენ გვაქვს ბევრი რესურსი, შეგვიძლია ავაშენოთ ხელმისაწვდომ ფასად, **ნამდვილად** ხელმისაწვდომ ფასად და გამოვიყენოთ იგივე სიმკვრივის ბონუს თანხა ჩვენს უბნებში ინვესტიციებისათვის, სადაც რეალურად არავითარი ინვესტიცია არ არის.)

Brandon Johnson: *"As we take steps forward it's clear that Congressman Garcia has taken a step back, **right?**"*³⁷ (მაშინ როცა ჩვენ ნაბიჯებს წინ ვდგამთ, აშკარაა, კონგრესმენმა გარსიამ უკან გადადგა ნაბიჯი, **არა?**)

მოცემულ მაგალითებს რაც შეეხება, ვხვდებით შეფასების აღმნიშვნელ მარკერს- „**Really affordable**“ -სა და სოლიდარობის აღმნიშვნელ მარკერს „**Right**“, რომელიც ადრესანტისაკენ არის მიმართული და დარწმუნების პარალელურად ცდილობს მისგან საპასუხო ქმედება გამოიწვიოს.

მეცნიერთა ნაწილი პრაგმატიკულ მარკერებს განიხილავს როგორც ზეპირი ენის ერთ-ერთ მთავარ მახასიათებელს. ამას მოწმობს მკვლევრების იუკერისა და ზივის ნაშრომი „**Discourse Markers**“ (1998), სადაც ავტორები პრაგმატიკულ მარკერებს იყენებენ მცირე ლინგვისტური ელემენტების აღსანიშნავად, რომლებსაც ძირითადად ზეპირ მეტყველებაში ვხვდებით და მათი ფუნქცია არის კომუნიკაციის პრაგმატიკული ასპექტების გამოხატვა. მაგალითად ინტერ-ტექსტუალური ან ინტერპერსონალური

³⁵ <https://imedinews.ge/ge/politika/277108/irakli-kobakhidze-dges-arshitad-dasustebulia-radikaluri-opozitsia-es-protsesti-tu-gagrdzeldeba-sheidzleba-qvekanam-sabolood-daagtsios-tavi-im-chaketil-tsres-rasats-polarizatsias-vedzakhit>

³⁶ <https://wgntv.com/politics-3/brandon-johnson-and-jesus-chuy-garcia-duke-it-out-on-mayoral-campaign-trail/>

³⁷ <https://wgntv.com/politics-3/brandon-johnson-and-jesus-chuy-garcia-duke-it-out-on-mayoral-campaign-trail/>

კავშირების აღნიშვნა(Jucker, Ziv, 1998), ხოლო აიმერის მიხედვით (1986) პრაგმატიკული მარკერები მოსაუბრის კომუნიკაციური საჭიროებების შესაბამისია. ენის შემსწავლელი ყოველთვის დგას კომუნიკაციური სტრესის წინაშე, განსაკუთრებით მაშინ, თუ კომუნიკაციას ამყარებს მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ადამიანთან, ამ შემთხვევაში კი, სწორედ კომუნიკაციურ სტრესზე არის დამოკიდებული მარკერების გამოყენების სიხშირე. (არძენაძე, 2019:34)

როგორც ზემოთ ვახსენეთ, ფურკო (2017) პრაგმატიკულ მარკერებს განიხილავს, როგორც ენობრივი ერთეულების კლასს, რომელიც როგორც წესი, ცვლის წინადადების მნიშვნელობას, მაგრამ აუცილებელია დისკურსის ორგანიზებისა და სტრუქტურისთვის, წინადადებისადმი მომხსენებლის დამოკიდებულების აღსანიშნავად. ის (Furko, 2017) ნაშრომში „**Manipulative uses of pragmatic markers in political discourse**” პრაგმატიკულ მარკერებს განიხილავს დისკურს ანალიზის ფართო ჭრილში, სადაც ყურადღება ექცევა ზემოქმედებითი მიზნით წარმართულ სოციალურ პრაქტიკებსა და მიმდინარე დისკურსში მათ გამოვლინებებს.

ზემოთ განხილულ მახასიათებლებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ პრაგმატიკული მარკერები ძირითადად მსგავსი ნიშნებით არის განხილული, ამათგან ყურადღებას იქცევს ჰოლკერის(1991) მიერ შემოთავაზებული ერთ-ერთი ნიშანი, ექსპრესიულ-ემოციურ ნიშანი, რის საფუძველზეც ადრესანტი იგებს არა მხოლოდ დისკურსის შინაარსობრივ მხარეს, არამედ ადრესატის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხის მიმართ.

2.3.დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერებს შორის არსებული მსგავსება- განსხვავება

1970-იანი წლებიდან მოყოლებული დისკურსის წარმოთქმისა და გააზრებისადმი ინტერესის გაზრდის პარალელურად დისკურსული მარკერების მიმართაც გაიზარდა ინტერესი. ბოლო ათწლეულის განმავლობაში დისკურსული მარკერების მიმართ გამოიკვეთა ინტერესი ლინგვისტიკაშიც, რამაც გამოიწვია ცალკეული წინადადებების ელემენტების მიმართ ყურადღების ზრდაც. შესაბამისად, ლინგვისტური კვლევის ბევრ ელემენტს დაეთმო ყურადღება, მათ შორის ისეთ გამოთქმებს, როგორიცაა Well, y'know და ა.შ., რომლებსაც გასული საუკუნეების

განმავლობაში ნაკლებად იკვლევდნენ. 1980-1990-იან წლებში ლინგვისტებმა დაიწყეს დისკურსული მარკერების ანალიზი, რადგან მათ დაინახეს ამ ენობრივი ერთეულების გამორჩეული როლი არა მხოლოდ პრაგმატულ და დისკურსულ ანალიტიკურ კვლევაში, არამედ ენის ათვისების, პედაგოგიკისა და სოციოლინგვისტური თემების კვლევის პროცესშიც. (Zahei F, 2013:108)

მეცნიერთა ნაწილი (Chilton and Schaffner:2002) თვლის, რომ პოლიტიკური აქტივობა თავისთავად გულისხმობს ენის აქტიურ გამოყენებას. შესაბამისად ენასა და პოლიტიკას შორის ურთიერთობა გამომდინარეობს იქიდან, რომ ენა განიხილება, როგორც რესურსი, რომელიც შექმნილია სოციალურ-პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ენა წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, რომელსაც პოლიტიკოსები იყენებენ ამომრჩეველთა ინფორმირებისა და მათი დარწმუნებისათვის(Grabias, 2001: 290). შესაბამისად, ენის საშუალებით (Van Dijk, 1997: 12) პოლიტიკოსი საკუთარი განზრახვებისა და მიზნების კომუნიკაციას ახერხებს. (Ismail M. 2012:26)

პოლიტიკური გამოსვლები პოლიტიკური დისკურსის ძალის ყველაზე კარგი გამოვლინებაა, რადგან ისინი მიმართულია მსმენელისკენ(ამომრჩეველისკენ), რათა დაარწმუნოს ის, რის პარალელურად პოლიტიკოსი ახერხებს საკუთარი პერსონის შესახებ დადებითი სურათის შექმნას საზოგადოების გონებაში. (Mai, 2016)

პოლიტიკური დისკურსის საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს გრეიბერი (1993:305-332), რომლის მიხედვით პოლიტიკური გამოსვლა წარმოადგენს არა მხოლოდ მონოლოგს, არამედ სოციალური ინტერაქციის მაგალითსაც, რომელიც მსმენელზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენას ისახავს მიზნად, ან წარმოადგენს მნიშვნელოვან დიპლომატიურ ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს მოლაპარაკების საფუძველზე მიიღოს გარკვეული გადაწყვეტილებები.(Ismail M. 2012:1)

იგივე მოსაზრებას აფიქსირებს გრაბიასი.(Grabias, 2001:290) კერძოდ, პოლიტიკოსებისათვის ენა არის ძალიან მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება გარკვეული მიზნის მისაღწევად. ეს პროცესი მოიცავს მსმენელსა და პოლიტიკოსს, სადაც პოლიტიკოსი მიმართავს ხალხს, ახდენს გარკვეული აზრის

კომუნიკაციას, ხოლო მსმენელი-ამომრჩეველი, ინტერტექსტუალობისა და პოლიტიკური ცოდნის საფუძველზე, ახდენს მიმდინარე დისკურსის ინტერპრეტაციას.

პოლიტიკური მეტყველება განიხილება როგორც კომუნიკაციური ურთიერთქმედება ადრესატსა (პოლიტიკოსი) და ადრესანტს (ამომრჩეველი) შორის, რომელშიც ადრესატი ცდილობს ადრესანტის მხარდაჭერის მოპოვებას დარწმუნების საშუალებით. ამის მისაღწევად, ადრესატი ეყრდნობა ლექსიკურ და გრამატიკულ რესურსებს და ლინგვისტურ საშუალებებს, როგორც დისკურსში საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალებებს.

ვან დაიკი (Dijk, 1987:81-100) განმარტავს, რომ ფუნქციონალური თვალსაზრისით ენა წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელსაც ინდივიდები იყენებენ გარკვეული მიზნების მისაღწევად. კერძოდ, ენა გამოიყენება ისე, რომ გარკვეული ინფორმაციის კომუნიკაციის პარალელურად, მოსაუბრეები ახერხებენ ადრესანტების შეხედულებების შეცვლას ან ემოციურად ზემოქმედებენ მათზე, რათა შეცვალონ მათი რწმენა-შეხედულებებს.

პოლიტიკური დისკურსისა და ენის საინტერესო კავშირი არ გულისხმობს მხოლოდ ინფორმაციის გაცვლას და ენა არ წარმოადგენს „ურთიერთგაგების ნეიტრალურ“ საშუალებას, მაშინაც კი თუ განვიხილავთ წინასაარჩევნო ან საარჩევნო პერიოდს. მაჭავარიანის(მაჭავარიანი,125-126:2019) სტატიაში „**პოლიტიკური დისკურსის ფუნქციურ-ენობრივი ასპექტები**“ ვკითხულობთ „ენობრივი პოლიტიკური სიმბოლოების მნიშვნელობა არ გამომდინარეობს სიტყვების ან წინადადებების ლექსიკური მნიშვნელობებიდან, ის მომდინარეობს კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციიდან. ნებისმიერი პოლიტიკური კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს გარკვეული ინტერესებისა და განზრახვების გატარება. ამ თვალსაზრისით, ენა ემსახურება პოლიტიკას, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკური ბრძოლის ზემოქმედების იარაღს“.

მილერის (2015) თანახმად ყველა ენის სტილი და მისი გამოყენების გზები დამაჯერებელი ხასიათისაა. დარწმუნება საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთქმედების განუყოფელი ნაწილია და იგი პირობითად განიხილება, როგორც

მიზანმიმართული ენობრივი ქცევა და სტრატეგია, რათა შეცვალოს თანამოსაუბრეთა დამოკიდებულება და რეაქცია ან გავლენა მოახდინოს მათ რწმენაზე. გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ადრესატის არსებობა, აქტიურ თუ პასიურ პოზიციაში, ხელს უწყობს დარწმუნების პროცესის წარმატებით განხორციელებას.

დრაქმენი (Druckman, 2021:68) ნაშრომში „A framework for the study of persuasion” განიხილავს დარწმუნების მექანიზმის მონაწილე ერთეულებსა და მათ ძირითად კომპონენტებს(General Persuasion Framework).

ცხრილი 9

ერთეული	კომპონენტი
მონაწილეები	ადრესატი -სახეობა(მაგ.მედია,ლიდერები,მეგობრები/ოჯახის წევრები); - შეტყობინების მთავარი მოტივაცია;
	ადრესანტი -შეტყობინების შინაარსის შეფასება; -არსებული ძალისხმევა, მოტივაცია, წინარე დამოკიდებულებები;
საქციელი	თემა -პირები/ჯგუფები,საკითხები,ინსტიტუტები, პროდუქტები -ცვალებადობა თემის ფარგლებში (მაგ., სხვადასხვა პოლიტიკის საკითხები)
	შეტყობინების შინაარსი -არგუმენტების სიმძლიერე (და არაადეკვატურობა) -ჩარჩოები და შეფასებები - ადრესანტის მიზნებთან შესაბამისობა
	საზომი საშუალება -ცვლის ჩარჩოებს, შეტყობინების მიზნებს; -ურთიერთმოქმედება სხვა დარწმუნების საშუალებებთან
შედეგი	დამოკიდებულება -ობიექტის ზოგადი შეფასება;
	მოქმედება ყოველთვის არ გამომდინარეობს დამოკიდებულებიდან, არამედ განისაზღვრება ქცევის კონტროლითა და ემოციებით;
	ემოცია შეუძლია ცნობიერი შეფასებების ინფორმირება;
	იდენტობა

	მართებული შეფასება ხშირად აქტიურდება მუქარისას;
გარემოება	კონკურენცია - მომხსენებელთა რაოდენობა; - მიმღებთა რაოდენობა; - დამკვირვებლები;
	სივრცე დამოკიდებულების ან ქცევის ცვლილება ერთ შემთხვევაში შეიძლება არ განზოგადდეს სხვა შემთხვევებზე;
	დრო - რაც მოხდა დამაჯერებელ შეტყობინებამდე. - რამდენ ხანს გრძელდება ეფექტი - დრო სასურველი შედეგის მიღებამდე;
	პროცესი - პოლიტიკური კონფლიქტური პარამეტრები;
	კულტურა - განსაზღვრავს შეტყობინების სწორ გაგებას; - ცვლის სხვადასხვა ღირებულებების მნიშვნელობას;

როგორც ცხრილიდან ირკვევა, დარწმუნების მექანიზმის ეფექტურობა განისაზღვრება ოთხი ძირითადი ერთეულითა და მათგან გამომდინარე არსებული კომპონენტებით, რაც თავისთავად ეხმარება პოლიტიკოსს ეფექტური წინასაარჩევნო ტექსტის მომზადებასა და მსმენელზე ეფექტური დარწმუნების შედეგად ზემოქმედების მოხდენაში.

ზემოთ განხილულ მასალაზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა, ნებისმიერი პოლიტიკური კომუნიკაციის მიზანს წარმოადგენს გარკვეული ინტერესებისა და განზრახვების გატარება. შესაბამისად, ენა ემსახურება პოლიტიკას, როგორც მიზანმიმართული პოლიტიკური ბრძოლის ანუ ზემოქმედების იარაღს. ენა, როგორც იარაღი, საშუალებას აძლევს პოლიტიკოსს ყველა საკომუნიკაციო რესურსისა და სიტყვების მანიპულირებით მოარგოს პოლიტიკური გამოსვლა თავის მიზნებსა და იდეოლოგიას. თუმცა, საინტერესოა რომელ ენობრივ ერთეულებზე გააკეთებს პოლიტიკოსი არჩევანს, რა ეფექტური ენობრივი ერთეულები გვხვდება ყველაზე ხშირად, რომლებიც გამოირჩევიან ძლიერი ზემოქმედებისა და დარწმუნების უნარით.

ჩვენი კვლევის მიზანია გამოვყოთ პრაგმატიკულ და დისკურს მარკერთა ის ძირითადი ჯგუფები, რომლებიც ზემოთ ნახსენები ნიშნებით გამოირჩევიან და ემოციური დატვირთვის გამოიყენებიან დისკურსში. თუმცა თავდაპირველად უნდა განვმარტოთ საყოველთაოდ ცნობილი ორაზროვნება პრაგმატიკულ და დისკურს მარკერებთან დაკავშირებით. ტერმინოლოგიის საკითხი ხშირად ორაზროვანია, რადგან ტერმინები ხშირად ასახავს განსხვავებულ პერსპექტივებს მარკერების ფუნქციებსა და სტატუსთან დაკავშირებით. პრაგმატულ მარკერებს ვხვდებით სხვადასხვა ტერმინითაც, მათ შორის ყოყმანის მარკერები და შემავსებელი სიტყვები. მათგან გამოირჩევა პრაგმატული მარკერი (Brinton, 1996), დისკურსის მარკერი (Schiffrin 1987, Jucker & Ziv 1998), დისკურსის ნაწილაკი (Hansen 1998; Aijmer 2002) და პრაგმატული ნაწილაკი. (Östman 1995)

პრაგმატული მარკერის გამოყენებას უპირატესობა ენიჭება მაშინ, როცა მარკერებს აქვთ პრაგმატული და არა დისკურსის მონიშვნის ფუნქცია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარკერები ილოკუციურ ძალას აღნიშნავენ ან აქვთ ურთიერთქმედების ფუნქცია. თუმცა, პრაგმატიკული მარკერი ყველაზე ხშირად გამოიყენება როგორც ტერმინი, რომელიც ფუნქციების მრავალფეროვნებით ხასიათდება, ეს კი გულისხმობს როგორც ინტერპერსონალურ, ასევე ტექსტუალურ დონეებს. (Östman, 1995: 227)

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გვხვდება აღნიშნული ორი ტერმინი-დისკურს მარკერი და პრაგმატიკული მარკერი, ზოგჯერ განსხვავებული ფუნქციებით, ზოგჯერ კი ერთი წარმოდგენილია როგორც მეორეს ქვეჯგუფი. (მაგ: ჰანსენი(2006) აცხადებს, რომ დისკურს მარკერი არის პრაგმატიკული მარკერის ჰიპონიმი) აღნიშნულ შემთხვევაში, მათ შორის არსებული ფუნქციური საზღვრები ძალიან ბუნდოვანია. თუმცა, ეს ენობრივი ერთეულები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. კერძოდ, დისკურს მარკერი ტექსტის / დისკურსის ორგანიზებაზე, დისკურსის მართვასა და დისკურსის ინტერპრეტაციაზეა ორიენტირებული, ხოლო პრაგმატიკული მარკერები სუბიექტური ერთეულებია (Inter-subjective) , რომლებიც სოციალურ ურთიერთობებზე, ინდივიდუალურ დამოკიდებულებასა და ურთიერთმოლაპარაკებებზეა ორიენტირებული.

მოცემული განსხვავება დისკურს მარკერსა და პრაგმატიკულ მარკერს შორის არსებითად ფუნქციონალურია, აღნიშნულს გეზი (Ghezzi (2014) უწოდებს "მაკროფუნქციებს" და წარმოგვიდგენს მათ ცხრილის სახით.

ცხრილი 10 მაკროფუნქციები. დისკურს მარკერები და პრაგმატიკული მარკერები (Ghezzi, 2014: 14).

მაკროფუნქცია	დახასიათება	მარკერები
ტექსტუალური კოჰეზია (ბმულობა)და კოჰერენტულობა	დისკურსის სტრუქტურა და სამეტყველო აქტი: მარკერები აღნიშნავენ ტექსტის წინადადებებსა და გამოთქმულ შინაარსს შორის არსებულ კავშირს.	დისკურს მარკერები
სოციალური კოჰეზია (ბმულობა-ჩართულობა)	სოციალური ასპექტი: მარკერები აღნიშნავენ მოსაუბრეებს შორის არსებულ კავშირს.	პრაგმატიკული მარკერები
პირადი პოზიცია	ადრესატი: მარკერები ადრესატის დამოკიდებულებას აღნიშნავენ მიმდინარე დისკურსის, ადრესანტისა და კომუნიკაციის შინაარსობრივი მხარის მიმართ.	პრაგმატიკული მარკერები

მოცემული ცხრილი კარგად ასახავს დისკურს და პრაგმატიკულ მარკერთა განსხვავებას, რაც თავისთავად ცხადყოფს მათ შორის არსებულ ფუნქციურ სხვადასხვაობას, კერძოდ, დისკურს მარკერები ტექსტუალური ნიშნებით ხასიათდებიან და აღნიშნავენ ტექსტის წინადადებებსა და გამოთქმულ შინაარსს შორის არსებულ კავშირს. (მაგ: რაც შეეხება... You know...) ხოლო პრაგმატიკული

მარკერები სოციალური და პირადი დამოკიდებულების ჩვენებით და აღნიშნავენ ადრესატის დამოკიდებულებას მიმდინარე დისკურსის, ადრესატისა და კომუნიკაციის შინაარსობრივი მხარის მიმართ. (მაგ: რა თქმა უნდა... Obviously...)

უნდა აღინიშნოს, რომ დისკურს და პრაგმატული მარკერები კომუნიკაციისა და ურთიერთქმედებისათვის მნიშვნელოვანი ლინგვისტური ელემენტებია, რომელთა მთავარი მიზანია, როგორც ვილეგასი (Villegas,2019) აღნიშნავს, მიმდინარე დისკურსში სემანტიკური და პრაგმატული თანმიმდევრულობის შენარჩუნება, საუბრისას ფსიქიკური და ემოციური მდგომარეობის გამოხატვა და სამეტყველო მოქმედებების შესრულება.

ზემოთ განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ დისკურს მარკერები, ლექსიკური ერთეულებია, რომელთა გამოყენება დისკურსისთვის აუცილებელი არ არის, თუმცა ამ მაკავშირებლების გამოყენებით ყოველი გამოთქმული აზრი მიმდინარე დისკურსს ლოგიკურად უკავშირდება, ხოლო პრაგმატიკული მარკერი შინაარსის თვალსაზრისით არ ცვლიან დისკურსს, არამედ პრაგმატიკული მარკერების მთავარი ფუნქცია ექსპრესიულ-ემოციური გამოხატულებაა. შესაბამისად, მთავარი განმასხვავებელი ნიშანი პრაგმატიკულ მარკერებსა და დისკურს მარკერებს შორის არის ის, რომ დისკურს მარკერი წინადადებებს შორის ლოგიკურ, აზრობრივ კავშირს ამყარებს, ხოლო პრაგმატიკული მარკერი ექსპრესიულობის გამოხატულებიდან გამომდინარე გამოხატავს სუბიექტის დამოკიდებულებას მოცემული საკითხის, მოვლენის მიმართ.

პოლიტიკური დისკურსი, განსაკუთრებით კი საარჩევნო პოლიტიკური დისკურსი, გამოირჩევა მანიპულაციური ფუნქციით, რაც ხასიათდება ენობრივი საშუალებების მიზანმიმართული გამოყენებით წინასაარჩევნო გამოსვლებში პოტენციურ ამომრჩეველზე ფარული გავლენის მოხდენის მიზნით. წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას პოლიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ მიმდინარე აქტუალურ პრობლემებზე, რათა უზრუნველყონ ძლიერი ფსიქო-ემოციური ზეგავლენა საზოგადოებაზე და ამის საშუალებით არჩევნებში მიიღონ მათგან მხარდაჭერა. რაც შეეხება ზემოქმედების მოხდენას, განსაკუთრებით იკვეთება დისკურს და

პრაგმატიკული მარკერები, როგორც დისკურსში აზრობრივ-ლოგიკურობისა და ფსიქო-ემოციურობის შენარჩუნებისათვის საჭირო ენობრივი ერთეულები.

თავი 3. ემოციური მარკერები ამერიკულ და ქართულ საარჩევნო დისკურსში დისკურსულ და პრაგმატიკულ მარკერთა კორპუსლინგვისტურ ანალიზზე დაყრდნობით

3.1. პოლიტიკური დისკურსი კორპუსლინგვისტიკის ჭრილში

ნებისმიერი პოლიტიკური ქმედება ენის აქტიურ გამოყენებას გულისხმობს, იქნება ეს პოლიტიკური გამოსვლები, სტატიები, პრესკონფერენციები, საპარლამენტო აქტები თუ სამშვიდობო მოლაპარაკებები. ენა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია პოლიტიკური ნებისა და ძალაუფლების სოციალურ მმართველად გარდაქმნის პროცესისათვის, შესაბამისად, ყველა პოლიტიკური ქმედება ენის საშუალებით კონტროლირდება. პოლიტიკურ რეალობაში ენა წარმოადგენს პოლიტიკის უმთავრეს ნაწილს. (Fairclough, 1989: 23)

შიფრინი (2001) ნაშრომის „The Handbook of Discourse Analysis-ის“ შესავალში „დისკურსის ანალიზის“ განმარტებებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ დისკურსის მნიშვნელობათა დაყოფა შესაძლებელია სამ ზოგად კატეგორიად, ესენია: 1) ენის გამოყენების შესწავლა; the study of language use; 2) „წინადადების მიღმა“ არსებული ენობრივი სტრუქტურის შესწავლა; the study of linguistic structure ‘beyond the sentence’ და 3) სოციალური პრაქტიკისა და იდეოლოგიური ვარაუდების შესწავლა, რომლებიც დაკავშირებულია ენასთან და/ან კომუნიკაციასთან; the study of social practices and ideological assumptions that are associated with language and/or communication. (Schiffrin et al., 2001:1)

პირველი კატეგორიის მიხედვით, ენის გამოყენების პროცესის შესწავლა ორიენტირებულია ტრადიციულ ენობრივ კონსტრუქტებზე, როგორიცაა ფრაზები და სტრუქტურები (phrase and clause structures) და განიხილავს პრობლემას, რომელიც გულისხმობს ენებში სხვადასხვა სტრუქტურული, თუმცა თითქმის ეკვივალენტური მნიშვნელობის ვარიანტების არსებობას (მაგ. ნაწილაკების მოძრაობა, როგორც ‘pick up the book’ და ‘pick the book up’). მეორე კატეგორიას რაც შეეხება, წინადადების მიღმა ენობრივი სტრუქტურის შესწავლა ორიენტირებულია კვლევის უფრო დიდ ობიექტზე: გამონათქვამების ან წინადადებების თანმიმდევრობებზე და, თუ რა სისტემური კანონზომიერებით არის „ტექსტი“ აგებული და ორგანიზებული. ორივე

კატეგორია ყურადღებას ამახვილებს ენობრივ ფორმაზე და იმაზე, თუ როგორ გამოიყენება ენის სტრუქტურები წარმატებული საკომუნიკაციო აქტის შესასრულებლად. რაც შეეხება დისკურსის კვლევას სოციო-კულტურული მიდგომების გამოყენებით, ის ითვალისწინებს კონკრეტულ საკომუნიკაციო აქტებში მონაწილეთა ქმედებებს, ან დისკურსის თემების ზოგად მახასიათებლებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა ძალაუფლება და სქესი. (Upton, Cohen, 2009)

ზემოთ აღწერილი დისკურსის ანალიზის სამი ზოგადი მიდგომიდან მხოლოდ პირველი ორი არის ტექსტებისა და დისკურსის ენობრივ მახასიათებლებზე ორიენტირებული. პირველი 1) ენის გამოყენების შესწავლა; ფოკუსირებულია ზედაპირული ენობრივი მახასიათებლების განაწილებასა და ფუნქციებზე; როგორც წესი, ეს გულისხმობს დისკურსში ენის გამოყენების შესწავლას. მეორე მიდგომა 2) „წინადადების მიღმა“ არსებული ენობრივი სტრუქტურის შესწავლა; ორიენტირებულია ტექსტების შიდა ორგანიზებაზე ანუ წინადადების მიღმა ენობრივი სტრუქტურის დისკურსული კვლევები კონკრეტულ ტექსტებში. კვლევები ამ პერსპექტივიდან, როგორც წესი, იყო თვისობრივი (qualitative) და ეფუძნებოდა მცირე რაოდენობის (ხშირად ხუთზე ნაკლები) ტექსტების დეტალურ ანალიზს; ეს კვლევები, როგორც წესი, ორიენტირებულია ერთი ჟანრის რამდენიმე ტექსტის შიდა სტრუქტურაზე.

პოლიტიკა შეიძლება განვმარტოთ, როგორც ძალაუფლების ინსტიტუტების ქმედებათა ერთობლიობა, ან უფრო ფართო მნიშვნელობით, როგორც ჯგუფების (მათ შორის ამ ინსტიტუტების) ურთიერთდამოკიდებულება მოცემულ საზოგადოებაში. ანალოგიურად შესაძლებელია განისაზღვროს პოლიტიკის ენა ვიწრო მნიშვნელობით, როგორც ენა, რომელსაც იყენებს ინსტიტუტი თავისი ბიზნესის წარმართვისათვის, სხვა ინსტიტუტებთან და დანარჩენ საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის, ან უფრო ფართოდ, როგორც საზოგადოებაში შემავალი ჯგუფების მიერ წარმოებული დისკურსი, რომელიც ეხება ძალაუფლების მართვის საკითხებსა და სოციალურ მმართველობას. ორივე განმარტება შეესაბამება პოლიტიკური ენის ისეთ შესწავლას, რომელიც კორპუსების დახმარებით ხორციელდება. (Partington, 2012)

კორპუსლინგვისტიკის განვითარება სამეცნიერო ლიტერატურაში 1960-70 -იან წლებში ზეპირი დისკურსის (ზეპირი კომუნიკაციის) პრაგმატული ფუნქციების აღწერისა და შესწავლის მზარდმა ინტერესმა გამოიწვია. (Kennedy, 1998:174). 1975 წელს სინკლერმა (Sinclair) და კულთჰარდმა (Coulthard) შეიმუშავეს დისკურსის შესწავლის სტრუქტურა (Framework), რომელიც ითვალისწინებდა რეალური მონაცემების გამოყენებას თავდაპირველად საკლასო გარემოში. მას შემდეგ კორპუსლინგვისტური მიდგომები და დისკურსის ანალიზი ხშირად გამოიყენება როგორც ზეპირი ენის შესასწავლად არსებული შემავსებელი კვლევის მეთოდები (complementary frameworks). (Leech, 2000)

პოლიტიკური ენის კორპუსლინგვისტური კვლევა გულისხმობს კონკრეტული პოლიტიკური ჯგუფისათვის დამახასიათებელი ენობრივი ერთეულების კვლევას კორპუსის დახმარებით, რათა გამოიკვლიოს ენობრივი სტრუქტურები, რომლებსაც პოლიტიკოსები იყენებენ პოლიტიკურად რელევანტური აზრების საკომუნიკაციოდ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სპეციფიკური ფუნქციებისა და კონკრეტული მიზნების შესასრულებლად. (Partington, 2012)

პოლიტიკური დისკურსი სხვადასხვა მედიის საშუალებით გავრცელებამ, როგორცაა ტელევიზია, რადიო, გაზეთი, ინტერნეტი, ელექტრონული ფოსტა და სხვ. გამოიწვია ახალი (ქვე)ჟანრების გაჩენა, როგორცაა პოლიტიკური ბლოგები, საინფორმაციო დაფები, შეტყობინებები, პოლიტიკოსთა რადიო ინტერვიუები და სხვ. ეგრეთ წოდებული „ახალი მედია“ სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ სამყაროში, შესაბამისად, გაიზარდა პოლიტიკური დისკურსის შესწავლისადმი ინტერესი და ენობრივი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვანი გახდა ენათმეცნიერთათვის. დისკურსის კვლევა კორპუსის ანალიზის გამოყენებით საინტერესოა იმდენად, რამდენადაც პოლიტიკური დისკურსის შესწავლა ინტერნეტში კორპუსის ინსტრუმენტების გამოყენებით იქნება შესაძლებელი, რადგან კორპუსული კვლევა მასალას ხელმისაწვდომს გახდის ელექტრონულ ფორმატში. (O’Keeffe, McCarthy, Adel, 2010:601)

უნდა აღინიშნოს, რომ კორპუსზე დაფუძნებული მიდგომები (CBA) ფართოდ გამოიყენება როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ტექსტების ანალიზისათვის

(Sinclair, 1997; McCarthy, 1998 და სხვ.) კორპუსული მიდგომა გამოირჩევა რიგი უპირატესობებით, მაგალითად, სიტყვის გამოყენების კვლევა, მისი გამოყენების სიხშირე, კოლოკაცია (collocation) და შესაბამისობა (McEnery and Wilson, 2001; Scott, 2001; O’Keeffe and Farr, 2003). კორპუსზე დაფუძნებული ანალიზი გამოირჩევა შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით: (Biber; 1998; Conrad, 1999)

- ის ემპირიულია, ანალიზებს ტექსტებში გამოყენებულ ენობრივ ერთეულებს.

კორპუსული მიდგომის ამ მახასიათებლის მთავარი ნიშანი ავთენტური ენაა. კორპუსები შედგება სახელმძღვანელოებისგან, მხატვრული ლიტერატურისგან, არამხატვრული ლიტერატურისგან, ჟურნალებისგან, აკადემიური ნაშრომებისგან, მსოფლიო ლიტერატურისგან, გაზეთებისგან, სატელეფონო საუბრებისგან სახლში ან სამსახურში, მობილურ ტელეფონზე, საქმიან შეხვედრებზე, ლექციებზე, რადიო გადაცემებსა და სატელევიზიო შოუში, სხვა საკომუნიკაციო აქტებთან ერთად. მოკლედ, ნებისმიერ რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციას, რომელშიც ხდება ენობრივი კომუნიკაცია, შეუძლია შექმნას კორპუსი. (Bennett, 2010:7-8)

- ის იყენებს რეალურ სიტუაციაში არსებული ტექსტების დიდ და პრინციპულ კოლექციას, როგორც ანალიზის ძირითად ემპირიულ მასალას.

კორპუსული მიდგომის ეს მახასიათებელი ეხება თავად კორპუსს. მეცნიერს შეუძლია იმუშაოს წერილობით კორპუსთან, სალაპარაკო კორპუსთან, აკადემიურ სამეტყველო კორპუსთან და ა.შ. (Bennett, 2010:7-8)

- ის ფართოდ იყენებს კომპიუტერს ანალიზისთვის, როგორც მის ავტომატურ, ასევე ინტერაქტიურ ტექნიკებს.

კომპიუტერი არა მხოლოდ ინახავს კორპუსებს, არამედ ის ხელს უწყობს კორპუსში ენის ანალიზს. კორპუსზე წვდომა და ანალიზი ხდება თანმიმდევრული პროგრამით. რაც გულისხმობს, რომ კომპიუტერის გარეშე მეცნიერს არ შეუძლია გამოიყენოს კორპუსი, ან კორპუსული მიდგომის გამოყენებით ჩაატაროს კვლევა. (Bennett, 2010:7-8)

- ის ეყრდნობა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისობრივ ანალიტიკურ ტექნიკას, განსაკუთრებით ენის გამოყენების ფუნქციურ ინტერპრეტაციებს. (Wang, 2005, UK)

კორპუსული მიდგომის ეს მახასიათებელი ხაზს უსვამს კვლევის პროცესს, კერძოდ მეცნიერი იღებს კორპუსიდან გამომუშავებულ რაოდენობრივ შედეგებს და შემდეგ აგრძელებს კვლევას თვისობრივი კვლევის მეთოდით, რათა მიიღოს კვლევის ზუსტი შედეგი. (Bennett, 2010:7-8)

შედარებითი კორპუსები მეცნიერს საშუალებას აძლევს კვლევა განახორციელოს როგორც ლინგვისტიკაში (შეპირისპირებითი კვლევა, ტექსტის ანალიზი), ასევე თარგმანის მიმართულებით, რათა შეისწავლოს როგორც მთარგმნელობითი პროცესი, ასევე ენის გამოყენება რეალურ სიტუაციებში (მანქანური თარგმანი, კომპიუტერული ლექსიკოგრაფია, ინფორმაციის მოპოვება). თუმცა, შედარებითი კორპუსი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ერთი ენის საკვლევად, ასევე სხვადასხვა ენების კორპუსების საკვლევად. თუმცა აღსანიშნავია, რომ კორპუსი უნდა აერთიანებდეს შესადარებლად ერთსა და იმავე ტექსტის ტიპ(ებ)სა და პროპორციულ რაოდენობას. (McEnery, 2003) (Lapshinova-Koltunski, 2013)

კორპუსლინგვისტური მიდგომა არსებითად (bottom-up and inductive) ინდუქციურობით ხასიათდება: მკვლევარი იწყებს ენობრივ ერთეულთა ძებნითა და მათი სიხშირის ამსახველი სიების შედგენით. მოცემულ პროცესში მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ენობრივ ერთეულთა ძირითად მახასიათებლებზე. აღწერის შედეგად მიღებული შედეგი, კონტექსტუალურ-კულტურული ფაქტორების გათვალისწინებით, მკვლევარს შეუძლია გამოიკვლიოს, თუ როგორ ასახავს ტექსტების ფორმალური მახასიათებლები მათ კომუნიკაციურ და სოციალურ ფუნქციებს. (O’Keeffe, McCarthy, 2010:276)

ცხრილი 1. დისკურს ანალიზის ინდუქციური კვლევა (bottom-up and inductive)
(Biber, Connor, Upton, 2007:10-14)

	ანალიზის ეტაპები	პრაქტიკული მახასიათებელი
1	სეგმენტაცია	ენობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით კორპუსში ტექსტის დისკურს ერთეულებად დაყოფა;
2	თითოეული ენობრივი ერთეულის ანალიზი	სრული ლექსიკური და გრამატიკული მახასიათებლების გამოყენებით თითოეული

		ტექსტის დისკურს ერთეულების გაანალიზება.
3	კლასიფიკაცია	დისკურსის ერთეულების კორპუსში ენობრივად განსაზღვრულ დისკურს კატეგორიებად დაჯგუფება;
4	დისკურსის კატეგორიების ენობრივი აღწერა	დისკურსის ერთეულთა ანალიზზე დაყრდნობით თითოეული დისკურს კატეგორიის ენობრივი მახასიათებლების აღწერა;
5	კომუნიკაციური/ ფუნქციური კატეგორიები	თითოეული დისკურს კატეგორიის ფუნქციური აღწერა
6	ტექსტის სტრუქტურა	სრული ტექსტის, როგორც სხვადასხვა ფუნქციური ტიპის დისკურს მარკერთა მონაცვლეობათა ერთობლიობის ანალიზი.
7	დისკურსის საორგანიზაციო მიდგომები	დისკურსის ორგანიზების ზოგადი ნიმუშების აღწერა, რომლებიც ვრცელდება ყველა ტექსტზე.

როგორც ცხრილიდან ირკვევა დისკურსის კვლევა ინდუქციური მიდგომის გამოყენებით მოიცავს შვიდ ეტაპს, თავდაპირველად კორპუსის ყველა ტექსტის სეგმენტირებას დისკურსულ ერთეულებად (ენობრივ მახასიათებლებზე დაყრდნობით). შემდეგ მოცემული დისკურსული ერთეულები გაანალიზებული და დაჯგუფებულია დისკურსული ერთეულების კლასტერებად, რომლებიც ენობრივად მსგავსი ნიშნებით ხასიათდებიან. დისკურსული ერთეულების დაჯგუფების შემდეგ ხდება ტექსტში მათი ინტერპრეტაცია და ფუნქციური განსაზღვრა;

ნაშრომში „Discourse on the Move: Using corpus analysis to describe discourse structure” დისკურსის კვლევის ინდუქციური მეთოდის გარდა ავტორი განიხილავს დედუქციურ მიდგომას, რომლის ეტაპებსა და მათთვის დამახასიათებელ პრაქტიკულ მახასიათებლებს ცხრილის სახით წარმოვადგენთ.

ცხრილი 2. დისკურს ანალიზის დედუქციური კვლევა (Biber, Connor, Upton, 2007:10-13)

	ანალიზის ეტაპები	პრაქტიკული მახასიათებელი
1	კომუნიკაციური/ ფუნქციური კატეგორიები	ანალიტიკური ჩარჩოს შემუშავება: განსაზღვროს დისკურსის ერთეულების ჯგუფები ფუნქციური ნიშან-თვისებების გამოყენებით, ანუ გამოყოს მათი ძირითადი საკომუნიკაციო ფუნქცია-დანიშნულებები, რომლებსაც დისკურსის ერთეულები ემსახურებიან კორპუსში.
2	სეგმენტაცია	თითოეული ტექსტის დისკურს ერთეულებად დაყოფა.
3	კლასიფიკაცია	თითოეული ტექსტის დისკურს ერთეულთა ფუნქციური ტიპის განსაზღვრა.
4	თითოეული ენობრივი ერთეულის ანალიზი	თითოეული ტექსტის დისკურს ერთეულების გაანალიზება სრული ლექსიკური და გრამატიკული მახასიათებლების გამოყენებით;
5	დისკურსის კატეგორიების ენობრივი აღწერა	თითოეული ფუნქციური კატეგორიისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნიშნების აღწერა, საერთო ფუნქცია-დანიშნულების მქონე დისკურს ერთეულთა ანალიზზე დაყრდნობით.
6	ტექსტის სტრუქტურა	სრული ტექსტის, როგორც სხვადასხვა ფუნქციური ტიპის დისკურს მარკერთა მონაცვლეობათა ერთობლიობის ანალიზი.
7	დისკურსის საორგანიზაციო მიდგომები	დისკურსის ორგანიზების ზოგადი ნიმუშების აღწერა, რომლებიც ვრცელდება ყველა ტექსტზე.

დისკურსის კვლევა დედუქციური მიდგომის გამოყენებით ინდუქციურის მსგავსად მოიცავს შვიდ ეტაპს, პირველი არის ანალიტიკური ჩარჩოს შემუშავება, დისკურსის შესაძლო ერთეულების ტიპების განსაზღვრა მათი ძირითადი საკომუნიკაციო ფუნქციების განსაზღვრის საფუძველზე, რომლებსაც ისინი

ასრულებენ მოცემულ ტექსტში. დედუქციური მიდგომა გამოიყენება კორპუსის ყველა ტექსტის ანალიზზე. ამრიგად, როდესაც ტექსტები დაყოფილია დისკურსულ ერთეულებად, რომელიმე მონაკვეთის ანალიზი ემსახურება დისკურს ერთეულთა კონკრეტული კომუნიკაციური ფუნქციის განსაზღვრას.

ზემოთ მოცემულ ცხრილებში (ცხრილი 1 და ცხრილი 2) მოცემულია, თუ როგორ შეიძლება დისკურსის სტრუქტურისა და ორგანიზების კვლევა კორპუსის ანალიზის გამოყენებით; მოცემულია სტრუქტურირებული, შვიდსაფეხურიანი კორპუსზე დაფუძნებული ორი მიდგომა, რომელიც სტრუქტურის კვლევის საშუალებას იძლევა. კონკრეტულად, რაც შეეხება დისკურსის კორპუსული ანალიზის ორი განსხვავებული მიდგომის ეტაპებს თუ განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ანალიზის ეტაპები ერთნაირია, (Segmentation/სეგმენტაცია; Linguistic analysis of each unit/თითოეული ენობრივი ერთეულის ანალიზი ; Classification / კლასიფიკაცია ; Linguistic description of discourse Categories / დისკურსის კატეგორიების ენობრივი აღწერა; Communicative/functional categories / კომუნიკაციური/ ფუნქციური კატეგორიები; Text structure / ტექსტის სტრუქტურა და Discourse organizational tendencies/დისკურსის საორგანიზაციო მიდგომები) თუმცა, განსხვავდება მათი თანმიმდევრობა მიდგომის მიხედვით, მაგ: დედუქციური მიდგომა იწყება კომუნიკაციურ-ფუნქციური კატეგორიზაციით, ხოლო ინდუქციური სეგმენტაციით, ტექსტის დისკურს ერთეულებად დაყოფით. აღსანიშნავია, რომ ორივე მიდგომის ბოლო ორი ეტაპი ემთხვევა, კერძოდ ეს არის ტექსტის სტრუქტურისა და დისკურსის ორგანიზების განსაზღვრა.

რას გულისხმობს ტექსტის კორპუსული კვლევა? ამ კითხვაზე პასუხს წიგნში „Corpus Linguistics and Statistics with R” ვკითხულობთ, კერძოდ, მეცნიერი თავდაპირველად ტექსტების შეგროვებით იწყებს კორპუსული კვლევის ჩატარებას, რომლის მიზანია ტექსტის ან ტექსტების ჯგუფის შესახებ გარკვეული ინფორმაციის ან ცოდნის მიღება (Jockers 2014), ხოლო კორპუს-ლინგვისტიკის მიზანია შეისწავლოს ის წესები, რომლებიც არეგულირებენ ენას მოცემულ ტექსტებში. ავტორი კორპუს-ლინგვისტიკას მეთოდოლოგიური თვალსაზრისით რაოდენობრივს უწოდებს, ხოლო კორპუსებზე დაფუძნებული ენობრივი ფენომენების შესწავლას სისტემატურსა და ამომწურავს. რაოდენობრივი კორპუს-ლინგვისტიკები კი, როგორც

წესი, ყურადღებას ამახვილებენ კორპუსში ენობრივ ერთეულთა სიხშირეზე. თუმცა, კორპუსული კვლევა მეცნიერს ეხმარება განახორციელოს როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი კვლევა. კორპუსის თვისობრივი ანალიზი გულისხმობს ჰიპოთეზის ფორმულირებასა და კორპუსში პოტენციური მაგალითების მოძიებას. (Desagulier, 2017:6-8)

კორპუს-ლინგვისტიკა უპირველეს ყოვლისა ენას შეისწავლის რეალური ენობრივი მონაცემების დიდი ელექტრონული კოლექციების საფუძველზე, რომლებიც ჩვეულებრივ ცნობილია როგორც კორპუსები. (McEnery and Hardie, 2012) კორპუსების მოძიება შეიძლება სწრაფად და საიმედოდ, კორპუს-ლინგვისტური პროგრამული უზრუნველყოფის სპეციალიზებული პროგრამების გამოყენებით. ზოგადად, კორპუსლინგვისტიკა დაინტერესებულია რაოდენობრივად და თვისობრივად შეისწავლოს ლექსიკური და გრამატიკული ნიმუშები. (Jaworska, S. 2016)

შიფრინი (1987) რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევებით დისკურს ანალიზის განხორციელებაზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „რაოდენობრივი ანალიზი... დამოკიდებულია თვისობრივ აღწერაზე, რომელიც ერთეულთა დათვლას ითვალისწინებს (ემპირიულად დასაბუთების მიზნით), ასევე დათვლის შემდეგ (სტატისტიკური ანალიზის შემდგომ) ის მოითხოვს ინტერპრეტაციას, თუ რა მიზეზ-შედეგობრივ ნიშნებს ავლენენ მოცემული ენობრივი ერთეულები. (1987: 66) მოცემული პროცესი, ენობრივ ერთეულთა რაოდენობის თვლა და ინტერპრეტაცია კარგად ახასიათებს კორპუს-ლინგვისტური ანალიზის გამოყენებას დისკურსის საკვლევად. (O’Keeffe, McCarthy, 2010:282)

კორპუს-ლინგვისტური მიდგომით დისკურსის კვლევისას რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენება კვლევის შედეგს უფრო სარწმუნოს ხდის. მკვლევრები ხშირად იწყებენ რაოდენობრივი ანალიზით (სიხშირის დადგენით), შემდეგ აგრძელებენ თვისობრივი კვლევის მეთოდით, ასევე სწავლობენ დისკურსის დონის ფენომენებს ან რიტორიკულ ფუნქციებს. (O’Keeffe, McCarthy, Adel, 2010:595)

კორპუსის რესურსების დისკურსის ანალიზთან ინტეგრირების ყველაზე დიდი უპირატესობა არის ის, რომ კორპუს ანალიზი გვთავაზობს ნებისმიერი კონკრეტული ტიპის დისკურსის დიდი რაოდენობის ტექსტების ანალიზის საშუალებას. მკვლევარს საშუალებას აძლევს შეისწავლოს ტიპური დისკურსის სტრუქტურები, მისი ორგანიზების ტიპური გზები და გზავნილები. გარდა ამისა, ის ხელს უწყობს დისკურსის სახეებს შორის არსებული განსხვავების ჩვენებას, მათ მიერ გამოვლენილი ენობრივი მახასიათებლების სიხშირეზე დაყრდნობით. (Biber, Reppen, 2015: 233)

თუმცა ადელი (Adel, 2010) კორპუს-სტილისტიკის გამოყენების უპირატესობებს არა ზოგადად დისკურსთან, არამედ კონკრეტულად პოლიტიკურ დისკურსთან ინტეგრირების დადებით მხარეს განიხილავს, კერძოდ, კორპუსზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენების ზოგადი უპირატესობები (ემპირიული საფუძველი და სისტემური და ნახევრად ავტომატური ანალიზის პოტენციალი) ეხება კონკრეტულად პოლიტიკური დისკურსის შესწავლას. კორპუსზე დაფუძნებული კვლევის ჩატარებით შეიძლება სხვადასხვა შედეგს იღებდეს მკვლევარი, როგორც „პოლიტიკური დისკურსის“ განსაზღვრის შემთხვევაში განვიხილავთ მის ფართო და ვიწრო მნიშვნელობას, იგივე შეიძლება კორპუს-ლინგვისტური კვლევის შემთხვევაში, კერძოდ მისი როგორც კვლევის ერთ-ერთი საშუალების ფართო და ვიწრო მნიშვნელობის გაგება. კორპუს-ლინგვისტური მიდგომა განსხვავდება ანალიზის შედეგით საკვლევ მონაცემთა საფუძველზე და ასევე, კორპუსზე მუშაობისას, ხშირ შემთხვევაში, მკვლევარს წინასწარ აქვს განსაზღვრული თუ რა უნდა იკვლიოს, თუმცა ალტერნატიული ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მკვლევარს შეუძლია კორპუსი მოარგოს კვლევისათვის საჭირო ნებისმიერ გადაწყვეტილებას, თუ რა ენობრივი ერთეულები იკვლიოს. (O’Keeffe, McCarthy, Adel, 2010:595)

ზემოთ განხილულ მოსაზრებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტურია კორპუსლინგვისტური მიდგომის გამოყენება დისკურსის, უშუალოდ კი პოლიტიკური დისკურსის ანალიზის განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა საშუალებას აძლევს მკვლევარს ნებისმიერი ტიპის დისკურსის დიდი რაოდენობის ტექსტები

განალიზოს, გარდა ამისა შეისწავლოს ტიპური დისკურსის სტრუქტურები, მისი ორგანიზების ტიპური გზები და გზავნილები. განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კორპუსზე დაფუძნებული მიდგომა მოიცავს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ ანალიზს, რაც მკვლევარს სარწმუნო შედეგის მიღების გარანტს აძლევს.

3.2. ქართული და ამერიკული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

ემპირიული მასალის ანალიზისათვის მეორე თავში ილუსტრირებული ენობრივ ერთეულთა კლასიფიკაციათაგან შევარჩიეთ კენ ჰაილენდისა და პოლი ცის (2004:156-177) მიერ შემოთავაზებული დისკურს მარკერთა ტექსტუალური და ინტერპერსონალური ჯგუფები.

ტექსტუალური დისკურს მარკერები:

1. ლოგიკური მარკერები

1.1. დამატებითი მარკერები- AdM

1.2. მაპირისპირებელი მარკერები -AdvstM

1.3. დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები - CnclM

1.4. მიზეზ-შედეგობრივი - CstM

2. თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები - SeqM

3. უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები - RemM

4. აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები - TpcM

5. დაშიფრულის განმარტება- CgM

6. ილოკუციური მარკერები- illoc.m

ინტერპერსონალური დისკურს მარკერები:

1. შემზღუდველენი- ეპისტემიკური ზმნებით გამოხატული - hdg.m

2. დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები- crtn.m

3. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები

3.1. მოდალური ზმნებით გამოხატული - atd.m.deontv

3.2. ზმნიზედებით გამოხატული- atd.madv

3.3. ზედსართავებით გამოხატული- atd.madj

3.4. კოგნიტური ზმნებით გამოხატული - CgnvM

4. კომენტარები

4.1. რიტორიკული შეკითხვები- RhqM

4.2. პირდაპირი მიმართვები- DrM

4.3. პერსონიფიკაციები- PrslM

3.2.1. ქართული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

1. ტექსტუალური დისკურს მარკერები:

1.1. ლოგიკური მარკერები - დამატებითი მარკერები

1. ირაკლი ღარიბაშვილი: „**მე მინდა ასევე დავამატო**, ვერცერთი ადამიანი კანონის აღსრულებას წინ ვერ აღუდგება, ვინც შეეწინააღმდეგება კანონის აღსრულებას , ყველა უკლებლივ ყველა, კანონის და სახელმწიფოს სახელით ვაცხადებ რომ შევა ციხეში და ძალიან დიდი ხნით. ეს არ იქნება და არ არის სახუმარო თემა.“³⁸

2. ირაკლი ღარიბაშვილი: „**ამას გარდა, მე შეგახსენებთ**, რომ ბიზნესმენებს როგორ ექცეოდა მაგალითად რომ ვთქვათ, ღამის ორ სამს საათზე, ჩვენ კარგად გვახსოვს, ეს ყველაფერი ვიცით ხომ, ეს ხომ ახალი არ არის, ღამის 2-3 საათზე მიჰყავდათ ნებისმიერი ბიზნესმენი ნოტარიუსის ოთახში და ხდებოდა მათი ბიზნესის გადაფორმება ჩუქება, თუ ამ ბიზნესმენს ფული არ ჰქონდა, მიჰყავდათ ხაზარადის ბანკში, იქვე იმავე წუთს უფორმებდნენ სესხს, და ამ სესხით ხდებოდა გადახდა მილიონების.“³⁹

მოცემულ მაგალითებში ირაკლი ღარიბაშვილი იყენებს შემდეგ ემოციურ მარკერებს, რომლებიც ლოგიკური დამატებითი მარკერებით არის წარმოდგენილი, ესენია: „**მე მინდა ასევე დავამატო**“ და „**ამას გარდა**“, რომლებიც მიმდინარე დისკურსში მსჯელობის ლოგიკურ გაგრძელებას ემსახურებიან, გარდა ლოგიკური დამატებითი

³⁸ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

³⁹ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

მარკერებისა, ვხვდებით შეხსენების აღმნიშვნელ მარკერებს „მე შეგახსენებთ“ და „ჩვენ კარგად გვახსოვს“, რომლებიც ემსახურებიან დისკურსში ინფორმაციის იმ ნაწილის წარდგენას, რომელიც მსმენელისთვის არაა უცხო და ამით გარკვეულ გავლენას ახდენენ მსმენელზე.

3. ირაკლი ღარიბაშვილი: „მინდა, კითხვის ავტორს და თქვენც, ყველას შეგახსენოთ, რომ შარშან, მაშინ, როდესაც ქვეყანა ელოდებოდა გადაწყვეტილებას, რადიკალური ძალების და მათი მხარდამჭერი ლობისტური ჯგუფების ჩართულობით, ევროპარლამენტში მიღებულ იქნა პირდაპირ ანტისტატუსის მოწოდების მქონე რეზოლუცია, რომელიც ეწინააღმდეგება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესს და ჩვენს მიზანს, რომ ქვეყანას მიეღო კანდიდატის სტატუსი. აქვე, მინდა, განვმარტო, რომ ევროკომისია სხვა ინსტიტუციაა და ევროპარლამენტი – სხვა“. ⁴⁰

4. ირაკლი ღარიბაშვილი: „ ამის შემდგომ იყო „რუსულ კანონად“ წოდებული კანონპროექტი, ასევე მუდმივი თავდასხმა ჩვენს დასავლელ პარტნიორებზე, ომში ჩართვის მცდელობაში დადანაშაულება, აგრეთვე რუსეთთან პირდაპირი ფრენების გახსნა, სანქცირებული პირების საქართველოში შემოშვება და ბოლოს – პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი“. ⁴¹

5. ირაკლი ღარიბაშვილი: „ მე მინდა ასევე დავამატო, ვერცერთი ადამიანი კანონის აღსრულებას წინ ვერ აღუდგება, ვინც შეეწინააღმდეგება კანონის აღსრულებას , ყველა უკლებლივ ყველა, კანონის და სახელმწიფოს სახელით ვაცხადებ რომ შევა ციხეში და ძალიან დიდი ხნით. ეს არ იქნება და არ არის სახუმარო თემა“. ⁴²

მოცემულ მაგალითებში გვაქვს შემდეგი ლოგიკური დამატებითი მარკერები, ესენია, „აქვე“ „აგრეთვე“, „მე მინდა ასევე დავამატო“, რომელთა მიზანი მსჯელობის ლოგიკური გაგრძელება და მიმდინარე დისკურსში ინფორმაციის დამატებაა. გარდა ლოგიკური დამატებითი მარკერებისა, პირველ მაგალითში ვხვდებით შეხსენების აღმნიშვნელ მარკერს „მინდა, კითხვის ავტორს და თქვენც, ყველას შეგახსენოთ“, რომლის მიზანია მნიშვნელოვანი საკითხის შეხსენება და ხაზგასმა მსმენელისთვის.

⁴⁰ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-sharshan-roca-qveyana-elodeboda-gadawyvetilebas-radikaluri-dzalebis-mati-mkhardamcheri-lobisturi-jgufebis-chartulobit-evroparlamentshi-miighes-statusis-sawinaaghmdego-rezolu/>

⁴¹ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-sharshan-roca-qveyana-elodeboda-gadawyvetilebas-radikaluri-dzalebis-mati-mkhardamcheri-lobisturi-jgufebis-chartulobit-evroparlamentshi-miighes-statusis-sawinaaghmdego-rezolu/>

⁴² <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

1.2. ლოგიკური მარკერები - მაპირისპირებელი მარკერები

6. სალომე ზურაბიშვილი: „ამის მიუხედავად მე მაინც მექნება სამი ძირითადი შენიშვნა: ერთი ის, რომ სამწუხაროა, ეს საერთაშორისო დამკვირვებლებმაც აღნიშნეს - მთავარი თემა ამ ადგილობრივი არჩევნების არ ყოფილა ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები...“⁴³

7. კახა კალაძე: „ბუნებრივია, ჩვენ ვართ თვითკრიტიკულები, ვიღებთ პასუხისმგებლობას ყველა სუბიექტური ფაქტორის აღმოფხვრაზე, თუმცა პრობლემებს აქვს ობიექტური მიზეზებიც- მძიმე ეკონომიკური ვითარების ფონზე.“⁴⁴

8. ბიძინა ივანიშვილი: „ურთულესი გამოწვევებისა და უმძიმესი ზეწოლის მიუხედავად, გასული 4 წლის მანძილზე, ჩვენ ქვეყანას შევუნარჩუნეთ მშვიდობა, გავაორმაგეთ დოლარში ქვეყნის ნომინალური ეკონომიკა და მივიღეთ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.“⁴⁵

მოცემულ მაგალითებში ლოგიკური მაპირისპირებელი მარკერები წარმოდგენილ შემდეგ ემოციურ მარკერებს ვხვდებით, ესენია: „ამის მიუხედავად“, „მიუხედავად“ და „თუმცა“, რომლებიც ემსახურებიან დისკურსში უკვე გამოთქმული ან შემდეგ წინადადებაში დაფიქსირებული მოსაზრების საპირისპირო აზრის ან კონტრარგუმენტის შემოყვანას, გარდა მაპირისპირებელი მარკერებისა, ასევე, ვხვდებით დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარკერებს „ბუნებრივია“ და „სამწუხაროა“, რომლებიც ზედსართავი სახელებით არიან წარმოდგენილი, ემსახურებიან მოსაუბრის დამოკიდებულების ჩვენებას და ასევე თანმიმდევრობის აღმნიშვნელ მარკერს „ერთი“, რომელიც ემსახურება არგუმენტების ან ფაქტების გარკვეული კანონზომიერებით წარმოდგენას.

1.3. ლოგიკური მარკერები -დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები

9. სალომე ზურაბიშვილი- „ჩატარებული არჩევნები ხვალინდელი დღისთვის ბევრი რამის განმაპირობებელი და განმსაზღვრელია. ამიტომ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მსურს, ყველა მოქალაქეს ამისათვის მადლობა გადავუხადო.“⁴⁶

⁴³ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

⁴⁴ <https://news.ge/2018/10/29/zalauflebis-koncentraciam-seizleba-itqvas-gadawarbebuli-tvitdajerebuloba-segmata/>

⁴⁵ <https://civil.ge/ka/archives/616554>

⁴⁶ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

10. კახა კალაძე „ რაც შეეხება თავად ხარჯებს, ის იქნება დეკლარირებული და საზოგადოებისთვის ცნობილი, როგორც შემოსავლები, ასევე ხარჯები. აქედან გამომდინარე, ყველაფერი დღესავით ნათელია.“⁴⁷
11. ირაკლი ღარიბაშვილი- „ჩვენ, ისევე როგორც სხვა ერებმა, გამოვიარეთ თავისუფლებისათვის ბრძოლის, სამოქალაქო ომების, ოკუპაციის, ეკონომიკური კოლაფსის, ავტოკრატიული რეჟიმის რთული პერიოდები. ასე რომ, ჩვენთვის უცხო არ არის გამოწვევები.“⁴⁸
12. ბიძინა ივანიშვილი: „წინასწარ დაგეგმილი მცდელობის მიუხედავად, „ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მფარველებს, საბოლოოდ, სამივე შემთხვევაში არჩევნების შედეგების აღიარება მოუწიათ.“⁴⁹
13. ირაკლი კობახიძე : „ დისკუსია გაიმართა 20 ივნისის შემდეგ და საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილება იქნა მიღებული იმასთან დაკავშირებით, რომ გახარიას უნდა დაეტოვებინა საკუთარი თანამდებობა...“ (<https://civil.ge/ka/archives/676638>)

დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები წარმოადგენენ მსჯელობის ერთგვარ შეჯამებას, რაც ეხმარება მსმენელს გაიგოს მიმდინარე დისკურსის ძირითადი აზრი, მთავარი სათქმელი. მოცემულ მაგალითებში გვაქვს შემდეგი შეჯამების აღმნიშვნელი მარკერები, ესენია „ამიტომ“, რომელიც მსჯელობის შეჯამებას წარმოადგენს უკვე მაღლობის საჭიროების ახსნით, მეორე მაგალითს რაც შეეხება, იწყება თემის ცვლილების აღმნიშვნელი მარკერით „რაც შეეხება თავად ხარჯებს“ და შემდეგ აგრძელებს შეჯამების აღმნიშვნელი მარკერით, შემდეგ მაგალითში საუბარი რთულ ისტორიულ გზაზე, რომელიც ქვეყანამ და ხალხმა გაიარეს, შედეგად კი, გამოწვევა არ წარმოადგენს ქვეყნისთვის დაბრკოლებას, მოცემული შეჯამება წარმოდგენილია მარკერით „ასე რომ“. რაც შეეხება ბოლო მაგალითს ირაკლი კობახიძის გამოსვლიდან, ის საუბრობს გიორგი გახარიას თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, მარკერით „ საბოლოო ჯამში“ ის მოსაუბრეს აცნობებს არსებულ დისკუსიებზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

⁴⁷ <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-saparlamento-archevnebshi-qartuli-ocnebis-gamarjveba-mnishvnelovania-rata-aravis-mieces-shesadzlebloba-chveni-qveyana-skhvata-interesebistvis-iyos-gamoyenebuli/>

⁴⁸ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilis-sityvit-gamosvla-konservatiuli-politikuri-moqmedebis-yovelwliur-konferenciaze/>

⁴⁹ <https://civil.ge/ka/archives/616554>

1.4. ლოგიკური მარკერები - მიზეზ-შედეგობრივი

14.ირაკლი ღარიბაშვილი- “ჩემი გადასაწყვეტი არ არის, რომ ჩატარდეს არჩევნები. ჩვენ 2020 ოქტომბერში გვქონდა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები და ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ, მათ შორის, ODIHR-მა, საერთაშორისო დამკვირვებლებმა და ეუთომ ეს არჩევნები აღიარა როგორც კონკურენტუნარიანი, თავისუფალი და სამართლიანი. შესაბამისად, შემდგომი საპარლამენტო არჩევნები საქართველოში 2024 წელს ჩატარდება”.⁵⁰

15. ირაკლი ღარიბაშვილი- „ერთი რამ უნდა დავიმახსოვროთ, ყველამ კარგად გავიგოთ, რომ ამ ქვეყანაში კანონებს და კონსტიტუციას პატივი უნდა ვცეთ, და არჩევნებს პატივი უნდა ვცეთ, ჩვენ მილიონმა მოქალაქემ, ჩვენმა მხარდამჭერმა მოგვცა მანდატი და მხარი დაგვიჭირა, ეს მანდატი არის განსაზღვრული ოთხი წლით, ეს არის კონსტიტუციის შესაბამისად, აქედან გამომდინარე, აღარაფერი არ არსებობს სხვა, არანაირი დათქმა, პირობა აღარ არსებობს, არანაირი არჩევნები არ დაინიშნება ქვეყანაში. სამი წელი უნდა იყოს აღმშენებლობის, განვითარების წლები.“⁵¹

მოცემულ მაგალითებში ვხვდებით შემდეგ მიზეზ-შედეგობრივ მარკერებს „შესაბამისად“ და „აქედან გამომდინარე“, რომელთა მიზანია მიმდინარე დისკურსში მსჯელობის შემდეგ გარკვეული დასკვნის გაკეთება, გარდა მიზეზ-შედეგობრივი მარკერისა, მეორე მაგალითში ირაკლი ღარიბაშვილი იყენებს ფოკუსირების მარკერს „ერთი რამ უნდა დავიმახსოვროთ, ყველამ კარგად გავიგოთ“, რომელიც ემსახურება ემოციური გავლენის მოხდენას დისკურსში მნიშვნელოვანი ფაქტის შემოყვანით, რომ ამომრჩეველთა პატივისცემა მნიშვნელოვანია, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში აქვს კანონიერი ძალა, ამის შემდეგ კი ირაკლი ღარიბაშვილი აკეთებს დასკვნას მომდევნო არჩევნების თაობაზე, რომელიც გაიმართება 2024 წელს.

16. ირაკლი კობახიძე- „ვის უნდა წაართვას ლომჯარიამ ხმები, მაქსიმუმ ხაბეიშვილს წაართვას, ხომ. შესაბამისად, ისინი მუდმივად ცდებიან დაგეგმვაში. მერე ჩვენზე ბრაზდებიან, როდესაც დიდი უპირატესობით ვიგებთ არჩევნებს. რა თქმა უნდა, შემდეგ არჩევნებსაც დიდი უპირატესობით მოვიგებთ“. ⁵²

⁵⁰ <https://netgazeti.ge/news/527214/>

⁵¹ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁵² <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-vis-unda-wartvas-lomjariam-khmebi-magsimum-khabeishvils-mudmivad-cdebian-dagegmvasi-mere-chvenze-brazdebian-rodasac-didi-upiratesobit-vigebt-archevnebs-shemdeg-archevnebsac/>

17. **ირაკლი კობახიძე** - „ლომჯარია ბევრად უფრო სუსტი პროექტია, ვიდრე იყო თავის დროზე „ლელო“ და გახარია. **ლომჯარია რა არის?** არის ერთ-ერთი ყველაზე ურეიტინგო „ნაცი“ საქართველოში. **აქედან გამომდინარე**, როგორი პროექტებიც არ უნდა დააინცირონ, დღეს ლომჯარია იქნება, ხვალ შეიძლება, იყოს რომელიმე სხვა გვარი, **რა თქმა უნდა**, ეს ყველაფერი არის წარუმატებლობისთვის განწირული.⁵³

მოცემულ მაგალითებში, წინა ორი მაგალითის მსგავსად, ვხვდებით იგივე ლოგიკურ მიზეზ-შედეგობრივ მარკერს, ესენია „შესაბამისად“ და „აქედან გამომდინარე“, რომლებსაც იგივე კომუნიკაციური დატვირთვა აქვთ, კერძოდ მსჯელობის ლოგიკური დასრულება, თუმცა ზემოთ განხილული მაგალითებისგან განსხვავებით, აქ ვხვდებით სხვადასხვა ენობრივ ერთეულებსაც, რომლებიც გარკვეულ ემოციურ დატვირთვას ატარებენ, ესენია დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერი „**რა თქმა უნდა**“, ორჯერ არის გამოყენებული, ასევე ირაკლი კობახიძე მიმართავს რიტორიკულ შეკითხვასაც, რომელსაც პასუხს თავად სცემს. „**ლომჯარია რა არის? არის ერთ-ერთი ყველაზე ურეიტინგო „ნაცი“ საქართველოში.**“ მოცემული შეკითხვა საინტერესოა ემოციური დატვირთვით, რადგან ლომჯარიას დაესმის კითხვა „ვინ?“, ნაცვლად კი, ირაკლი კობახიძე რიტორიკულ შეკითხვაში იყენებს კითხვით სიტყვა „რა“-ს, ეს კი გარკვეულწილად ცხადყოფს მის უარყოფით დამოკიდებულებას ლომჯარიას, როგორც პოლიტიკოსის მიმართ, იმავეს მოწმობს პასუხიც „**ერთი ურეიტინგო „ნაცი“ საქართველოში.**“

18. **ირაკლი ღარიბაშვილი**; „**ამ ფონზე მიმაჩნია**, რომ ის საპატიო მისია, რომელიც მე თავის დროზე, პოლიტიკაში დაბრუნებისას ჯერ თავდაცვის მინისტრად და შემდეგ უკვე მეორედ პრემიერ-მინისტრად დანიშვნით **და ბოლოს** უკვე პარტიის თავმჯდომარედ არჩევით დამეკისრა ჩვენი პარტიის დამფუძნებლის და გუნდის მხრიდან, **შეიძლება ითქვას**, რომ უკვე შევასრულე. ახლა ველარ ვხედავ პარტიის თავმჯდომარედ და, ზოგადად, პოლიტიკაში დარჩენის საჭიროებას. **სწორედ ამიტომ**, მივიღე გადაწყვეტილება, დავტოვო „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პოსტი და პოლიტიკიდან გავიდე, საკუთარი ქვეყნის სამსახური კი სხვა

⁵³ <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-vis-unda-waartvas-lomjariam-khmebi-magsimum-khabeishvils-mudmivad-cdebian-dagegmvasi-mere-chvenze-brazdebian-rodesac-didi-upiratesobit-vigebt-archevnebs-shemdeg-archevnebsac/>

პოზიციიდან განვაგრძო“ (<https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilma-politikidan-wasvlis-shesakheb-ganackhada/>)

მოცემულ მაგალითში ირაკლი ღარიბაშვილი იყენებს მიზეზ-შედეგობრივ დისკურს მარკერს ორჯერ „ამ ფონზე“ და „ზუსტად ამიტომ“, ამათგან პირველი ემსახურება დისკურსში უკვე ნახსენები მოვლენების შეჯამებას, მოცემულ მარკერს ახლავს კოგნიტური მარკერი „მიმაჩნია“, რომელიც ხაზს უსვამს მოსაუბრის სუბიექტურ აზრს, რაც უფრო დამაჯერებელს ხდის მის გამოსვლას, ხოლო მეორე მაგალითი, „ზუსტად ამიტომ“ -ხაზს უსვამს პირდაპირ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს არსებულ მოსაზრებებს შორის და აგრძელებს იმის ახსნით, თუ რატომ მიიღო ავტორმა მოცემული გადაწყვეტილება.

2. თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები

19. **ირაკლი ღარიბაშვილი-** „რეალურად, ისინი ელოდებოდნენ ამ რაღაც ფაბრიკაციას და ამ ჩანაწერებს, რომელიც გამოყარეს, ეს ერთი და მეორე, სააკაშვილის განცხადებით ძალიან პრიმიტიული ამის ახსნა არის 2x2 არის 4. ხდება მათი ამომრჩევლის მობილიზება , რომ რაც შეიძლება მეტი ამომრჩეველი მივიდეს „უფულოდ“.⁵⁴

20. **კახა კალაძე-** „პირველ რიგში, მთელი ჩვენი პოლიტიკური გუნდის სახელით, მინდა მადლობა გადავუხადო ჩვენს მოქალაქეებს, ამომრჩეველს, ვინც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და მივიდა არჩევნებზე. ასევე, მადლობა დამკვირვებლებს, უცხოელ პარტნიორებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, სამართალდამცავებს, საარჩევნო ადმინისტრაციას და მედიას.“⁵⁵

21. **ირაკლი ღარიბაშვილი-** „ერთი, რომ ინფორმაცია რომც არ გქონდეს, ძალიან მარტივად იკითხება ამ პრიმიტიული ადამიანების ქმედებები, მათ ქმედებებს უნდა ვუყუროთ ჩვენ და ძალიან მარტივად ამოვიკითხავთ, და მეორე, დადასტურებული ინფორმაციები მაქვს, საკუთარი გუნდის წევრები თვითონ არიან წინააღმდეგები, მათ შორის მეღია არის წინააღმდეგი სააკაშვილის ამ პროვოკაციული ქმედების.“⁵⁶

⁵⁴ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁵⁵ <https://news.ge/2018/10/29/zalauflebis-koncentraciam-seizleba-itqvas-gadawarbebuli-tvitdajerebuloba-segmata/>

⁵⁶ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

მოცემულ მაგალითებში ვხვდებით თანმიმდევრობის აღმნიშვნელ მარკერებს „ეს ერთი და მეორე“ და „პირველ რიგში“, რომლებიც ეხმარება როგორც მოსაუბრეს, ასევე მსმენელს ფაქტებისა და არგუმენტების გარკვეული თანმიმდევრობით გადმოცემა-გაგებაში. გარდა თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერებისა, ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლაში ვხვდებით ემოციური დატვირთვის მქონე დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარკერს „რეალურად“, რომელიც ზმნიზედის საშუალებით არის წარმოდგენილი და ემსახურება, როგორც არსებული რეალობის შეფასებას, ასევე ხაზგასმას იმისა, რომ მოცემული შეხედულება ნამდვილად ჭეშმარიტებას წარმოადგენს და ეს მსმენელისათვის ცხადია.

3. უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები

22. კახა კალაძე- „კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენ გვაქვს აბსოლუტურად სხვა სტანდარტი. თავის დროზე, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ბიუჯეტს უყურებდნენ, როგორც საკუთარ სალაროს. დღეს საკუთარი, პირადი საჭიროებისთვის ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ დახარჯულა.“⁵⁷

23. ირაკლი ღარიბაშვილი - „თუმცა, მე ერთს, ძალიან კონკრეტულ ფაქტს შევახსენებ, მოსახლეობას ვეტყვი, იმიტომ რომ ეს ვიცი დარწმუნებით, როცა იგი ჩასვეს ციხეში უკრაინაში, შევახსენებთ, მაშინ სულ რაღაც 24 სთ ვერ გაძლო ციხის საკანში, მე მომიყვანე ჩემმა უკრაინელმა მეგობრებმა, მითხრეს კოლეგებმა, რომ ისიც კი შეეშინდათ რომ არ გაგიჟებულიყო, იმიტომ რომ 24 სთ ის განმავლობაში ვერ გაძლო მან ციხის საკანში ყოფნა.“⁵⁸

24. ირაკლი ღარიბაშვილი- „მე ერთხელ ვთქვი და მინდა გავიმეორე, მე ვფიქრობ , შეიძლება უკეთესი იყოს, ათჯერ უკეთესი რომ ერთხელ და სამუდამოდ დაისვენოს ჩვენმა ქვეყანამ და მანაც დაისვენოს ციხეში ჩასმით.“⁵⁹

25. ბიძინა ივანიშვილი: „ გავიხსენებ 2012 წელს, როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციიდან დაამარცხა „ნაციონალური მოძრაობა“ და ქვეყნის განვითარებაში პრინციპული გარდატეხა შეიტანა.“⁶⁰

⁵⁷ <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-saparlamento-archevnebshi-qartuli-ocnebis-gamarjveba-mnishvnelovania-rata-aravis-mieces-shesadzlebloba-chveni-qveyana-skhvata-interesebistvis-iyos-gamoyenebuli/>

⁵⁸ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁵⁹ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁶⁰ <https://civil.ge/ka/archives/616554>

მოცემულ მაგალითებში უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელ შემდეგ მარკერებს ვხვდებით: „კიდევ ერთხელ გავიმეორებ“, „შევახსენებ“ და „გავიხსენებ“. მოცემული მარკერები მოსაუბრეს ეხმარება მიმდინარე დისკურში შემოიყვანოს უკვე მომხდარი ფაქტი, ან უკვე გაჟღერებული აზრი გაიმეოროს. გარდა ამ მარკერებისა, მაგალითებში ასევე ვხვდებით ფოკუსირების აღმნიშვნელ მარკერს „**მე ერთს, ძალიან კონკრეტულ ფაქტს შევახსენებ**“ და ასევე, დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარკერს „**ეს ვიცი დარწმუნებით,**“ რომლებიც მიმდინარე დისკურს მსმენელისთვის უფრო დამაჯერებელს ხდის.

4. აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები

26. **კახა კალაძე**- „**რაც მთავარია**, ამ არჩევნებით ხალხმა გამოგვიგზავნა შეტყობინება, რისი შეგრძნება გარკვეულწილად ყველას გვქონდა, რომ ქვეყანაში ბევრი რამე შესაცვლელია, შესაცვლელია სწრაფად, ეფექტურად და თითოეული მოქალაქის ინტერესის გათვალისწინებით.“⁶¹

27. **სალომე ზურაბიშვილი**- „**თუ რამე ცვლილებებია საჭირო, სწორედ ამისთვის არსებობს ეს გზა** - არჩევნების გზა. ამომრჩეველმა ეს ყველას ნათლად დაანახა.“⁶²

28. **გიორგი ამილახვარი**-„**გიდასტურებთ**, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი ამ მგზავრობისთვის არ დახარჯულა. არცერთი თეთრი.“⁶³

29. **გიორგი ამილახვარი** - „**წელს განსაკუთრებით დამძიმებულები** ვხვდებით ამ მტკივნეულ თარიღს – შოვში მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც ჩვენი თანამოქალაქეების, ახალგაზრდებისა და ბავშვების სიცოცხლე შეიწირა, თითოეული ჩვენგანი, მთელი საქართველო შეძრა.“⁶⁴

30. **ბიძინა ივანიშვილი** : „**სწორედ გლობალური ომის პარტიის მფარველობის** შედეგია, რომ ამ ბოროტებასთან დღემდე გვიწევს ბრძოლა.“⁶⁵ („ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმზე საუბრისას)

⁶¹ <https://news.ge/2018/10/29/zalauflebis-koncentraciam-seizleba-itqvas-gadawarbebuli-tvitdajerebuloba-segmata/>

⁶² https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

⁶³ <https://1tv.ge/news/giorgi-amilakhvari-chveni-qveynis-mtrebs-undat-irakli-gharibashvilis-daziane-ba-arcertit-tetri-sakhelmwifo-biujetidan-ashsh-shi-vizitistvis-premier-ministrs-ar-daukharjavs/>

⁶⁴ <https://1tv.ge/news/giorgi-amilakhvari-qartveli-jariskacebis-tavdadeba-patriotizmisa-da-tavisuflebitvis-brdzolis-sanimusho-magalitia-romelsac-arasdros-daviviwyebt/>

⁶⁵ <https://civil.ge/ka/archives/616554>

აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერების საშუალებით მოსაუბრე ხაზს უსვამს მიმდინარე დისკურსში არსებულ მნიშვნელოვან ფაქტებს, გამოყოფს მათ გარკვეული ნიშნით სხვა დანარჩენებისაგან. ზემოთ მოცემულ მაგალითებში გვაქვს შემდეგი მარკერები, ესენია: „**რაც მთავარია**“ და „**სწორედ**“, პირველი აღნიშნავს ხალხის მიერ მთავრობის მისამართით გაგზავნილ შეტყობინებას, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესაცვლელი, მეორე კი ცვლილებების საჭიროებაზე აკეთებს აქცენტს. რაც შეეხება, მაგალითს ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან, ის საუბრობს „**ნაციონალური მოძრაობის**“ რეჟიმზე და აღნიშნავს, რომ ამ სისხლიან პერიოდს დღემდე ებრძვის მმართველი მთავრობა.

გიორგი ამილახვრის გამოსვლებიდან აღებულ მაგალითებში კი გვხვდება სიტყვა „**გიდასტურებთ**“, რომელიც მოწმობს ,თუ რამდენად თავდაჯერებულია მოსაუბრე იმ აზრის ჭეშმარიტებაში, რაზეც არის საუბარი, ამას მოწმობს „**არცერთი თეთრი**“-ს ორჯერ გამეორება წინადადებაში. ხოლო, მეორე მაგალითში, იგივე ფუნქცია წარმოდგენილია „**წელს განსაკუთრებით დამძიმებულებით**“, რომელიც აქტუალობის აღნიშვნის პარალელურად, წარმოადგენს დამოკიდებულებისა და შეფასების აღმნიშვნელ მარკერს.

31. ირაკლი ღარიბაშვილი : „**დღეს** „ქართული ოცნება“ საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიან და ძლიერ პოლიტიკურ ძალად და, **ბუნებრივია**, ამაში განსაკუთრებული როლი აქვს ჩვენი პარტიის დამფუძნებელსა და საპატიო თავმჯდომარეს, ბიძინა ივანიშვილს, რომელიც არის ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის გარანტი. მან ყველაზე კრიტიკულ მომენტში შეძლო გუნდის კონსოლიდაცია, შეინარჩუნა ერთიანობა, მისი ლიდერობით კი „ქართულმა ოცნებამ“ ქვეყანასა და საზოგადოებას უდიდესი საფრთხეები ააცილა და, **ამავდროულად**, მოუტანა ხელშესახები პროგრესი და განვითარება ყველა სფეროში, ყველა მიმართულებით.“ⁱ

მოცემულ მაგალითში საუბარია კონკრეტული პოლიტიკური ფიგურის(ბიძინა ივანიშვილის) და მისი პარტიის,(ქართული ოცნების“) პოზიტიურ წარმოჩენას. თხრობა აგებულია მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ლოგიკურ ჯაჭვზე, სადაც თანმიმდევრულადაა გადმოცემული გუნდის ფორმირება, კრიტიკული სიტუაციების

მართვა და შედეგად მიღწეული პროგრესი. კერძოდ, ირაკლი ღარიბაშვილი იყნებეს აქტუალობის აღმნიშვნელ მარკერს „დღეს“ , რომელიც ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკური პარტიის მიერ ამ ეტაპზე მიღწეულ შედეგებზე, „და, ბუნებრივია“- გამოყენებულია დამატებისა და შეფასების აღმნიშვნელი მარკერები, მოცემული ზედსართავი სახელით ირაკლი ღარიბაშვილი გამოხატავს დადებით დამოკიდებულებას ზემოთ ჩამოთვლილი მიღწევების მიმართ. გარდა მოცემული მარკერებისა, ასევე ვხვდებით მარკერს „ამავდროულად“ , რომელიც გამოიყენება როგორც დამატებითი დისკურს მარკერი, მოცემული მარკერით მოსაუბრე ცდილობს როგორც ინფორმაციის დამატებას, ასევე პარალელურად მიმდინარე მოვლენებს გაუსვას ხაზი.

8. დაშიფრულის აღმნიშვნელი მარკერი

32. სალომე ზურაბიშვილი- „გუშინ მოვუსმინე ყველას და, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო იმ პარტიების პასუხისმგებლობით აღსავსე დამოკიდებულება, რომლებიც ამ შეთანხმების საფუძველზე შევიდნენ პარლამენტში, იმუშავეს და დღესაც მუშაობენ, ქმნიან მოდელს, თუ როგორი უნდა იყოს დეპოლარიზებული ქართული პოლიტიკური სპექტრი.“⁶⁶

33. გიორგი ამილახვარი- „ნათლად განიმარტა, რომ არცერთი თეთრი ირაკლი ღარიბაშვილს ბიუჯეტიდან არ გამოუყენებია მისი პირადი ვიზიტისთვის. ბუნებრივია, თავადაც დეკლარაციაში იხილავთ, როცა ამის დრო მოვა, თუ რა წყაროებით დაფინანსდა.“⁶⁷

34. გიორგი ამილახვარი- „მგონი, ნათლად ითქვა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობთ, რომ არცერთი თეთრი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ ვიზიტისთვის ირაკლი ღარიბაშვილს არ დაუხარჯავს. საზოგადოებას მინდა, შევახსენო თუ რა ხდებოდა წინა ხელისუფლების დროს, ალბათ, თქვენც კარგად გახსოვთ.“⁶⁸

35. ზიბინა ივანიშვილი: „ყველასათვის ცხადია, რომ ომში ჩართვის შემთხვევაში, საქართველო უკრაინაზე მძიმე შედეგსაც კი მიიღებს. ამ შედეგის თავიდან აცილება

⁶⁶ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

⁶⁷ <https://1tv.ge/news/giorgi-amilakhvari-chveni-qveynis-mtrebs-undat-irakli-gharibashvilis-daziane-ba-arcertit-tetri-sakhelmwifo-biujetidan-ashsh-shi-vizitistvis-premier-ministrs-ar-daukharjavs/>

⁶⁸ <https://1tv.ge/news/giorgi-amilakhvari-chveni-qveynis-mtrebs-undat-irakli-gharibashvilis-daziane-ba-arcertit-tetri-sakhelmwifo-biujetidan-ashsh-shi-vizitistvis-premier-ministrs-ar-daukharjavs/>

არის უპირველესი ამოცანა, რომელიც 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვებით საბოლოოდ გადაიჭრება.“⁶⁹

მოცემული მარკერები ხსნიან, აკონკრეტებენ ან მაგალითებით ამყარებენ მიმდინარე დისკურსს. შესაბამისად, მოცემულ მაგალითებში ვხვდებით მათ მიმდინარე დისკურსში გარკვეული მნიშვნელობით გამოყოფილი არგუმენტის ან ინფორმაციის გამოყოფის ფუნქციით, განხილულ მაგალითებში გამოყენებულია შემდეგი მარკერები: „**მინდა ხაზგასმით აღვნიშნო**“, „**ნათლად განიმარტა**“, „**ყველასთვის ცხადია**“, „**მგონი, ნათლად ითქვა და კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობთ**“. ჩამოთვლილთაგან უკანასკნელი, წარმოადგენს გამეორების აღმნიშვნელ მარკერსაც და ემსახურება აზრის ხელახლა დაფიქსირებას.

9. ილოკუციური მარკერი

36. ირაკლი ღარიბაშვილი- „**მე ვიტყოდი, პირდაპირ ასე უნდა ითქვას**, რომ, შეიძლება პოლიტიკოსი, მმართველი მოგწონდეს ან არ მოგწონდეს, მაგრამ როცა გაქვს მმართველის მიმართ , ასე ვთქვათ, ზიზღი და აგრესია, ეს რჩება სამუდამოდ.“⁷⁰

37. ირაკლი ღარიბაშვილი - „**მე მინდა გითხრათ, დაგარწმუნოთ, რომ, ჩვენი მოსახლეობა დავარწმუნო**, რომ აბსოლუტურად ყველა სცენარისთვის ვართ მზად, ნებისმიერი სცენარი, რაც მის თავს შეიძლება მოეხარშოს და მის გუნდში, კრიმინალური გუნდის თავში მოიხარშოს, ყველა სცენარისთვის სახელმწიფო არის მზად.“⁷¹

ილოკუციური მარკერები ცალსახად ასახელებენ ავტორის მიზანს მიმდინარე დისკურსში. მოცემულ მაგალითებში გვაქვს შემდეგი მარკერები, „**მე ვიტყოდი, პირდაპირ ასე უნდა ითქვას**“, „**მე მინდა გითხრათ, დაგარწმუნოთ, რომ, ჩვენი მოსახლეობა დავარწმუნო**“, რომელთა მიზანი არა მხოლოდ მოსაუბრის საკომუნიკაციო მიზნის გამოხატვაა, არამედ აღნიშნავს გამოთქმული აზრის დანიშნულებას, როგორიცაა მეორე მაგალითში ირაკლი ღარიბაშვილი ორჯერ იმეორებს სიტყვას „**დაგარწმუნოთ**“, რაც გვარწმუნებს რომ გამოთქმული აზრი ექვსგარეშე ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

⁶⁹ <https://civil.ge/ka/archives/616554>

⁷⁰ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁷¹ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

38. სალომე ზურაბიშვილი- „მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თავისი განვლილი გზით საქართველო ამას იმსახურებს, ჩვენ თავად უნდა ვცემდეთ ჩვენს თავს და ჩვენს სიტყვას პატივს.“⁷²

39. გიორგი ამილახვარი-„ჩვენ ვალდებული ვართ, გავუფრთხილდეთ ჩვენი გმირების მონაპოვარს, ჩვენი ქვეყნის თავისუფლებას, დავდგეთ ერთად და ღირსეული ნაბიჯები გადავდგათ ქვეყნის გამთლიანებისკენ.“⁷³

ემოციური მარკერები, „მე ღრმად ვარ დარწმუნებული“ და „ჩვენ ვალდებული ვართ“, ასახავენ მოსაუბრის მიზანს. ილოკუციური მარკერების მახასიათებელზე დაყრდნობით მოცემული მარკერები შეიძლება გავაერთიანოთ დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარკერთა ჯგუფში. მაგალითად, პირველ მაგალითში, შეგვიძლია ვისაუბროთ, რომ მოსაუბრე აპირებს იმ ჭეშმარიტების კომუნიკაციას, რომელსაც ის იზიარებს, ხოლო მეორე მაგალითში საუბარია ერთგვარ პასუხისმგებლობაზე, რომელიც აკისრია, როგორც პოლიტიკოსს, ასევე თითოეულ მოქალაქეს. ეს ყოველივე მიუთითებს მარკერების ემოციურ დატვირთვაზე, რაც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს გარკვეული ემოციური გავლენა მოახდინოს მსმენელზე.

ინტერპერსონალური დისკურს მარკერები:

10. შემზღუდველი სიტყვები

10.1. ზმნიზედებით გამოხატული

40. ირაკლი ღარიბაშვილი- „ევროპარლამენტში შედის 450 წევრი, უფრო სწორედ 700 მდე, ალბათ თუ არ ვცდები, მაგრამ ჩვენი მოსახლეობისთვის არ არის საინტერესო სააკაშვილი შეხვდა ორ ადამიანს თუ სამ ადამიანს.“⁷⁴

41. ირაკლი ღარიბაშვილი- „ამის შემდგომ უკვე, როდესაც საქართველო გამოეთიშა ასოცირებულ ტრიოს, უფრო სწორად, მივიღეთ უფრო ნაკლები, ვიდრე უკრაინამ და მოლდოვამ – ევროპული პერსპექტივა, იყო დასავლეთის მხარდამჭერი

⁷²https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidenti_am_kvekanashi_unda_chatardes_demokratiuli_da_samaryliani_archevnebi_da_veravin_unda_shedzlos_chveni_evropuli_gzisayvis_zianis_mikeneba_shi_gniy_an_garey

⁷³<https://1tv.ge/news/giorgi-amilakhvari-qartveli-jariskacebis-tavdadeba-patriotizmisa-da-tavisuflebstvis-brdzolis-sanimusho-magalitia-romelsac-arasdros-daviviwyebt/>

⁷⁴<https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

აქციები საქართველოში, ხელისუფლება მუდმივად ცდილობდა ამ აქციის მონაწილეთა დისკრედიტაციას.“⁷⁵

მოცემულ მაგალითებში ვხვდებით სათქმელის შერბილების შემდეგ მარკერებს „**უფრო სწორად**“, რომელიც ემსახურება უკვე გამოთქმული აზრის მარტივი სიტყვებით გადმოცემას, ან მის განმარტებას საზოგადოებისათვის, რათა გაამარტივოს მათი აღქმა. რაც შეეხება მეორე მაგალითს ვხვდებით „**ალბათ**“, რომელიც აღნიშნავს, რომ მოსაუბრე არაა დარწმუნებული და ცდილობს ამის მინიშნებას მოცემული მარკერით.

11. დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები

42. **ირაკლი ღარიბაშვილი**- „ჩვენ, რა თქმა უნდა, არც ერთ პროვოკატორს არ მივცემთ უფლებას, რომ არეულობა და შფოთვა, ქაოსი შეიტანონ, ყველას ადგილზე, მნიშვნელობა არ აქვს რომელი პარტიის წარმომადგენელი იქნება, კანონის შესაბამისად გაეცემა პასუხი.“⁷⁶

43. **ირაკლი კობახიძე**- „თანდათანობით აქეთკენ მიდის ეს პროცესები. მთლიანობაში კოლექტიური „ნაცმოძრაობის“ დაშლა არის დადებით პროცესი. **ბუნებრივია**, ეს ჩვენს დემოკრატიულ სისტემას გააძლიერებს“⁷⁷

მოცემულ მაგალითებში მოცემულია შემდეგი დამაჯერებლობის მარკერები, როგორიცაა „**რა თქმა უნდა**“ და „**ბუნებრივია**“, ორივე მიზნად ისახავს გადმოსცეს მოსაუბრის დადებითი დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ და ამის პარალელურად მიზანმიმართულია მსმენელის დარწმუნებისაკენ.

44. **ირაკლი ღარიბაშვილი**- „**უდავო ფაქტია**, რომ დღეს გლობალური წესრიგი იცვლება. მსოფლიო ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო. ამ რთული ვითარებიდან ვერავინ შეძლებს, მარტომ იპოვოს გამოსავალი. საჭიროა ერთიანობა,

⁷⁵ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-sharshan-roca-qveyana-elodeboda-gadawyvetilebas-radikaluri-dzalebis-mati-mkhardamcheri-lobisturi-jgufebis-chartulobit-evroparlamentshi-miighes-statusis-sawinaaghmdego-rezolu/>

⁷⁶ <https://1tv.ge/news/giorgi-amilakhvari-qartveli-jariskacebis-tavdadeba-patriotizmisa-da-tavisuflebitvis-brdzolis-sanimusho-magalitia-romelsac-arasdros-daviviwyebt/>

⁷⁷ <https://news.ge/2023/09/10/%e1%83%98%e1%83%a0%e1%83%90%e1%83%99%e1%83%9a%e1%83%98-%e1%83%99%e1%83%9d%e1%83%91%e1%83%90%e1%83%ae%e1%83%98%e1%83%ab%e1%83%94-%e1%83%98%e1%83%a1%e1%83%94-%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%9a%e1%83%94/>

გლობალური თანამშრომლობა ახალი, უფრო სამართლიანი წესრიგისათვის. მხოლოდ ერთად დგომით შევძლებთ ამ მიზნის მიღწევას.“⁷⁸

45. ირაკლი ღარიბაშვილი - „რეალობა აღმოჩნდა, როდესაც ამერიკის, თქვენი და დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები ჩამოვიდნენ საქართველოში. მათ ღიად და ხმამაღლა თქვეს, რომ საქართველო სრულად ასრულებს ვალდებულებებს და სანქციების დარღვევის არცერთი მაგალითი არ დაფიქსირებულა. სიცრუის მიზანია ქვეყნის დისკრედიტაცია, რომ ქვეყანამ არ მიიღოს კანდიდატის სტატუსი. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ქვეყანა დავაახლოოთ ევროკავშირს“⁷⁹

რაც შეეხება მოცემულ მაგალითებს, გამოყენებულია დამაჯერებლობის შედარებით ძლიერი მნიშვნელობის მატარებელი ენობრივი ერთეულები „**უდავო ფაქტია**“ და „**რეალობა აღმოჩნდა**“, რაც მდგომარეობს სიტყვათა ლექსიკურ მნიშვნელობებში, კერძოდ „**ფაქტი**„ და „**რეალობა**“ აღნიშნავენ ჭეშმარიტებაზე დაფუძნებულ ისეთ სიტუაციას ან გარემოებას, რომელსაც ყველა იზიარებს ან სასურველია იზიარებდეს.

12. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები

12.1. ზმნიშნებით გამოხატული

46. სალომე ზურაბიშვილი - ეს არჩევნები ასევე გამორჩეული იყო პატარა პარტიების მონაწილეობის სიმრავლით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარემოს მრავალფეროვნებისთვის. აღსანიშნავია უსაფრთხო საარჩევნო პროცესი. პანდემიის მიუხედავად უსაფრთხო არჩევნები ჩატარდა, საარჩევნო უბნებთან იყო მოქალაქეების მოწესრიგებული რიგები, კოვიდრეგულაციების დაცვა და სამოქალაქო მაღალი პასუხისმგებლობა. მე მინდა, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციას ამისთვის მადლობა მოვახსენო.“⁸⁰

47. ირაკლი ღარიბაშვილი - „რაც შეეხება მეორე კითხვას, თანმიმდევრობა რომელიც პატიმრების გათავისუფლებას უკავშირდება, პოლიტიკოსობა იმუნიტეტი არ

⁷⁸ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilis-sityvit-gamosvla-konservatiuli-politikuri-moqmedebis-yovelwliur-konferenciaze/>

⁷⁹ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-sharshan-roca-qveyana-elodeboda-gadawyvetilebas-radikaluri-dzalebis-mati-mkhardamcheri-lobisturi-jgufebis-chartulobit-evroparlamentshi-miighes-statusis-sawinaagmdego-rezolu/>

⁸⁰ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

გახლავთ და თუ პოლიტიკოსი რაღაც დანაშაულს ან უკანონობას სჩადის, **რასაკვირველია**, მან პასუხი უნდა აგოს საკუთარ საქციელზე.⁸¹“

ზემოთ მოცემულია ემოციური მარკერები ზმნიზედა ფრაზებით გამოხატული მოსაუბრის დამოკიდებულება მიმდინარე დისკურსის მიმართ, კერძოდ პირველ მაგალითში სალომე ზურაბიშვილი იყენებს სხვადასხვა ენობრივ საშუალებას მსმენელზე დადებითი ზემოქმედების მოსახდენად, აღსანიშნავია, „**ეს არჩევნები ასევე გამორჩეული იყო**“ და „**რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია**“, რომლებიც ზედსართავის გამოყენებით დამოკიდებულების გამოხატულების მაგალითებია, თუმცა მეორე მაგალითში („**რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია**,“) ვხვდებით ზმნიზედას, რაც აძლიერებს, როგორც ზედსართავი ფრაზის მნიშვნელობას, ასევე მსმენელისთვის ხაზგასმით აღნიშნავს პატარა პარტიების სიმრავლის მნიშვნელოვან როლს არჩევნებში პარტიების მრავალფერვნებისათვის. რაც შეეხება მესამე მაგალითს, ირაკლი ღარიბაშვილი იყენებს ფოკუსირების მარკერს („**რაც შეეხება**“), რითიც აგრძელებს საუბარს მეორე შეკითხვაზე პასუხით, გარდა ამისა ვხვდებით ზედსართავს „**რასაკვირველია**“, რომელიც ხაზს უსვამს გარდაუვალი, აუცილებელი ქმედების საჭიროებას, რაც ამ შემთხვევაში არის პოლიტიკოსის დასჯა გარკვეული უკანონობის შემთხვევაში.

48. ირაკლი კობახიძე – „ჩვენ გვაქვს **აბსოლუტურად** სხვა სტანდარტი. თავის დროზე, წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ბიუჯეტს უყურებდნენ, როგორც საკუთარ სალაროს. დღეს საკუთარი, პირადი საჭიროებისთვის ბიუჯეტიდან არცერთი თეთრი არ დახარჯულა. ეს იყო პრემიერის პირადი ხარჯი და ხარჯებთან დაკავშირებით ყველაფერი იქნება ასახული დეკლარაციაში“⁸²

49. ირაკლი კობახიძე – „თვითონ ლომჯარიას რომ წარმოაჩენ შუაშისტად, რასაც აკეთებს, აკეთებენ მათი პატრონები, ეს უკვე მიუთითებს იმაზე, რომ **აბსოლუტურად** უსუსურები არიან დაგეგმვაში. მერე ჩვენზე ბრაზდებიან, რატომ ვიგებთ არჩევნებს, რატომ აგებენ ყოველ ჯერზე „ნაცები“.“⁸³

⁸¹ <https://netgazeti.ge/news/527214/>

⁸² <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-tavis-droze-wina-khelisuflebis-warmomadgenlebi-biujets-uyurebdnen-rogorc-sakutar-salaros-dghes-piradi-sachiroebistvis-biujetidan-arcerti-tetri-ar-ikharjeba/>

⁸³ <https://1tv.ge/news/irakli-kobakhidze-tavis-droze-wina-khelisuflebis-warmomadgenlebi-biujets-uyurebdnen-rogorc-sakutar-salaros-dghes-piradi-sachiroebistvis-biujetidan-arcerti-tetri-ar-ikharjeba/>

ირაკლი კობახიძე ორივე მაგალითში იყენებს ზმნიზედას „აბსოლუტურად“, რაც მიზნად ისახავს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ წინა ხელისუფლებისა და ამჟამინდელი მთავრობის რადიკალურად განსხვავებული დამოკიდებულების ჩვენებას.

12.2. ზედსართავებით გამოხატული

სალომე ზურაბიშვილი თავის გამოსვლებში ხშირად აკეთებს აქცენტს მიმდინარე საკითხის მიმართ არსებული პოზიციის ხაზგასმით გადმოსაცემად, რისთვისაც ის ხშირად იყენებს დამოკიდებულებისა და შეფასების აღმნიშვნელ ემოციურ ენობრივ ერთეულებს.

50. სალომე ზურაბიშვილი - „მნიშვნელოვანი იყო ამომრჩეველთა აქტივობა.

საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია დღევანდელ დღეს და შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღევანდელი დღე დემოკრატიისა და სტაბილიზაციისკენ გადადგმული კიდეც ერთი ნაბიჯია. ბევრი ძალა ამას ებრძოდა, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით.“⁸⁴

51. სალომე ზურაბიშვილი- „ერთი ის, რომ სამწუხაროა, ეს საერთაშორისო დამკვირვებლებმაც აღნიშნეს - მთავარი თემა ამ ადგილობრივი არჩევნების არ ყოფილა ადგილობრივი თვითმმართველობის პრობლემები, მე ვიმედოვნებ, რომ მეორე ტურისთვის ეს საკითხი ბევრად უფრო წინ წამოწეული იქნება, რამეთუ ამომრჩეველები თავიანთ ადგილობრივ მომავალს წყვეტენ ამ კუთხით.“⁸⁵

მოცემულ მაგალითებში სალომე ზურაბიშვილი იყენებს ემოციურ მარკერებს კერძოდ, მოსაუბრის დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარკერებს, მოსაუბრის დამოკიდებულება აღნიშნული საკითხის მიმართ განისაზღვრება მოცემულ მარკერებში გამოყენებული ზედსართავი სახელების მნიშვნელობებით. მაგალითად, სალომე ზურაბიშვილი იყენებს ემოციურ მარკერს „მნიშვნელოვანია“-ს ორჯერ, რისი საშუალებითაც ის გამოხატავს თავის დამოკიდებულებას, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა შეიძინა როგორც ამომრჩეველთა აქტიურობამ, ასევე დემოკრატიისა და სტაბილიზაციისკენ გადადგმულმა კიდეც ერთმა ნაბიჯმა. აღსანიშნავია, ასევე

⁸⁴ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

⁸⁵ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

მარკერების „ასევე“ და „ძალიან“ გამოყენება, რომელებიც აძლიერებენ მის დამოკიდებულებას და ამით მიმდინარე დისკურსს უფრო დამაჯერებელს ხდიან მსმენელისათვის. რაც შეეხება ემოციურ მარკერს „სამწუხარო“, ის მიუთითებს პოლიტიკოსის დამოკიდებულებაზე, ის არ არის დადებითად განწყობილი და იმედოვნებს, რომ ეს საკითხი გამოსწორდება მეორე ტურში.

52. სალომე ზურაბიშვილი- „სამარცხვინოა, როცა შენივე მოქალაქეები აქტიურობენ იმისათვის, რომ ქვეყნის სახე შელახონ ან თუნდაც მოითხოვონ ქვეყნის სხვადასხვა ფორმით დასჯა.“⁸⁶

53. სალომე ზურაბიშვილი - „ეს არჩევნები ასევე გამორჩეული იყო პატარა პარტიების მონაწილეობის სიმრავლით, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარემოს მრავალფეროვნებისთვის. აღსანიშნავია უსაფრთხო საარჩევნო პროცესი.“⁸⁷

მოცემულ მაგალითებში სალომე ზურაბიშვილი არსებულ რეალობას აფასებს მოცემული ემოციური ენებორივი ერთეულებით, როგორიცაა „სამარცხვინო“ და „ძალიან მნიშვნელოვანია“. მოცემულ მარკერთა ლექსიკურ მნიშვნელობებზე დაყრდნობით მსმენელს ექმნება გარკვეული შეხედულება, რაც უყალიბებს მას დადებით ან უარყოფით დამოკიდებულებას როგორც მომხსენებელის, ამ შემთხვევაში სიტყვით გამომსვლელი პოლიტიკოსის, ასევე იმ პოლიტიკოსების მიმართ, რომლებიც ოპოზიციურ პარტიაში წევრიანდებიან.

54. კახა კალაძე - „დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხის მხარდამჭერით გამარჯვებას მივაღწევთ. ეს გამარჯვება სჭირდება ჩვენი ქვეყნის მომავალს, მშვიდობის შენარჩუნებასა და ეკონომიკურ განვითარებას, რათა არავის მიეცეს შესაძლებლობა, ჩვენი ქვეყანა გამოყენებული იყოს სხვა ქვეყნის ინტერესებისთვის, გაჩაღდეს მეორე ფრონტი, შეუერთდეს სანქციებს და ამით დაზარალდეს ეკონომიკა“⁸⁸

⁸⁶

https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidenti_am_kvekanashi_unda_chatardes_demokratiuli_da_samaryliani_archevnebi_da_veravin_unda_shedzlos_chveni_evropuli_gzisayvis_zianis_mikeneba_shigni_y_an_garey

⁸⁷ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

⁸⁸ <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-saparlamento-archevnebshi-qartuli-ocnebis-gamarjveba-mnishvnelovania-rata-aravis-mieces-shesadzlebloba-chveni-qveyana-skhvata-interesebistvis-iyos-gamoyenebuli/>

55. **ირაკლი კობახიძე**- „ვინმეს მართლაც რომ ეკადრა მოსამართლისთვის ვიზიტის გაუქმება, **დარწმუნებული ვარ**, ეს, პირიქით, უკუშედეგს გამოიღებდა და ვიზიტს სხვა მოსამართლეებიც გააუქმებდნენ. საქართველოში კარგად იციან ღირსებისა და კოლეგიალობის ფასი”.⁸⁹

56. **ირაკლი ღარიბაშვილი** - „ეს ფაქტი მახარებს, ვინაიდან ჩემს დროსაც მოხდა ეს და დაემთხვა ასე, **რა თქმა უნდა, ბედნიერი ვარ** რადგან უფრო მეტი სამუშაო ადგილები შეიქმნა, უფრო მეტი ზრდა იყო ეკონომიკის, 1 000 200 000 ით გავზარდეთ ბიუჯეტი სულ რაღაც 6 თვეში და, **რა თქმა უნდა**, ლარის კურსი დასტაბილურდა.”⁹⁰

57. **ბიძინა ივანიშვილი**- „ყველასათვის ცხადია, რომ ომში ჩართვის შემთხვევაში, საქართველო უკრაინაზე მძიმე შედეგსაც კი მიიღებს. ამ შედეგის თავიდან აცილება არის უპირველესი ამოცანა, რომელიც 26 ოქტომბერს „ქართული ოცნების“ მორიგი გამარჯვებით საბოლოოდ გადაიჭრება.”⁹¹

მოცემულ მაგალითებში ვხვდებით ზედსართავი სახელებით გამოხატულ მოსაუბრის დამოკიდებულებას, პირველ ორ მაგალითში წარმოდგენილია ერთი და იგივე ფრაზა, ეს არის „**დარწმუნებული ვარ**“ , რაც აღნიშნავს მოსაუბრის თავდაჯერებულობას გამოთქმული აზრის სისწორეში, ხოლო მესამე მაგალითში ვხვდებით ერთ დამოკიდებულების აღმნიშვნელ მარკერს „**ბედნიერი ვარ**“ და ორჯერ ვხვდებით სიცხადის აღმნიშვნელ მარკერს „**რა თქმა უნდა**“. რაც შეეხება მაგალითს ბიძინა ივანიშვილის გამოსვლიდან, ვხვდებით მარკერს „ყველასათვის ცხადია“, რომელიც ემოციურ ფონს ქმნის მსმენელში, თითქოს მიმდინარე დისკურსის ეს კონკრეტული მოსაზრება ჭეშმარიტებას წარმოადგენს. პირველ მაგალითში გამოყენებული მარკერი ემსახურება მოსაუბრის დადებითი დამოკიდებულების ჩვენებას, ხოლო მეორე ამყარებს აღნიშნულ პოზიციას და უფრო დამაჯერებელს ხდის მას, გარდა ამისა, მარკერი „**რა თქმა უნდა**“ დისკურსში უფრო კონკრეტული მაგალითების შემოყვანას ისახავს მიზნად, როგორცაა მაგალითად ლარის კურსის დასტაბილურება.

⁸⁹ <https://news.ge/2022/05/24/%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%AB%E1%83%94-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9B/>

⁹⁰ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁹¹ <https://civil.ge/ka/archives/616554>

12.3. კოგნიტური ზმნებით გამოხატული

58. სალომე ზურაბიშვილი- „მიმაჩნდა და მიმაჩნია, რომ ეს პროცესი, რომელიც დგას ამ დოკუმენტის უკან, მიზნები, რომლებსაც ეს დოკუმენტი ისახავს და პრინციპები, რომლებსაც ეს დოკუმენტი ეფუძნება, ამოწურული არაა და წარმოადგენს იმ გზას, რომელიც ამ ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაიაროს და რომელსაც ვუჭერ მხარს!“⁹²

59. სალომე ზურაბიშვილი- „მინდა, იმ ქალებს, რომლებმაც გარკვეული გამარჯვება თუ არა წარმატება მოიპოვეს, მათ ყველას მივულოცო და ვუსურვო, რომ გააგრძელონ ეს გზა.“⁹³

სალომე ზურაბიშვილი თავის დამოკიდებულებას არა მხოლოდ ზედსართავი სახელების ხშირი გამოყენებით, არამედ კოგნიტური ზმნების საშუალებითაც ხშირად ახერხებს, მაგალითად „მიმაჩნდა და მიმაჩნია“ მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკოსი იზიარებდა წარსულში და იზიარებს ახლაც მოცემულ პოზიციას, ეს კი თავისთავად უფრო დამაჯერებელს ხდის და არწმუნებს მსმენელს მიმდინარე დისკურსის ჭეშმარიტებაში.

60. ირაკლი ღარიბაშვილი -„მე მინდა გითხრათ, დაგარწმუნოთ, ჩვენი მოსახლეობა დაგარწმუნო, რომ აბსოლუტურად ყველა სცენარისთვის ვართ მზად, ნებისმიერი სცენარი, რაც მის თავს შეიძლება მოეხარშოს და მის გუნდში, კრიმინალური გუნდის თავში მოიხარშოს, ყველა სცენარისთვის სახელმწიფო არის მზად.“⁹⁴

61. ირაკლი ღარიბაშვილი- „ჩვენი ღრმა რწმენით ჩვენი ეკონომიკა წელს გაიზრდება დაახლოებით მინიმუმ, მე ვიტყვოდი, 10% -ით, წინასწარი შედეგები აგვისტოს თვეში 10 % იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს, უახლოეს დღეებში გამოვა ეს პროგნოზი.“⁹⁵

პირველ მაგალითში ირაკლი ღარიბაშვილი იყენებს ემოციურ მარკერს „დაგარწმუნოთ“ და იმეორებს მას ორჯერ, რაც აძლიერებს ზეგავლენის მოხდენას მსმენელზე, ის საუბრობს ყოფილ პრეზიდენტზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ის მმართველი მთავრობის სახელით სრულ მზაობას აცხადებს მოსალოდნელი

⁹² <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁹³ https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos_prezidentis_gantskhadeba_1633264372

⁹⁴ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁹⁵ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

ცვლილებების შემთხვევაში. რაც შეეხება მეორე მაგალითს, ვხვდებით შემდეგ მარკერს „ჩვენი ღრმა რწმენით“, რაც ინარჩუნებს მსმენელის დარწმუნებისა და მიმდინარე დისკურსის ჭეშმარიტებაზე ხაზგასმის ფუნქციას, ამასთან ერთად, მოცემულ მაგალითში ვხვდებით კიდევ ერთ მარკერს „მე ვიტყვდი“ (საუბრის მანერის აღმნიშვნელი), ეს კი მსმენელის ყურადღებას ამახვილებს კონკრეტულ მაგალითებზე.

13. კომენტარები

13.1. რიტორიკული შეკითხვები

62. ირაკლი ღარიბაშვილი- „როგორ ცდილობენ ძალები, რომლებიც თავისუფლებას, სიმართლეს უპირისპირდებიან, საკუთარ მიზნებს მიაღწიონ? სწორედ ტრადიციული, ოჯახური ფასეულობების ნგრევით და ყალბი თავისუფლების თავს მოხვევით – ლგბტ პროპაგანდით, არასრულწლოვანი ბავშვებისათვის მშობლების გვერდის ავლით სქესის შეცვლის დაკანონების მცდელობით, ასეთი ეგრეთწოდებული „სიახლეების“ იძულებით, ... „⁹⁶

63. ირაკლი ღარიბაშვილი - „ჩვენ ახლა ბოლო რვა წელია ვაშენებთ გზებს, ინფრასტრუქტურას, ხიდებს, წყალს, სოფლის გაზიფიცირებას, რაც მანამდე არ ყოფილა პრაქტიკულად, მაშინ კითხვა მაქვს, თუ ასეთი იდეალურად გამართული ქვეყანა ჩავიბარეთ რატომ ვაშენებთ ამდენ გზებს? რატომ დავაგეთ ამდენი გზები? გაზიფიცირება, სამუშაოები, სოფლის მეურნეობა, ასობით საწარმო დავაფინანსეთ.“⁹⁷

64. ირაკლი ღარიბაშვილი- „ ერთი ფაქტი, საფუძველი დამისახელეთ თქვენ ან ნებისმიერმა ჩვენ როდის, რა ნაწილში გადავუხვიეთ როგორც თქვენ ამბობთ საგარეო კურსს? , ეს ხომ აბსურდია, ეს ხომ არის ისეთივე ლეგენდა , მოგონილი, ცრუ ბრალდება, როგორიც ნებისმიერი სხვა. ნებისმიერი ,რომელიც ჩვენ გვესმის 24 სთ ის განმავლობაში ამ ცრუ ადამიანებისგან.“⁹⁸

მოცემულ მაგალითებში გამოყენებული რიტორიკული შეკითხვები ცალსახად ეხმარება მოსაუბრეს დისკურსში არსებული საკითხის კონკრეტიზაციაში, რათა

⁹⁶ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilis-sityvit-gamosvla-konservatiuli-politikuri-mogmedebis-yovelwliur-konferenciaze/>

⁹⁷ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

⁹⁸ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

მსჯელობა გააგრძელოს კონკრეტული მიმართულებით, მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები, არგუმენტები ან კონტრარგუმენტები. მაგალითად, მეორე მაგალითში ირაკლი ღარიბაშვილი ჟურნალისტს უსვამს შეკითხვას, იდეალურად გამართული ქვეყნის ჩაბარების შემთხვევაში ისევ რატომ საჭიროებს ქვეყანა ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, მოცემული რიტორიკული შეკითხვით ირაკლი ღარიბაშვილი საუბარს იმ კონკრეტული მაგალითებით აგრძელებს, რაც ხელისუფლებამ გააკეთა და ამით გარკვეულ ემოციურ გავლენას ახდენს მსმენელზე.

13.2. პირდაპირი მიმართვები

65. **ირაკლი ღარიბაშვილი-** „აი ჩვენ, ქ-ტ თეა, იმის მაგივრად რომ ვილაპარაკოთ კრიმინალებზე , უნდა ვილაპარაკოთ **რა თქმა უნდა** განვითარებაზე, ხედვაზე, მოსახლეობის მთავარ გამოწვევებზე. ქვეყანას, **საბოლოო ჯამში**, მე მინდა ვთქვა ერთი რამ, ხალხი ძალიან დაიღალა ამ უსაგნო , უსაფუძვლო პოლიტიკური დებატების მოსმენით, ხალხს ჭირდება მშვიდობა, სტაბილურობა და კეთილდღეობა.“⁹⁹
66. **ირაკლი ღარიბაშვილი-** „რამდენიმე მაგალითი იქნა მოყვანილი, რომელსაც მინდა, გამოვეხმაურო. **რა თქმა უნდა**, ცალკეულ კრიმინალურ ქეისზე არ გავაკეთებ განმარტებას. **მინდა, კითხვის ავტორს და თქვენც, ყველას შეგახსენოთ**, რომ შარშან, მაშინ, როდესაც ქვეყანა ელოდებოდა გადაწყვეტილებას, რადიკალური ძალების და მათი მხარდამჭერი ლობისტური ჯგუფების ჩართულობით.“¹⁰⁰
67. **ირაკლი ღარიბაშვილი-** „**და ამ დროს ჩვენდა სამარცხვინოდ**, მართლაც ტრაგედია და სირცხვილია ჩვენი ყველასი, იმავე დღეს, 11 აგვისტოს, 13 წლის წინ, იმდროინდელმა პრეზიდენტად წოდებულმა, ბრჭყალებში მთავარსარდალმა გვაჩვენა სიმხდალის არნახული მაგალითი, ბრძოლის ველიდან გაქცეული და მიწაზე გართხმული მთავარსარდალი. ეს არის ჩვენი ტრაგედია, ეს არის ჩვენი

⁹⁹ <https://www.youtube.com/watch?v=AF26GoC42x4>

¹⁰⁰ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvili-sharshan-roca-qveyana-elodeboda-gadawvyvetilebas-radikaluri-dzalebis-mati-mkhardamcheri-lobisturi-jgufebis-chartulobit-evroparlamentshi-miighes-statusis-sawinaaghmdego-rezolu/>

ეროვნული ტკივილი, მაგრამ ეს იყო რეალობა, ჩემო ძმებო და ჩემო დებო და ჩემო მეგობრებო.“¹⁰¹

მოცემულ მაგალითებში გამოყენებულია პირდაპირი მიმართვები, როცა მოსაუბრე პირდაპირ მიმართავს აუდიტორიას, რესპონდენტს ან პოლიტიკოსს ოპოზიციური პარტიიდან, მაგალითად, პირდაპირი მიმართვა შეიძლება გამოიხატებოდეს „ქალბატონო, ბატონო და სახელით“ ან შეიძლება პირდაპირ მიმართო აუდიტორიას შეკითხვით, ან შეახსენო რომელიმე ცნობილი ფაქტის შესახებ წარსულიდან, როგორც ირაკლი ღარიბაშვილის გამოსვლაშია : **ქ-ტ თეა, ჩემო ძმებო და ჩემო დებო და ჩემო მეგობრებო...** პირდაპირი მიმართვის უმთავრესი დანიშნულებაა გარკვეული ემოციური ფონის შექმნა ან/და შენარჩუნება.

13.3. პერსონიფიკაციები

68. სალომე ზურაბიშვილი- „ასეთ არჩევნებსა და ასეთ საარჩევნო გარემოს ელის ჩვენგან ჩვენი მოსახლეობა. მე, როგორც ამ ქვეყნის დემოკრატიულობის, სტაბილურობისა და ევროპულობის გარანტი, მოვუწოდებ მათ ჩართულობისა და აქტიურობისაკენ, ამას ელიან ჩვენი პარტნიორები და მათ ვთხოვთ მრავალრიცხოვანი სადამკვირვებლო მისიების დანიშვნას.“¹⁰²

69. ირაკლი ღარიბაშვილი- „ჩვენ პატივს ვცემთ ჩვენი თითოეული მოქალაქის უფლებებს და ამას საქმით ვამტკიცებთ.“¹⁰³

1. ირაკლი კობახიძე- „ ჩვენ არ გვჭირდება [ომით] ახალი გმირების გაჩენა. ჩვენ გვჭირდება გმირები, რომლებიც სამშობლოს ემსახურებიან არა საკუთარი თავის

¹⁰¹ <https://on.ge/story/87090-%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AA-%E1%83%99%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%90%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%A1-%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%A6%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1?fbclid=IwAR1Cs7VYiSkqrjmkYQVkcEojNWkURfRl2wzb-djHWkV6vLnq5KA1kG-1g>

¹⁰² <https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos prezidenti am kvekanashi unda chatardes demokratiuli da samaryliani archevnebi da veravin unda shedzlos chveni evropuli gziayvis zianis mikeneba shi gniy an garey>

¹⁰³ <https://1tv.ge/news/irakli-gharibashvilis-sityvit-gamosvla-konservatiuli-politikuri-moqmedebis-yovelwliur-konferenciaze/>

გაწირვით ომში, არამედ იმით, რომ ზრუნავენ ამ ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაზე“¹⁰⁴

2. **კახა კალაძე** - „დარწმუნებული ვარ, ჩვენი ხალხის მხარდამჭერით გამარჯვებას მივაღწევთ. ეს გამარჯვება სჭირდება ჩვენი ქვეყნის მომავალს, მშვიდობის შენარჩუნებასა და ეკონომიკურ განვითარებას, რათა არავის მიეცეს შესაძლებლობა, ჩვენი ქვეყანა გამოყენებული იყოს სხვა ქვეყნის ინტერესებისთვის, გაჩაღდეს მეორე ფრონტი, შეუერთდეს სანქციებს და ამით დაზარალებდეს ეკონომიკა“¹⁰⁵

3. **სალომე ზურაბიშვილი**- „მე, როგორც ამ ქვეყნის დემოკრატიულობის, სტაბილურობისა და ევროპულობის გარანტი, მოვუწოდებ მათ ჩართულობისა და აქტიურობისაკენ, ამას ელიან ჩვენი პარტნიორები და მათ ვთხოვთ მრავალრიცხოვანი სადამკვირვებლო მისიების დანიშვნას, ამ ქვეყანაში უნდა ჩატარდეს დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები“¹⁰⁶

მოცემულ მაგალითებში წარმოდგენილი პერსონიფიკაციების მაგალითებია: მე, ჩვენი ქვეყანა, ჩვენ ... , რომლებიც ხაზს უსვამენ პოლიტიკოსის დამოკიდებულებას საკუთარი ხალხის, როგორც ამომრჩევლების, ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის მნიშვნელობას, რაც მომავალი ამომრჩევლისათვის მნიშვნელოვანი მესიჯია. მეორდება შემდეგი ფრაზები : ჩვენი ამოცანა, ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ქვეყნის მომავალი, მშვიდობის შენარჩუნება და ეკონომიკური განვითარება... რაც პოლიტიკოსსა და მის მომავალ ამომრჩეველს ერთი მიზნის მისაღწევად ერთ გუნდად მოიაზრებს.

3.2.2. ამერიკული საარჩევნო პოლიტიკური დისკურსის ანალიზი

ტექსტუალური დისკურს მარკერები:

1. ლოგიკური მარკერები

1.1. დამატებითი მარკერები

¹⁰⁴ <https://civil.ge/ka/archives/676638>

¹⁰⁵ <https://1tv.ge/news/kakha-kaladze-saparlamento-archevnebshi-qartuli-ocnebis-gamarjveba-mnishvnelovania-rata-aravis-mieces-shesadzlebloba-chveni-qveyana-skhvata-interesebistvis-iyos-gamoyenebuli/>

¹⁰⁶ <https://www.president.gov.ge/ka/News/Article/sakaryvelos-prezidenti-am-kvekanashi-unda-chatardes-demokratiuli-da-samaryliani-archevnebi-da-veravin-unda-shedzlos-chveni-evropuli-gzisayvis-zianis-mikeneba-shi-gniy-an-garey>

4. **Joe Biden -**, **And by the way**, I'll protect Social Security and Medicare. Meanwhile, Donald Trump says if he's reelected, he's going to change how we fund it.” ¹⁰⁷(და სხვათა შორის, მე დავიცავ სოციალურ უსაფრთხოებასა და მედიცინას. ამ დროს, დონალდ ტრამპი ამბობს, რომ თუ ისევ აირჩევენ, ის შეცვლის მათ დაფინანსების წესს.)
5. **Donald Trump -** „, **In addition**, we obliterated 100 percent of the ISIS caliphate and killed its founder and leader Abu Bakr al-Baghdadi. ¹⁰⁸(გარდა ამისა, ჩვენ გავანადგურეთ ISIS-ის ხალიფატის 100 პროცენტი და მოვკალით მისი დამფუძნებელი და ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი.)
6. **Joe Biden -** „, Donald Trump fails to condemn white supremacy. He doesn't believe there's systemic racism as a problem. **And** he won't say Black Lives Matter because they do. We know they matter.” ¹⁰⁹ (დონალდ ტრამპი ვერ გმობს თეთრკანიანთა უზენაესობას. მას არ სჯერა, რომ სისტემური რასიზმი პრობლემას წარმოადგენს. და ის არ იტყვის, რომ შავკანიანთა სიცოცხლე მნიშვნელოვანია, რადგან ისინი ამას აკეთებენ. ჩვენ ვიცით, რომ მათი სიცოცხლე მნიშვნელოვანია.)

ლოგიკურ-დამატებითი მარკერებით გამოხატული ემოციური მარკერების საშუალებით მოსაუბრე ხაზს უსვამს მნიშვნელოვან პუნქტებს, აძლიერებს გზავნილს და მოუწოდებ მსმენელს ყურადღება მიაქციოს დამატებით ინფორმაციას. რაც ემსახურება მსჯელობის ხაზის შენარჩუნებასა და მსმენელისათვის მთავარი სათქმელის მიწოდებას ორგანიზებულად და მარტივად აღქმის მიზნით.

ემოციური დატვირთვა: დარწმუნება: როდესაც პოლიტიკოსი ამატებს ინფორმაციას, რომელიც ხაზს უსვამს მის, როგორც პოლიტიკოსის მოვალეობას (როგორც ბაიდენის შემთხვევაში ვხვდებით სოციალურ უსაფრთხოებაზე მსჯელობას), მოსაუბრე ახერხებს აუდიტორიისთვის გარკვეული კომფორტის შექმნას.

აქტუალობა და მნიშვნელობა: ტრამპის განცხადებაში დამატება ხაზს უსვამს მნიშვნელოვან სამხედრო წარმატებას, რომელიც მიზნად ისახავს სიამაყისა და კეთილგანწყობის გრძნობის აღძვრას.

¹⁰⁷ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹⁰⁸ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹⁰⁹ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

მოცემულ მაგალითებში ვხვდებით შემდეგ დამატებით მარკერებს, „and by the way”, „in addition” , „and”.

1.2. მაპირისპირებული მარკერები

7. **Donald Trump:** „ **But again,** they were wrong. Earlier this year, I signed the brand-new U.S.-Mexico-Canada Agreement into law. “ ¹¹⁰ (მაგრამ ისევ შეცდნენ. ამ წლის დასაწყისში, მე ხელი მოვაწერე აშშ-მექსიკა-კანადის ახალ შეთანხმებას კანონის სახით.)
8. **Donald Trump:** „ **We** are working closely with state and local officials in Texas, Louisiana, Arkansas, Mississippi, sparing no effort to save lives. **While** the hurricane was fierce, one of the strongest to make landfall in 150 years, the casualties and damage were far less than thought possible, only 24 hours ago.“ ¹¹¹(ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სახელმწიფო და ადგილობრივ ოფიციალურ პირებთან ტეხასის, ლუიზიანას, არკანზასში, მისისიპიში და არ ვზოგავთ ძალისხმევას სიცოცხლის გადასარჩენად. მიუხედავად იმისა, რომ ქარიშხალი დამანგრეველი იყო, ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, რომელიც ხმელეთს დაატყდა თავს ბოლო 150 წლის განმავლობაში, მსხვერპლი და ზარალი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო, მხოლოდ 24 საათის წინ.)
9. **Donald Trump:** „ In the Left’s backward view, they do not see America as the most free, just and exceptional nation on earth. **Instead,** they see a wicked nation that must be punished for its sins. “ ¹¹² (მემარცხენეების ჩამორჩენილი შეხედულებით, ისინი არ ხედავენ ამერიკას, როგორც ყველაზე თავისუფალ, სამართლიან და გამორჩეულ ერს დედამიწაზე. **სამაგიეროდ,** ისინი ხედავენ ბოროტ ერს, რომელიც უნდა დაისაჯოს თავისი ცოდვებისთვის.)
10. **Joe Biden:** „ Well, look, **the greatest economy in the world,** he’s the only one who thinks that, **I think. I don’t know** anybody else who thinks it was great – he had **the greatest**

¹¹⁰ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹¹¹ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹¹² <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

economy in the world.”¹¹³(აბა, შეხედე, მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკა. ვფიქრობ, ის ერთადერთია, ვინც ასე ფიქრობს. მე არ ვიცნობ სხვას, ვინც თვლის, რომ მას მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკა ჰქონდა.)

(პასუხობს დონალდ ტრამპის შემდეგ სიტყვას „ By the time we finished – so we did a great job. We got a lot of credit for the economy, a lot of credit for the military, and no wars and so many other things. Everything was rocking good.“

მაპირისპირებელი მარკერების გამოყენება მიმდინარე დისკურში საშუალებას აძლევს მოსაუბრეს განიხილოს, ორი ურთიერთგამომრიცხავი, ურთიერთიერთსაპირისპირო ფაქტი თუ მოვლენა, ეს კონკრეტული კი, მსმენელს წარმოუდგენს ამ ფაქტებს შორის არსებულ მნიშვნელოვან განსხვავებას და უბიძგებს მას შესაბამისი დასკვნა გამოიტანოს მიმდინარე მსჯელობიდან. მოცემულ მაგალითებში ვხვდებით შემდეგ მაპირისპირებელ მარკერებს: „**but, but again, while meanwhile instead**“, გარდა მაპირისპირებელი მარკერებისა, ვხვდებით ასევე თანმიმდევრობის აღმნიშვნელ მარკერებს „**First, second**“ და ასევე ლოგიკურ-დამატებით მარკერს „**and**“, რომლებიც მიმდინარე დისკურსში ფაქტებისა და არგუმენტების გარკვეული კანონზომიერებით წარმოდგენას ემსახურებიან.

საინტერესო ემოციური დატვირთვით გამოირჩევა ჯო ბაიდენის წინასაარჩევნო გამოსვლა, ის საუბრობს ქვეყნის დიდებულ ეკონომიკურ მდგომარეობაზე დონალდ ტრამპის მმართველობის, კერძოდ კი კოვიდ-19 პანდემიის პერიოდის დასრულების შემდეგ, თუმცა ქვეყნის შესანიშნავ ეკონომიკურ მდგომარეობას, ექვექვემ აყენებს შემდეგი სიტყვებით, რომ არ ეგულება ადამიანი ვინც თვლის რომ ქვეყანაში ნამდვილად კარგი ეკონომიკური მდგომარეობა იყო იმ პერიოდში.

ემოციური დატვირთვა: თავდაჯერებულობაზე ხაზგასმა: საპირისპირო მარკერების გამოყენება ხშირად მოსაუბრის თავდაჯერებულობას უსვამს ხაზს და, რაც მიუთითებს იმაზე, რომ მომხსენებელი მზად არის დაიცვას თავისი პოზიცია.

გამოწვევა და კრიტიკა: ისინი უზრუნველყოფენ კრიტიკას მიმდინარე დისკურსში, რაც საშუალებას აძლევს მომხსენებლებს დაუპირისპირდნენ საპირისპირო შეხედულებებს, რამაც შეიძლება შექმნას უფრო დინამიური დისკუსია.

¹¹³ <https://edition.cnn.com/2024/06/27/politics/read-biden-trump-debate-rush-transcript/index.html>

1.3. დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები

11. Donald Trump- „ *So we end them very quickly. We end them very quickly.* And now what we're doing is we're holding back funds for cities that don't know what they're doing, where they allow crime to run rampant.” ¹¹⁴(ასე რომ, ჩვენ მათ ძალიან სწრაფად ვასრულებთ. ჩვენ მათ ძალიან სწრაფად ვასრულებთ. ახლა კი რასაც ჩვენ ვაკეთებთ არის ის, რომ ვზოგავთ სახსრებს ქალაქებისთვის, რომლებმაც არ იციან რას აკეთებენ, სადაც დანაშაულის გავრცელებას უწყობენ ხელს.)
12. Robert F. Kennedy Jr.- „ Let's do a poor people's campaign like we did two years before or five years before with the civil rights campaign. Bring them all to Washington. **So** all of these men, thousands of men, were encamped on the mall and we drove up past them¹¹⁵.” (მოდიოთ შევექმნათ კამპანია ღარიბი ხალხისთვის, როგორც ეს გავაკეთეთ ორი ან ხუთი წლის წინ სამოქალაქო უფლებების კამპანიით. წაიყვანეთ ისინი ყველა ვაშინგტონში. ასე რომ, ყველა ეს კაცი, ათასობით კაცი, სავაჭრო ცენტრში იყო დაბანაკებული და ჩვენ მათ გვერდით გავიარეთ.)
13. Jeffrey Rosen - „**It means** it is a framework for us to come together or stand together to protect freedom and liberty. **As a result**, you do not think it is necessary to completely amend it or change it.”¹¹⁶ (ეს ნიშნავს, რომ ეს არის ჩარჩო, რომ გავერთიანდეთ ან ერთად დავდგეთ თავისუფლების დასაცავად. შედეგად, თქვენ არ ფიქრობთ, რომ აუცილებელია ამ ჩარჩოს შესწორება ან სრულად შეცვლა.)

დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები წარმოადგენენ მსჯელობიდან გამომდინარე წარმოდგენილ შეჯამება-დასკვნას, რომელიც ლოგიკურად გამომდინარეებს წინმსწრები წინადადებებიდან. მოცემულ მაგალითებში ვხვდებით დასკვნის აღმნიშვნელ შემდეგ მარკერებს, **as a result**, **so**. გარდა დასკვნის აღმნიშვნელი მარკერებისა, ერთ-ერთ მაგალითში გამოყენებულია აზრის გავრცობის მარკერი „**it means**”, რომელიც მიზნად ისახავს უკვე გამოთქმული მოსაზრების სხვა სიტყვებით გადმოცემას, რათა მსმენელმა მარტივად ან/და უფრო დამაჯერებელ არგუმენტად მიიღოს ის.

¹¹⁴ <https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-latrobe-pennsylvania-rally-speech-transcript-september-3>

¹¹⁵ <https://www.c-span.org/video/?527511-1/robert-kennedy-jr-announces-2024-presidential-campaign>

¹¹⁶ <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

ემოციური დატვირთვა: იდეების განმტკიცება: ისინი ხელს უწყობენ მომხსენებლის გზავნილის გამყარებას, რაც აუდიტორიისთვის ძირითადი საკითხის ხაზგასმას ემსახურება.

მოქმედებისკენ მოწოდება: დასკვნის აღმნიშვნელი მარკერები ხშირად მოუწოდებს მსმენელს მოქმედებისკენ, რაც აუდიტორიას აიძულებს გადადგას კონკრეტული ნაბიჯები დისკუსიის საფუძველზე.

1.4. მიზეზ-შედეგობრივი

14. **Joe Biden** - „That’s the job of a president. A duty to care for everyone. **So** in these final days, stay empowered, stay optimistic, stay united because you too have a sacred duty. The duty to vote.” ¹¹⁷ (ეს პრეზიდენტის საქმეა. ყველასთვის ზრუნვის მოვალეობა. ასე რომ, ამ ბოლო დღეებში, იყავით გაძლიერებული, დარჩით ოპტიმისტურად, იყავით ერთიანი, რადგან თქვენც გაქვთ წმინდა მოვალეობა. ხმის მიცემის მოვალეობა“.)

15. **Donald Trump**- „**So tonight** I say to all Americans, this is the most important election in the history of our country.” ¹¹⁸ (ასე რომ, ამაღამ ყველა ამერიკელს ვეუბნები, ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები ჩვენი ქვეყნის ისტორიაში.)

16. **Jeffrey Rosen**- „We are celebrating September 17 which was the day in 1787 when the convention held in independence hall in Philadelphia, propose the constitution to the U.S.. **that is why** it is a significant day.” ¹¹⁹ (ჩვენ აღვნიშნავთ 17 სექტემბერს, რომელიც იყო 1787 წელს, როდესაც ფილადელფიის დამოუკიდებლობის დარბაზში გამართულმა კონგრესმა შეერთებულ შტატებს კონსტიტუცია შესთავაზა, ამიტომ ეს მნიშვნელოვანი დღეა.)

17. **Vice President Kamala Harris**: „

მაგალითებში გამოყენებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის აღმნიშვნელი შემდეგი მარკერები, „**so, that’s why**”, რომლებიც მსჯელობის ერთგვარ შეჯამებას, შესაბამისი ლოგიკური დასკვნის სახით წარმოადგენს. შეჯამების აღმნიშვნელი მარკერები გარდა მსჯელობის შეჯამებისა, ხაზგასმით წარმოადგენენ მთავარ სათქმელს მიმდინარე

¹¹⁷ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹¹⁸ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹¹⁹ <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

დისკურში, მაგალითად დონალდ ტრამპის გამოსვლაში არჩევნები დიდი მნიშვნელობით გამოირჩევა, რასაც აძლიერებს შემდეგი ფრაზა „ **in the history of our country**“, კონკრეტული კი ხაზს უსვამს არჩევნების ისტორიულ მნიშვნელობასა და დატვირთვას. რაც შეეხება ჯო ბაიდენის გამოსვლას, შეჯამების აღმნიშვნელი მარკერი მიზნად ისახავს აჩვენოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნული მახასიათებლების არსებობა პრეზიდენტისთვის.

ემოციური დატვირთვა: მოტივაცია: მოსაუბრე მიზეზ-შედეგობრივი მარკერების საშუალებით ახერხებს დაარწმუნოს აუდიტორია მოქმედებისა ან ცვლილებების საჭიროებაში, რასაც ახერხებს კონკრეტული ქმედებებით მისაღები სასურველი შედეგების განხილვით.

2. თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები

18. **Joe Biden** - „**First of all**, two things you got to know about her when you meet her. **Number one**, understand she's smarter than you. That's the first thing I had to learn. **And the second thing** is she's got a backbone a ramrod, and she has a moral compass that's true North.” ¹²⁰ (უპირველეს ყოვლისა, ორი რამ , რასაც გაიგებთ, როდესაც შეხვდებით. **ნომერ პირველი**, გესმოდეთ, რომ ის თქვენზე ჭკვიანია. ეს არის პირველი, რაც უნდა მესწავლა. და **მეორე ის არის**, რომ მას აქვს ხერხემალი და მას აქვს მორალური კომპასი, რომელიც არის ნამდვილი ჩრდილოეთი.)
19. **Joe Biden** - „**First**, your loved one may have left this Earth, but they'll never leave your heart. They'll always be with you. You'll always hear them. **And second**, I found the best way through pain and loss and grief is to find purpose.” ¹²¹ (ჯერ ერთი, შეიძლება შენმა საყვარელმა ადამიანმა დატოვა ეს დედამიწა, მაგრამ ის არასოდეს დატოვებს შენს გულს. ისინი ყოველთვის შენთან იქნებიან. თქვენ ყოველთვის მოუსმენთ მათ. და **მეორე**, მე ტკივილის, დანაკარგისა და მწუხარების გადასაჭრელად საუკეთესო გზად მიზნის დასახვა ვარჩიე“.)
20. **Former President Donald Trump** : „ **First of all**, I have no sales tax. That's an incorrect statement. She knows that. We're doing tariffs on other countries. Other countries are going to finally, after 75 years, pay us back for all that we've done for the world.” (ჯერ

¹²⁰ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹²¹ <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

ერთი, გაყიდვების გადასახადი არ მაქვს. ეს არასწორი ინფორმაციაა. მან ეს იცის. ჩვენ ტარიფები სხვა ქვეყნებისთვის გვაქვს. სხვა ქვეყნები საბოლოოდ, 75 წლის შემდეგ, ანაზღაურებენ იმ ყველაფრისთვის, რაც ჩვენ გავაკეთეთ მსოფლიოსთვის“) (<https://abcnews.go.com/Politics/harris-trump-presidential-debate-transcript/story?id=113560542>)

თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები ემსახურებიან მიმდინარე დისკურსში არგუმენტებისა თუ მოვლენების ორგანიზებულად გადმოცემას, ხშირად ვხვდებით ისეთ მარკერებს, როგორცაა „**firstly, secondly, first second**“, მოცემულ მაგალითებში კი გვაქვს შემდეგი მარკერები, **First of all, And the second thing , Number one**; ხშირად არგუმენტთა თანმიმდევრობა ტექსტში მიზანმიმართულია გარკვეული ემოციური დატვირთვისაკენ და მსმენელზე ზეგავლენის მოხდენისაკენ.

ემოციური დატვირთვა: სიცხადე და ფოკუსირება: არგუმენტების ან მოვლენების მკაფიოდ ასახვით, თანმიმდევრობის აღმნიშვნელი მარკერები ხელს უწყობენ მსმენელის ყურადღება მიმართონ დისკურსში არსებულ ძირითადი ინფორმაციისაკენ.

3. უკვე ნათქვამის შეხსენების აღმნიშვნელი მარკერები

21. Joe Biden: „**As I said many times before**, I'm Jill's husband. I **would** not be here without the love and tireless support of Jill and my son Hunter and Ashley, my daughter, and all our grandchildren and their spouses and all our family¹²².“ (როგორც უკვე ბევრჯერ ვთქვი, მე ჯილის ქმარი ვარ. მე აქ არ ვიქნებოდი ჯილისა და ჩემი შვილის ჰანტერისა და ეშლის, ჩემი ქალიშვილის, ჩვენი შვილიშვილების, მათი მეუღლეების და მთელი ჩვენი ოჯახის სიყვარულისა და დაუღალავი მხარდაჭერის გარეშე.)
22. Donald Trump: „**The fact is I'm here-what's the name of that building? But I'll say it differently.** The fact is we're here and they're not.“¹²³ (ფაქტია, რომ აქ ვარ - რა ქვია ამ შენობას? მაგრამ მე სხვანაირად ვიტყვი. ფაქტია, რომ ჩვენ აქ ვართ და ისინი არა.)

¹²² <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

¹²³ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

23. Joe Biden: „ **And** this is the most important election in any of your lifetimes. It's a battle, **as I said** at the outset, for the soul of America.” ¹²⁴(და ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი არჩევნები თქვენს ცხოვრებაში. როგორც თავიდანვე ვთქვი, ეს არის ბრძოლა ამერიკის სულისთვის.)

24. Joe Biden: „ **As many have said**, America is at an inflection point, a time of real peril **but** also extraordinary possibilities. We can choose a path of becoming **angrier, less hopeful, more divided, a path of shadow and suspicion** or we can choose a different path, and together, take this chance to heal, to reform, to unite.”¹²⁵(როგორც ბევრმა თქვა, ამერიკა გადახრის წერტილშია, რეალური საფრთხის, და ასევე არაჩვეულებრივი შესაძლებლობების დროა. ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ უფრო გაბრაზებული, ნაკლებად იმედისმომცემი, უფრო გაყოფილი, ჩრდილისა და ეჭვის გზა, ან შეგვიძლია სხვა გზა ავირჩიოთ და ერთად გამოვიყენოთ ეს შანსი განკურნებისთვის, რეფორმებისთვის, გაერთიანებისთვის.)

25. Joe Biden: „ I'm not saying no terrorist ever got through. But the idea they're emptying their prisons, we're welcoming these people, that's simply not true. There's no data to support what he said. **Once again**, he's exaggerating. He's lying.”¹²⁶

26. Vice President Kamala Harris: „ **Well, as I said**, you're going to hear a bunch of lies. And that's not actually a surprising fact. Let's understand how we got here.“ (<https://abcnews.go.com/Politics/harris-trump-presidential-debate-transcript/story?id=113560542>)

მოცემული მარკერების საშუალებით მოსაუბრე უკვე ნათქვამ მოსაზრებას იმეორებს, ძირითად ეს ეხება დისკურსისათვის მნიშვნელოვან ფაქტს ან არგუმენტს საზოგადოების ან მოწინააღმდეგის დასარწმუნებლად. ზემოთ მოცემულ მაგალითებში ვხვდებით შემდეგ მარკერებს: „**As I said many times before, as I said**“, რაც შეეხება „**But I'll say it differently**“ საინტერესო თავისებურებით გამოირჩევა, კერძოდ გვაქვს მაპირისპირებელი მარკერი **but**, ამის შემდეგ

¹²⁴ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹²⁵ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹²⁶ <https://edition.cnn.com/2024/06/27/politics/read-biden-trump-debate-rush-transcript/index.html>

მოსაუბრე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აპირებს სხვა სიტყვებით გადმოსცეს ის რაც საზოგადოებისთვის უცხო არ არის.

ბოლო მაგალითში, ჯო ბაიდენი იყენებს გამეორების აღმნიშვნელ მარკერ „**once again**“, რომელსაც ემოციურ დატვირთვას აძლევს შემდეგი სიტყვები, „**he’s exaggerating. He’s lying**“. კონკრეტული ზმნები საზოგადოებას არამხოლოდ ატყობინებს, რომ დონალდ ტრამპის მიერ გაკეთებული განცხადება არ არის სიმართლე, არამედ ჯო ბაიდენი გამოხატავს თავის დამოკიდებულებას დონალდ ტრამპის მიმართ, მოცემული უარყოფითი მნიშვნელობის მქონე ზმნების გამოყენებით.

ემოციური დატვირთვა: ინფორმაციის მნიშვნელობის ხაზგასმა: უკვე ნათქვამის აღმნიშვნელი მარკერები გარკვეული შეტყობინებების მნიშვნელობა, რაც აუდიტორიას უფრო მეტად აქცევს მათ ინტერნაირებას და იმოქმედებს მათზე.

4. აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები

27. Joe Biden- „**But look**, it doesn’t take long for people to figure out when the game is up. ... **Well**, that’s what the Trump administration has.” ¹²⁷(**მაგრამ შეხედეთ**, ხალხს დიდი დრო არ სჭირდება იმის გასარკვევად, როდის დასრულდება თამაში. ... **აი**, ეს არის ის, რაც ტრამპის ადმინისტრაციას აქვს.)

28. Robert F. Kennedy Jr.: „**Right now** we are getting an arm's crowds in South Carolina and new Hampshire and other states.” ¹²⁸(**ახლა**, ჩვენ გვაქვს ხალხმრავლობის შემთხვევა სამხრეთ კაროლინას, ნიუ ჰემფშირსა და სხვა შტატებში.)

მოცემული მარკერები ხაზგასმით აღნიშნავს მიმდინარე დისკურში მსმენელისათვის მნიშვნელოვან ფაქტს და გამოყოფს მას სხვა დანარჩენი წინადადებებისაგან შესაბამისი ენობრივი ერთეულით, როგორიცაა, **right now, well, well that’s what, look**, აქტუალობის აღმნიშვნელი მარკერები ხშირ შემთხვევაში ემსახურებიან მნიშვნელოვანი ფაქტის ან მოსაზრების ფოკუსირებასაც. გარდა ამისა, მოყვანილ მაგალითებში ვხვდებით კოგნიტურ მარკერს **I think**, რაც მოსაუბრის სუბიექტური აზრის აღმნიშვნელია.

¹²⁷ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹²⁸ <https://www.c-span.org/video/?530348-5/robert-f-kennedy-jr-2024-presidential-bid>

5. დაშინების აღმნიშვნელი მარკერები

29. Joe Biden- „So look, look, I got a job to do. Everybody always asked about impeachment. I get up every day, not a joke, not focused on impeachment. **I’ve got** a job to do. **I’ve got** to deal with the issues that affect the American people every single solitary day.” ¹²⁹
(მაშ, ნახეთ, ნახეთ, საქმე მაქვს გასაკეთებელი. ყველა კითხულობდა იმპიჩმენტის შესახებ. ყოველდღე ვდგები, არა ხუმრობით, არამედ იმპიჩმენტზე ორიენტირებული. საქმე მაქვს გასაკეთებელი. მე უნდა გავუმკლავდე საკითხებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ამერიკელ ხალხზე ყოველ დღე.)
30. Donald Trump- „But the fact is, this is where they’re coming from. Like it or not. This is where they’re coming from.” ¹³⁰(მაგრამ ფაქტია, ეს არის ის საიდანაც ისინი მოდიან. მოგწონთ თუ არა. ეს არის ის საიდანაც ისინი მოდიან.)
31. Donald Trump- „The fact is I’m here what’s the name of that building? But I’ll say it differently. The fact is we’re here and they’re not.”¹³¹
(ფაქტია, რომ აქ ვარ, რა ჰქვია ამ შენობას? მაგრამ მე სხვანაირად ვიტყვი. ფაქტია, რომ ჩვენ აქ ვართ და ისინი არა.)
32. Donald Trump- „ Now, when we cut the taxes – as an example, the corporate tax was cut down to 21 percent from 39 percent, **plus beyond that** – we took in more revenue with much less tax and companies were bringing back trillions of dollars back into our country.” (ახლა, როდესაც ჩვენ შევამცირეთ გადასახადები - მაგალითად, კორპორატიული გადასახადი შემცირდა 39 პროცენტიდან 21 პროცენტამდე, გარდა ამისა, გაცილებით ნაკლები გადასახადით ჩვენ მივიღეთ მეტი შემოსავალი და კომპანიები ტრილიონობით დოლარს აბრუნებდნენ ქვეყანაში.)
33. Jeffrey Rosen- „What people know about - people have a sense of what the five freedoms of the first amendment are, but not everyone can name all of them, because there are five. “¹³²(რა იცის ხალხმა - ადამიანებს აქვთ თავისუფლების ხუთი შეგრძნება, მაგრამ ყველას არ შეუძლია დაასახელოს ხუთივე.)

¹²⁹ <https://edition.cnn.com/2023/09/14/politics/joe-biden-economic-speech/index.html>

¹³⁰ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹³¹ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹³² <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

აღნიშნული მარკერები ემსახურებიან მნიშვნელოვანი საკითხის ხაზგასმას, ხშირ შემთხვევაში მეორდება შემდეგი მარკერები „the fact is that” და „look”, გარდა ამისა, კონკრეტულ ფაქტსა თუ მოვლენაზე ფოკუსირების ფუნქციით შეიძლება გამოვიყენოთ ზმნიზედაც, როგორცაა „especially“, რომელიც ლექსიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე გულისხმობს დისკურსში მოცემული ინფორმაციის ფოკუსირებას. აღსანიშნავია, რომ ხშირად მოსაუბრე ფოკუსირების მარკერის გამეორებით ცდილობს ფოკუსირების გაძლიერების პარალელურად მსმენელზე ემოციური გავლენის მოხდენას. მოყვანილ მაგალითებში ვხვდებით the fact - მარკერის გამეორებას.

რაც შეეხება მაგალითებს დონალდ ტრამპის გამოსვლიდან, საინტერესო ნიშნით იკვეთება ორი სხვადასხვა ლექსიკური ერთეულით, თუმცა მსგავსი ფუნქციით წარმოდგენილი მარკერის გამოყენება, რომელიც მიზნად ისახავს მიმდინარე დისკურსში კონკრეტული მაგალითის შემოყვანას.

6. ილოკუციური მარკერები

34. Joe Biden: „Well, I tell you what, I don’t know quite why, but they just knew they wanted to impeach me.”¹³³ (აი გეუბნებით, ზუსტად არ ვიცი რატომ, მაგრამ მათ უბრალოდ იცოდნენ, რომ სურდათ ჩემი იმპიჩმენტი.)

35. Joe Biden: „I tell you what, I know that’s the real reason you came, the entertainment. I don’t blame you. But I tell you what, great to meet them both.”¹³⁴(გეუბნებით, ვიცი, რომ ეს არის თქვენი მოსვლის ნამდვილი მიზეზი, გართობა. მე არ გადანაშაულებთ. მაგრამ მე გეტყვით, რა კარგია, რომ შევხვდი ორივეს.)

36. Joe Biden - „Well, I tell you what, I don’t know quite why, but they just knew they wanted to impeach me. And now, the best I can tell, they want to impeach me because they want to shut down the government.”¹³⁵(კარგით, გეუბნებით, ზუსტად არ ვიცი რატომ, მაგრამ მათ უბრალოდ იცოდნენ, რომ სურდათ ჩემი იმპიჩმენტი. ახლა კი, რაც შემიძლია გითხრათ, ჩემი იმპიჩმენტი უნდათ, რადგან უნდათ მთავრობის შეცვლა.)

¹³³ <https://edition.cnn.com/2023/09/14/politics/joe-biden-economic-speech/index.html>

¹³⁴ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹³⁵ <https://edition.cnn.com/2023/09/14/politics/joe-biden-economic-speech/index.html>

37. **Nikki Haley** - „**I will be the first to say I don't agree with** the department of defense stance.”¹³⁶(**მე ვიქნები პირველი, ვინც ვიტყვი, რომ არ ვეთანხმები თავდაცვის დეპარტამენტს.**)

ილოკუციური მარკერები ასახავენ ავტორის მიზანს, თუ რა დატვირთვა აქვს მოცემულ წინადადებას მიმდინარე დისკურში, „**Well, I tell you what, I don't know**“-ავტორი კონკრეტულ ფაქტზე ფოკუსირებით გამოხატავს თავის მიზანს, გააცნოს მსმენელს თავისი პოზიცია, კერძოდ რომ მან არ იცის ზუსტად რატომ, მისთვის გაუგებარია მიზეზი, ხოლო მეორე მაგალითში „**I will be the first to say I don't agree with**“, კი აღნიშნავს, რომ მოსაუბრე არ იზიარებს და არ ემხრობა არსებულ რეალობას, ორივე მაგალითში მოსაუბრის მიზანია მსმენელისათვის თავისი პოზიციის ჩვენება.

ინტერპერსონალური დისკურს მარკერები:

7. შემზღუდველები

მოსაუბრე სათქმელის შერბილების მიზნით იყენებს სხვადასხვა ენობრივ საშუალებას, მათ შორის გამოიყოფა მოდალური ზმნების გამოყენებით, როგორიცაა (may, might, would), ზმნიზედებით, როგორიცაა (შეიძლება, შესაძლოა, probably, perhaps...) და ეპისტემიკური ფრაზებით (epistemic expressions), როგორიცაა (it is likely, it is probable). მოცემულ მაგალითებში ვხვდებით შემდეგ მარკერებს: **probably, It's like, would.**

ეპისტემიკური ზმნებით გამოხატული

38. **Jeffrey Rosen** - „Our rights are so capacious they come from god and nature, not government, **it would be impossible** to write them down in a single list.”¹³⁷ (ჩვენი უფლებები **იმდენად დიდია**, რომ ღმერთისა და ბუნებისგან მოდის და არა მთავრობისგან, შეუძლებელი **იქნებოდა** მათი ერთ სიაში ჩაწერა.)

39. **Jeffrey Rosen** : „Here are the amendments you adopt. medicine comes the relies a bill of rights would not be a barrier as he recalled, **It would be** politically necessary and useful.”

¹³⁸(აქ არის ცვლილებები, რომლებსაც თქვენ მიიღებთ. მედიცინის შემთხვევაში

¹³⁶ <https://www.c-span.org/video/?c5084401/nikki-haley-blocking-military-nominations>

¹³⁷ <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

¹³⁸ <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

უფლებათა კანონპროექტი არ იქნება ბარიერი, როგორც ახსენეს, ეს იქნება პოლიტიკურად აუცილებელი და სასარგებლო.)

40. **Robert F. Kennedy Jr.:** „Those are things we should be looking at. that's all I've said. I **think** that's common sense. I **don't think** you **would say** that's a conspiracy theory.”

¹³⁹(ეს არის ის, რასაც უნდა მივაქციოთ ყურადღება. ეს არის ყველაფერი, რაც მე ვთქვი. ვფიქრობ, ეს საღი აზრია. არა მგონია, თქვენ თქვათ რომ ეს შეთქმულების თეორიაა.)

41. **Jeffrey Rosen :** „But I want to wait for the facts, and I want to understand. What we endured during the four years of the trump-pence administration, I **don't want to** jump to conclusions about this, **but I must tell you**, where there's smoke, there's usually fire, in Washington, D.C., and the American people deserve the facts, and I'm going to be out there championing and defending ... ¹⁴⁰(მაგრამ მე მინდა დაველოდო ფაქტებს და მინდა გავიგო. რაც გადავიტანეთ ტრამპ-პენსის ადმინისტრაციის ოთხი წლის განმავლობაში,...არ მინდა ნაჩქარევი დასკვნების გამოტანა ამაზე, მაგრამ უნდა გითხრათ, სადაც კვამლია, იქ ჩვეულებრივ ხანძარია, ვაშინგტონელი და ამერიკელი ხალხი იმსახურებს ფაქტებს და მე ვაპირებ ბრძოლას....”)

42. **Donald Trump:** „And it's a shame the damage he's done to our country. And I'd love to **ask him, and will**, why he allowed millions of people to come in here from prisons, jails and mental institutions to come into our country and destroy our country.(და სირცხვილია ის ზიანი, რაც მან მიაყენა ჩვენს ქვეყანას. მე სიამოვნებით ვკითხავ მას, თუ რატომ მისცა უფლება მილიონობით ადამიანს, რომ ციხეებიდან, სატუსაღოებიდან და ფსიქიატრიული დაწესებულებებიდან შემოსულიყვნენ ჩვენს ქვეყანაში და გაენადგურებინათ ის.)

როგორც ზემოთ ვახსენეთ სათქმელის შერბილების მიზნით მოსაუბრე იყენებს რიგ ენობრივ საშუალებებს, რაც შეეხება ეპისტემიკურ ზმნებს, ძირითადად ვხვდებით მოდალურ ზმნებს, რომლებიც ემსახურებიან მიმდინარე დისკურში მსმენელისთვის გარკვეული მოსაზრების შერბილებული, მარტივი და გასაგები

¹³⁹ <https://www.c-span.org/video/?530348-5/robert-f-kennedy-jr-2024-presidential-bid>

¹⁴⁰ <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

ენობრივი საშუალებებით გადმოცემას. ზემოთ მოცემულ მაგალითებში ვხვდებით, შემდეგ ეპისტემიკურ ზმნებს, **would say, must tell, It would be.**

დონალდ ტრამპის მაგალითს რაც შეეხება, ვხვდებით ორ ეპისტემიკურ ზმნას ესენია: 'd (would) და will. მოცემულ მაგალითში, ემოციურ დატვირთვას ქმნის, ის საკითხი, რასაც განიხილავს ადრესანტი, კერძოდ, საუბარია ამჟამინდელი პრეზიდენტის მიერ გატარებულ ერთ-ერთ ღონისძიებაზე, რომელმაც ქვეყნისათვის საშიშ ხალხს ქვეყნის განადგურების საშუალება მისცა. ის თუ რამდენად დიდ საშიშროებას წარმოადგენს ეს ხალხი ქვეყნისათვის ამაზე მეტყველებს ის დაწესებულებები, რომელთა ჩამონათვალსაც დონალდ ტრამპი გვთავაზობს, ესენია: ციხე, სატუსაღო და ფსიქიატრიული დაწესებულება.

8. დამაჯერებლობის აღმნიშვნელი მარკერები

43. Joe Biden - „**And of course I know** you’ve had an incredible role model in Mayor Keisha Lance Bottoms. **I tell you what**, she is something else.”¹⁴¹(**და, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ** თქვენ გყავთ წარმოდგენილი მისაბადი მაგალითი მერი კეიშა ლენსი ბოტომსში. **გეუბნებით**, ის სულ სხვა რამეა.)
44. Jeffrey Rosen - „**Of course** the constitution is not perfect. the framers never thought it was.” ¹⁴²(**რა თქმა უნდა**, კონსტიტუცია არ არის სრულყოფილი. დამსაქმებლებს არასოდეს უფიქრიათ ამაზე.)
45. Robert F. Kennedy Jr. - „**And of course** the Americans responded by dressing like Indians and boarding the east British India company's ships and dumping the tea into the harbor and that's when the British sent that troop over here to quell the rebellion.” ¹⁴³ (**და, რა თქმა უნდა**, ამერიკელებმა უპასუხეს ინდიელების მსგავსად ჩაცმულობით და აღმოსავლეთ ბრიტანული ინდოეთის კომპანიის ხომალდებზე ასვლისა და ჩაის ნავსადგურში გადაყრით და სწორედ მაშინ, როცა ბრიტანელებმა აჯანყების ჩასახშობად ჯარი გაგზავნეს.)

მოცემულ მაგალითებში ვხვდებით დამაჯერებლობის აღმნიშვნელ შემდეგ მარკერებს, „**And of course**“ რომელიც მიზნად ისახავს მოსაუბრის

¹⁴¹ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹⁴² <https://www.c-span.org/video/?530352-3/jeffrey-rosen-constitution-day-2023>

¹⁴³ <https://www.c-span.org/video/?527511-1/robert-kennedy-jr-announces-2024-presidential-campaign>

დამოკიდებულების ჩვენებას, კერძოდ აღნიშნოს ის ფაქტი, რომ მოსაუბრე იზიარებს დისკურში დაფიქსირებულ მოსაზრებას კონკრეტული საკითხის მიმართ. მოცემული მარკერები მოსაუბრის დადებით დამოკიდებულებას გამოხატავენ, რაც მსმენელზე გარკვეული გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად.

9. დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერები

9.1. მოდალური ზმნებით გამოხატული

46. **Robert F. Kennedy Jr.** - „**I said we should** look at the chemical exposures and see what their impact is on public health and depression and endocrine disruptors in the alteration, **what are girls in this country demonstrably reaching puberty at a much younger age than they were a generation ago?**”¹⁴⁴ (მე ვთქვი, რომ ჩვენ უნდა ვნახოთ ქიმიური ზემოქმედება რა გავლენას ახდენს მათ საზოგადოებრივ ჯანმრთელობაზე და დეპრესიაზე და ენდოკრინულ ცვლილებებზე, რა მიზეზით აღწევნ სქესობრივ მომწიფებას ბევრად უფრო ახალგაზრდა ასაკში ამ ქვეყნის გოგონები, ვიდრე ერთი თაობის წინ იყვნენ?)
47. **Donald Trump** - „ We **must** remember that the overwhelming majority of police officers in this country, and that’s the overwhelming majority, are noble, courageous and honorable. We **have to** give law enforcement, our police, back their power. They are afraid to act. They are afraid to lose their pension. “ ¹⁴⁵(უნდა გვახსოვდეს, რომ პოლიციელების აბსოლუტური უმრავლესობაა ამ ქვეყანაში, და ეს აბსოლუტური უმრავლესობა შეადგენს კეთილშობილ, მამაც და ღირსეულ პოლიციელს. ჩვენ უნდა დავუბრუნოთ სამართალდამცავებს, ჩვენს პოლიციას ძალაუფლება. მათ ეშინიათ მოქმედების. მათ ეშინიათ პენსიის დაკარგვის.)
48. **Joe Biden** - „Since I’ve come to office, all they’ve really done is attack me and my economic plan – there hasn’t been much else, even though we’ve created, **I should point out**, over 30 million jobs – more jobs in two years than any president’s created in a four-year term” ¹⁴⁶(ჩემი თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, მათ ყველაფერი გააკეთეს რომ თავს დამსხმოდნენ მე და ჩემს ეკონომიკურ გეგმას- სხვა ბევრი არაფერი

¹⁴⁴ <https://www.c-span.org/video/?530348-5/robert-f-kennedy-jr-2024-presidential-bid>

¹⁴⁵ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹⁴⁶ <https://edition.cnn.com/2023/09/14/politics/joe-biden-economic-speech/index.html>

ყოფილა, **უნდა აღვნიშნო**, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ შევექმენით, 30 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი - მეტი სამუშაო ადგილი ორ წელიწადში, ვიდრე ნებისმიერმა პრეზიდენტმა მოახერხა ოთხი წლის ვადაში.)

მოცემულ მაგალითებში პოლიტიკოსები მიზნად ისახავენ მიმდინარე დისკურსში დაფიქსირებული მოსაზრების მიმართ ემოციური დამოკიდებულება გამოხატონ სხვადასხვა მოდალური ზმნის საშუალებით, კონკრეტული დამოკიდებულების შესახებ მსმენელისთვის ცხადია კონკრეტული მოდალური ზმნის მნიშვნელობიდან გამომდინარე. მაგალითად „**I should point out**”, **We should look at**“ - კარგი აზრია, „**we must remember**“-აუცილებელია, საჭიროა, „**we have to give**“ - გვიწევს, იძულებული ვართ.

9.2. ზმნიზედებით გამოხატული

49. **Donald Trump** - „**My fellow Americans**, tonight with a heart full of gratitude and boundless optimism, **I profoundly** accept this nomination for President of the United States.” ¹⁴⁷(**ჩემო თანამემამულე ამერიკელებო**, ამაღამ მაღლიერებითა და უსაზღვრო ოპტიმიზმით სავსე გულით, **ღრმად** ვეთანხმები შეერთებული შტატების პრეზიდენტის ამ ნომინაციას.)
50. **Joe Biden** - „They don’t give in and **surely** they don’t cower and neither will I. I will put in place a plan to deal with this pandemic **responsibly**, bringing this country together with testing, tracing, masking.” ¹⁴⁸ (ისინი არ ნებდებიან და, **რა თქმა უნდა**, არ უშინდებიან და არც მე. მე განვახორციელებ გეგმას, რომ გავუმკლავდეთ ამ პანდემიას **პასუხისმგებლობით**, გავაერთიანოთ ეს ქვეყანა ტესტირებით, მოკვლევით, ნიღბებით.)
51. **Donald trump**- „**Unfortunately**, from the beginning our opponents have shown themselves capable of nothing but a partisan ability to criticize.” ¹⁴⁹ (**სამწუხაროდ**, თავიდანვე ჩვენმა ოპონენტებმა აჩვენეს თავი, რომ არაფრის უნარი შესწევთ, გარდა პარტიული კრიტიკის უნარისა.)

¹⁴⁷ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹⁴⁸ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹⁴⁹ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

ზმნიზედებით გამოხატული დამოკიდებულება მოსაუბრის დამოკიდებულების მაჩვენებელია, რომელიც არამხოლოდ საკუთარ დამოკიდებულებას გამოხატავს, როგორცაა მაგალითად, „**I profoundly accept**“ ,არამედ აფასებს დისკურსში ნახსენებ მოვლენას, როგორც მოცემულ მაგალითში ვხვდებით „They don’t give in and **surely** they don’t cower“.

9.3. Adjectival constructions: ზედსართავებით გამოხატული

52. Donald Trump – „I’m very, very proud to be the nominee of the Republican Party.”¹⁵⁰(მე ძალიან, ძალიან ვამაყობ, რომ რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი ვარ.)
53. Donald Trump – „Today, I’m delighted to accept a very, very special endorsement from people I like.”¹⁵¹ (დღეს, ბედნიერი ვარ, რომ მივიღე ძალიან, ძალიან განსაკუთრებული მოწონება ადამიანებისგან, რომლებიც მე მომწონს.)
54. Robert F. Kennedy Jr. – „I am skeptical about the war and very critical how the Ukraine were has been handled.”¹⁵²(მე სკეპტიკურად ვარ განწყობილი ომის მიმართ და ძალიან კრიტიკულად განწყობილი, თუ როგორ მოიქცა უკრაინა.)
55. Joe Biden: „It’s been a terrible thing what you’ve done. The fact is that the vast majority of constitutional scholars supported Roe when it was decided, supported Roe. And I was – that’s – this idea that they were all against it is just ridiculous.” (რაც გააკეთე საშინელი რამ იყო, ფაქტია, რომ კონსტიტუციონოლოგთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა როს, როცა როს მხარდაჭერა გადაწყდა. აზრი კი, რომ ისინი ყველა წინააღმდეგი იყვნენ, უბრალოდ სასაცილოა.¹⁵³)
- მოცემულ მაგალითებში გამოყენებული დამოკიდებულების გამომხატველი მარკერები გვაცნობენ მოსაუბრის დამოკიდებულებას არა მხოლოდ მათი ლექსიკური მნიშვნელობებით, არამედ გამოყენებული ზმნიზედებით, რომლებიც აძლიერებენ მარკერების მნიშვნელობას და უფრო ემოციურად დატვირთულს ხდიან მიმდინარე დისკურსს. მაგალითად: **I am so grateful, very critical...**როგორც

¹⁵⁰ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹⁵¹ <https://www.rev.com/blog/transcripts/donald-trump-latrobe-pennsylvania-rally-speech-transcript-september-3>

¹⁵² <https://www.c-span.org/video/?530348-5/robert-f-kennedy-jr-2024-presidential-bid>

¹⁵³ <https://edition.cnn.com/2024/06/27/politics/read-biden-trump-debate-rush-transcript/index.html>

ჯედავთ, მოსაუბრე თავისი დამოკიდებულების უფრო ძლიერად გადმოსაცემად მიმართავს ზმნიზედის გამეორებას, როგორცაა **I'm very, very proud.**

რაც შეეხება ჯო ბაიდენის მაგალითს, მოსაუბრის ემოციური დამოკიდებულება გამოიხატება შემდეგი ზედსართავი სახელებით, „terribly” და „ridiculous”.

9.4. Cognitive verbs: კოგნიტური ზმნებით გამოხატული

56. Joe Biden - „I promise you, look at my whole career. I'll work as hard for those who don't support me as those who do.”¹⁵⁴(**გპირდებით, გადახედეთ** მთელ ჩემს კარიერას. მე ისევე ვიმუშავებ მათთვის, ვინც მხარს მიჭერს როგორც მათ, ვინც მხარს არ მიჭერს.)
57. Joe Biden - „I believe it is this: Americans have called on us to marshal the forces of decency and the forces of fairness.”¹⁵⁵(**მე მჯერა**, რომ ეს ასეა: ამერიკელებმა მოგვიწოდეს, მოვახდინოთ წესიერებისა და სამართლიანობის ძალების მარშალი.)
58. Robert F. Kennedy Jr.: „I think there is a lot of appetite for on their **right now.**”¹⁵⁶
(**ვფიქრობ**, ახლა მათზე დიდი მოთხოვნაა.)
59. Joe Biden : „We don't think that's a good thing. We think it's a radical thing. We think the Democrats are the radicals, not the Republicans.”¹⁵⁷(ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ეს კარგია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს რადიკალური რამ არის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დემოკრატები არიან რადიკალები და არა რესპუბლიკელები.)
60. Vice President Kamala Harris : „I believe very strongly that the American people want a president who understands the importance of bringing us together knowing we have so much more in common than what separates us. And I pledge to you to be a president for all Americans.” (<https://abcnews.go.com/Politics/harris-trump-presidential-debate-transcript/story?id=113560542>)

კოგნიტური ზმნებით გამოხატული ემოციური დამოკიდებულება მნიშვნელოვანია იქიდან გამომდინარე, რომ მოსაუბრე ცდილობს გარკვეული ემოციით დატვირთოს მოცემული მოსაზრება, რაც საშუალებას აძლევს მას არა მხოლოდ გაამჟღავნოს საკითხის მიმართ თავისი სუბიექტური დამოკიდებულება, ასევე გავლენა

¹⁵⁴ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

¹⁵⁵ <https://www.aljazeera.com/news/2020/11/8/joe-biden-acceptance-speech-full-transcript>

¹⁵⁶ <https://www.c-span.org/video/?530348-5/robert-f-kennedy-jr-2024-presidential-bid>

¹⁵⁷ <https://edition.cnn.com/2024/06/27/politics/read-biden-trump-debate-rush-transcript/index.html>

მოახდინოს მსმენელზე, მოცემულ მაგალითებში ვხვდებით დამოკიდებულების გამომხატველ შემდეგ მარკერებს, **I promise you, I believe, I think ...** გარდა დამოკიდებულების აღმნიშვნელი მარკერებისა აღსანიშნავია ფოკუსირების აღმნიშვნელი მარკერი **look at**, რომელიც დისკურსში დამატებითი არგუმენტისა და მაგალითის ფუნქციით არის წარმოდგენილი.

ბოლო მაგალითში ჯო ბაიდენი სამჯერ იმეორებს კოგნიტურ ზმნას „ფიქრს“, რაც თავისთავად ქმნის ემოციურ დატვირთვას, თუმცა მარკერის გამეორების პარალელურად მსმენელზე ემოციურ გავლენას ახდენს რიგი შეფასებების გაკეთება, რასაც მოსაუბრე ზედსართავი სახელების საშუალებით ახერხებს. ეს ზედსართავი სახელებია „good“ „radical“. აღსანიშნავია, რომ ჯო ბაიდენი საუბრობს იმ კანონის შესახებ, რომელიც მომავალ დედებს საშუალებას აძლევს ნაყოფი მოიშორონ პატარა ასაკშივე.

კამაკა ჰარისი საინტერესოდ იყენებს შემდეგ კოგნიტურ ზმნებს, „I believe“ და „I pledge“. ამათგან პირველს აძლიერებს ზმნიზედებით „very strongly“, რაც უფრო დამაჯერებელს და სარწმუნოს ხდის მის პოზიციას არსებული საკითხის მიმართ. ხოლო, მეორე მაგალითი თავისთავად გამოირჩევა თავისი ემოციური დატვირთვით, ნაკლებად ექსპრესიული მნიშვნელობის მქონე ლექსიკური ერთეულის ნაცვლად, როგორიცაა: promise, ის იყენებს მას მიმდინარე დისკურსის ექსპრესიულ-ემოციური დატვირთვის მიზნით.

10. კომენტარები

10.1. რიტორიკული შეკითხვები

61. Joe Biden- „**But you know, you notice something?** For all the time they spent attacking me and my plan, here’s what they never do – they never talk about what they want to do. **No, think about it**, they tell you what they’re against. **What’re they for? It’s like they** want to keep it a secret. I don’t blame them.”¹⁵⁸(მაგრამ იცით, შეამჩნიეთ რამე? მთელი იმ დროის განმავლობაში, რაც მათ ჩემზე და ჩემს გეგმაზე თავდასხმას მოანდომეს, აი, რასაც ისინი არასოდეს აკეთებენ - არასოდეს საუბრობენ იმაზე, რისი გაკეთებაც სურთ. არა, დაფიქრდით, გეუბნებიან რისი წინააღმდეგეები არიან.

¹⁵⁸ <https://edition.cnn.com/2023/09/14/politics/joe-biden-economic-speech/index.html>

რისთვის არიან ისინი? თითქოს მათ უნდათ საიდუმლოდ შეინახონ. მე მათ არ ვადანაშაულებ.)

62. Donald Trump - „You think that’s easy? It’s not. And signed orders that will massively lower the cost of your prescription drugs and give critically ill patients access to life-saving cures.” ¹⁵⁹ (ფიქრობთ, რომ ეს ადვილია? არ არის. და ხელმოწერილი ბრძანებები, რომლებიც მასიურად შეამცირებს თქვენი რეცეპტით გაცემული წამლების ღირებულებას და კრიტიკულად დაავადებულ პაციენტებს მისცემს წვდომას სასიცოცლოდ მნიშვნელოვან მედიკამენტებზე.)

63. Joe Biden - „Think about this all if you’re old enough. Can you think of any president where there’s been a national crisis who didn’t bring all the parties together in the White House to try to solve something? He’s done nothing. Nothing.” ¹⁶⁰ (იფიქრეთ ამ ყველაფერზე, თუ საკმარისად დიდი ხართ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რომელიმე პრეზიდენტი ეროვნული კრიზისის პერიოდში, რომელმაც არ დაიბარა ყველა მხარე თეთრ სახლში რაღაცის გადასაჭრელად? მას არაფერი გაუკეთებია. არაფერი.)

რიტორიკული შეკითხვა არ საჭიროებს ადრესატისაგან პასუხს, თუმცა გულისხმობს ადრესატის მსჯელობის შემდეგ ეტაპზე გადაყვანას, იქიდან გამომდინარე რომ ხშირად რიტორიკული შეკითხვით მოსაუბრეს ახალი არგუმენტი ან მაგალითი შემოჰყავს დისკურსში, როგორცაა „**Think about this all if you’re old enough. Can you think of any president where there’s been a national crisis who didn’t bring all the parties together in the White House to try to solve something?** „, ასევე შეიძლება უკვე ნათქვამ მოსაზრებას ეხებოდეს და ავითარებდეს მას, როგორცაა მაგალითში „Last month, I took on Big Pharma. **You think that’s easy?** „

10.2. პირდაპირი მიმართვები

64. Donald Trump - „Friends, delegates and distinguished guests, please, I stand before you tonight honored by your support, proud of the extraordinary progress we have made together over the last four incredible years and brimming with confidence in the bright

¹⁵⁹ <https://www.npr.org/2020/08/27/901381398/fact-check-trumps-address-to-the-republican-convention-annotated>

¹⁶⁰ <https://www.rev.com/blog/transcripts/joe-biden-campaign-speech-transcript-atlanta-georgia-october-27>

